საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
9 იანვარი ოთხშაბათი 2013 №005 (13 921) ფასი 80 თეთრი

# ზაზა ფაჩულია ატლანტადან?



12

# ზამთრის სატრანსფერო სეზონი ხურდება



იუვენტუსი

## ტურინში დროგბას პასუხს ელიან

8

ბარსელონა

## სანდრო როსელი: ვილია არ იყიდება!



4

## შერმადინი წითლად შეღებილი მე-13 მწვანეა

რას ეტყვის გიორგი პანას ქომაგებს?




12



დორტმუნდი

## დაბრუნდება ნური შაჰინი ბორუსიაში?

7



გალათასარაი

## სნეიდერს თურქეთში უხმობენ

10

ეროვნული ბიბლიოთეკა



U17

# მინსკის ტურნირი კარგი რეპეტიცია ელიტრაუნდის წინ

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მორიგი შეკრება დაიწყო. **გიორგი დევდარიანის** გუნდი თბილისში მდებარე სასტუმრო „ბატესტაში“ დაბინავდა და მინსკის საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადება, რომელიც 21 იანვარს დაიწყება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, დევდარიანმა შეკრებაზე 23 ფეხბურთელს უხმო:

მეკარეები: **ოთო გოშაძე, ბექა ქურდაძე** (ორივე საბურთალო);

მცველები: **აკაკი შულაია** (მერანი, მარტვილი), **ზურაბ გელაშვილი** (ტორპედო), **ნიკა ველიაშვილი, გაგი მარგველაშვილი, ჯემალ ტაბიძე** (ყველა საბურთალო), **თორნიკე კირკიტაძე, ომარ პატარკაციშვილი** (ორივე ლოკომოტივი);

ნახევარმცველები: **ზურაბ მალანია** (ბაია), **გიორგი თევზაძე, გიორგი ხარაიშვილი, ილია ბეროშვილი, ირაკლი რუხაძე** (ყველა საბურთალო), **თენგიზ გოროზია** (დინამო თბ.), **გიორგი ბერიძე** (ჩიხურა), **გიორგი ბუნტური** (ვიტ ჯორჯია);

თავდამსხმელები: **ლუკა ზარანდია** (ლოკომოტივი), **ილია კერძევაძე** (ჩიხურა), **დემურ კანდელაკი** (ტორპედო), **გრიგოლ ჩაბრაძე** (საბურთალო), **რომან ჭანტურია** (ემპოლი, იტალია), **ალექსანდრე შერაზადაშვილი** (ალკორკონი, ესპანეთი).

მინსკის ტურნირში, სადაც შარშან **ვასილ მაისურაძის** მიერ გაწვრთნილმა 17-წლამდელებმა მეორე ადგილი დაიკავეს, კვლავ რვა გუნდი ითამაშებს. წილისყრის შედეგად, საქართველოს ნაკრების მეტოქეები მასპინძელი ბელარუსი, ბელგია და ლიტვა იქნებიან.

ტურნირის სრული განრიგი კი ასეთია:

**21 იანვარი**

**A ჯგუფი**

**საქართველო-ბელგია**
ბელარუსი-ლიტვა

**B ჯგუფი**

მოლდოვა-უკრაინა
რუსეთი-ლატვია

**22 იანვარი**

**A ჯგუფი**

ლიტვა-ბელგია
**ბელარუსი-საქართველო**

**B ჯგუფი**

ლატვია-უკრაინა
რუსეთი-მოლდოვა

**24 იანვარი**

**A ჯგუფი**

**საქართველო-ლიტვა**
ბელგია-ბელარუსი

**B ჯგუფი**

მოლდოვა-ლატვია
უკრაინა-რუსეთი

26 იანვარს ტურნირის დასკვნითი დღეა. ჯგუფების გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან, მეორეადგილოსნები ტურნირის მესამე ადგილს გაითამაშებენ, მესამეადგილოსნები მეხუთეს, ხოლო ბოლოადგილოსნები ბოლოსწინას.

**ლევან ჯანეზაშვილი**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



გიორგი დევდარიანი და მისი გუნდი მინსკის ტურნირისთვის მზადებას იწყებენ

რეიტინგი

# ჩვენი ლიგა 46-ეა

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) მსოფლიოს საფეხბურთო ლიგების რეიტინგი გამოაქვეყნა. აღნიშნული ორგანიზაციის აზრით, საქართველოს ჩემპიონატი მსოფლიო ლიგებს შორის 46-ე ადგილს იკავებს და ამ პოზიციას ლატვიასა და უნგრეთთან ინაწილებს.

ნებისმიერი რეიტინგის მსგავსად, კამათი ამ სიაზეც შეიძლება, თუმცალა 46-ე პოზიცია არცთუ ურიგო მაჩვენებელია. IFFHS ჩვენს უმაღლეს ლიგას პოლონეთზე, ავსტრალიაზე, უზბეკეთზე, სლოვენიაზე, ბულგარეთზე, ჩინეთზე, სომხეთზე, აზერბაიჯანსა და სხვებზე მაღლა აყენებს.

**საუკეთესო ათეული კი ასეთია:**

1. ესპანეთი
2. ბრაზილია
3. გერმანია
4. იტალია
5. ინგლისი
6. არგენტინა
7. საფრანგეთი
8. ჰოლანდია
9. პარაგვაი
10. ჩილე

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი




ზესტაფონში ლევან კუტალია წარადგინეს

# ზამთრის პირველი ტრანსფერი: კუტალია

"ზესტაფონმა" კონტრაქტი გაუფორმა 23 წლის ნახევარმცველ **ლევან კუტალიას**, რომელიც ბოლოს "ზუგდიდის" ღირსებას იცავდა, მანამდე კი ბოსნიურ კლუბებში, "სლავიასა" და "ზრინსკიში" ასპარეზობდა. კლუბსა და ფეხბურთელს შორის ხელშეკრულება 1+1 სისტემით გაფორმდა.

კუტალიას პრეზენტაცია "ზესტაფონის" თბილისურ ოფისში მოეწყო. კლუბის მხრიდან ღონისძიებას სპორტული დირექტორი **მიხეილ ხუციშვილი** დაესწრო.

17 მატჩი და 2 გოლი – ასეთია კუტალიას მონაგარი მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ეტაპზე.

შესაძლოა, უახლოეს დღეებში "ზუგდიდიდან" "ზესტაფონში" კიდევ ერთი ფეხბურთელი გადავიდეს. საუბარია თავდამსხმელ **ირაკლი ქობალიაზე**, რომლის თაობაზეც კლუბებს შორის მოლაპარაკება გრძელდება.

"ზესტაფონიდან" ვლადიკავკაზის "ალანიაში" შეიძლება აღმოჩნდეს **მამუკა კობახიძე**, რომლის საკითხიც ასევე მალე გაირკვევა.

"ზესტაფონის" ფეხბურთელებმა უკვე გაიარეს სამედიცინო შემოწმება და სეზონის მეორე ნახევრისთვის სამზადისსაც იწყებენ. საქართველოს მოქმედი ჩემპიონის ბანაკიდან საინტერესო სიახლეებს უნდა ველოდოთ, რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბავი კი კლუბმა უკვე გაასაჯაროვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

კოლხეთი

# როგორი იქნება საიუბილეო წელი?

## ადგილობრივების იმედად

ხვალ, 10 იანვარს ფოთის "ფაზისის" სტადიონზე "კოლხეთის" მოთამაშეები შეიკრიბებიან და მეორე ეტაპისთვის მზადებას შეუდგებიან. მერე რა და როგორ იქნება, უახლოეს დღეებში გაირკვევა. მხოლოდ ის ვიცით, რომ გუნდში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი – არა მხოლოდ შემადგენლობაში, არამედ, საკადრო პოლიტიკის კუთხითაც.

კლუბი კი ისევ **თემურ ბარქაიას** დაუბრუნდა, რომელმაც ფოთის "კოლხეთი" 2006 წელს უმძიმეს მდგომარეობაში ჩაიბარა. მაშინ გუნდი ფინანსური პრობლემების გამო, უმაღლესი ლიგიდან პირველში დააქვეითეს და პატრონი არ ჰყავდა. მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან კლუბების დაფინანსება აიკრძალა, რაც ამ ტიპის კლუბების სიკვდილს ნიშნავდა – საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს, პირველ და რეგიონულ ლიგებში მათი უმრავლესობა ხომ სწორედ სახელმწიფოსგან საზრდოობდა.

შეიძლება ითქვას, რომ მაშინ ბიზნესმენმა თემურ ბარქაიამ კლუბი დაშლას გადაარჩინა: "კოლხეთი" ფოთელი ახალგაზრდებით დააკომპლექტა და 2010 წელს უმაღლეს ლიგაში დააბრუნა. მაგრამ 2011 წლის მარტში კლუბი დაატოვებინეს – ასეთი "კეთილი" გადაწყვეტილებების დროც გვახსოვს.

ახლა, ეს ახალგაზრდა კაცი ფოთური კლუბის აღორძინების იმედად დაბრუნდა და სჯერა, რომ ეს რეალურია, თუ საქმეს თავიდან დაიწყებს. საამისოდ კი გასარკვევია კლუბის ბიუჯეტი, რომლის პარამეტრებიც ახლა ზუსტდება. პოლიტიკურმა ცვლილებებმა ქვეყანაში სპორტისადმი მიდგომები შეცვალა და ჯერ კიდევ უცნობია, "კოლხეთს" რამხელა ბიუჯეტს დაუმტკიცებენ. თუმცა, უკეთესობის იმედი არის. ტრადიციული თავისტკივილი, დააფინანსებენ თუ არა გუნდს ბიუჯეტიდან, მოეხსნათ – საკითხი დადებითად გადაწყდა. მაგრამ რა ოდენობით, ეს ახლა ირკვევა. ამას გარდა, კლუბის ძველ-ახალ პრეზიდენტს სპონსორებისაც ეიმედება.

მოკლედ, "კოლხეთში" ადგილობრივების იმედად არიან, თუმცა მოწვეულ მოთამაშეებზე უარს არ ამბობენ. მაგალითად, გუნდში რჩება **გიორგი ტყეშელაშვილი** და რამდენიმე ახალგაზრდა. თუმცა, კლუბი მალე მოთამაშეთა საშუალო ასაკით საქართველოს ჩემპიონატში, ალბათ, ყველაზე თინეიჯერული ასაკის იქნება. თუმცა, უმთავრესად, ფოთელთა იმედად იქნებიან. ლაპარაკია იმ ახალგაზრდებზე, რომლებმაც პირველი ეტაპის ბოლო ტურებში "ვიტ ჯორჯიასა" და გორის "დილას" წინააღმდეგ ითამაშეს და თავი არც ისე ურიგოდ წარმოაჩინეს.

და კიდევ: იმ 11 ფეხბურთელს, რომლებიც ბოლო ტურებამდე კლუბიდან გაუშვეს, ხელფასების დავალიანებას ერთი თვის განმავლობაში დავუფარავთო.

ფოთში შარშან დაიწყო "ფაზისის" სტადიონის განახლება. ფეხბურთის ფედერაციამ სიტყვა შეასრულა და მოედნის საფარი დააგო, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ტრიბუნების სრულად განახლებას ვერ ახერხებს – სამუშაოები ჯერ მხოლოდ აღმოსავლეთ მხარეზე მიმდინარეობდა და როგორც ვიცით, ახლა ისიც შეჩერებულია.

თუმცა, წლეულს "კოლხეთის" დაარსებიდან 100 წელი სრულდება, იმედია, რეკონსტრუქცია გაგრძელდება და კლუბი იუბილეს ლამაზად აღნიშნავს. აქ ერთი სამწუხარო ფაქტი დავადგინეთ: სამოქალაქო ომის დროს "კოლხეთის" ხელთ არსებული უმდიდრესი მასალები გაქრა, დაიკარგა და დღემდე ვერ მიაკვლიეს, სად არის ისტორიული დოკუმენტები, რომელიც ფოთში საფეხბურთო კლუბის უფრო ადრე დაარსებაზე მეტყველებდა. თუმცა, დღესაც არსებობს დოკუმენტური მტკიცებულება, რომ ფოთში კლუბი 1904 წელს დაარსდა. ასე რომ, ამ კუთხით არა მხოლოდ კლუბში, ფეხბურთის ფედერაციასაც ბევრი სამუშაო აქვს – დარწმუნებული ვართ, არაერთი საინტერესო ფაქტი გამოვლინდება. თავის დროზე საარქივო მასალებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი **ნოდარ ანდრიაძე** დაინტერესდა, კომისიაც ჩამოაყალიბა, მაგრამ სამწუხაროდ, ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ ეს კომისია დაიშალა. არადა, ქართული ფეხბურთის 100 წლის იუბილეს აღნიშვნა ისე გამოგვეპარა, თითქოს ეს ფაქტი უმნიშვნელო რამ იყო.

მოკლედ, 2013 წელი "კოლხეთი 1913"-ისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო უნდა იყოს, მაგრამ როგორ დასრულდება, ეს ბევრ გარე ფაქტორზე, სპონსორებსა და დამფინანსებლებზე იქნება დამოკიდებული.

**მერაბ მამულაშვილი**



ლეგიონერი

## ნიკა ძალამიძე: უკეთეს ლიგაში თამაშის შანსი მაქვს

26 დეკემბერს „მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე ცნობილი გახდა, რომ სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად **ნიკა ძალამიძე** დაასახელეს. პოლონური "იაგელონიასა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 20 წლის შემტევმა ნახევარმცველმა ახალ კლუბშიც მოახერხა თავის დამკვიდრება, ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერიც გახდა და ეროვნულ ნაკრებშიც ჰქონდა დებიუტი.

*"ეს აღიარება ჩემთვის მოულოდნელიც იყო და ძალიან სასიამოვნოც. ცხადია, სასიამოვნოც, რადგან საქართველოში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშეა და მათ შორის გამორჩევა პატარა ამბავი არ არის. შევეცდები, მომავალში დავამტკიცო, რომ ეს პრიზი შემთხვევით არ მომიპოვებია, რომ დავიმსახურე და საქართველოს ნაკრების ფორმით თამაშსაც ვიმსახურებ"*, – ამბობს ნიკა ძალამიძე.

"იაგელონიას" ფეხბურთელი მიღწეულით დაკმაყოფილებას დაუშვებლად მიიჩნევს: *"მხოლოდ წარსულით კმაყოფილება ფეხბურთელს არაფერს არგებს. არ მსურს, რომ პრიზები მხოლოდ წარსულში მქონდეს. გაცილებით მეტს ვთხოვ საკუთარ თავს და საამისოდ, შრომა ნამდვილად არ მეზარება. მაგრამ იმასაც ვხვდები, რომ გაცილებით მეტი შრომა არის საჭირო, რომ 2013 წელიც წარმატებული იყოს".*

ნიკას სამომავლო გეგმებზეც დავეკითხეთ: *"ჯერჯერობით, კლუბში ვრჩები და სეზონისთვის ისევ "იაგელონიაში" მოვემზადები. პოლონეთის ჩემპიონატი ფეხბურთელისთვის კარგი ტრამპლინია და ვცდილობ, ეს შანსი კარგად გამოვიყენო. გუნდში მენდობიან, მათამაშებენ და თავის გამოჩენის საშუალება მაქვს. მაგრამ, შესაძლოა, ზაფხულისთვის კლუბის შეცვლაზე დავფიქრდე. არ დავმალავ, რომ არის შანსი, კარიერა უკეთეს ჩემპიონატში გავაგრძელო".*

როგორც ჩანს, ძალამიძეს აქვს ინფორმაცია იმ "უკეთესი ჩემპიონატის" კლუბზე, რომლის წარმომადგენლებიც მას აკვირდებიან, მაგრამ ჯერ კლუბის დასახელებას ერიდება.

**მერაბ მამულაშვილი**



ნიკა ძალამიძე

ფუტსალი

## ავთანდილ ასათიანი: ხომ იცით, რას ნიშნავს გაუმართლებლობა?



საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა მალტაში საერთაშორისო ტურნირზე ორი შეხვედრა გამართა - 6 იანვარს საბერძნეთთან 2:4 წააგო, 7 იანვარს კი მასპინძელ მალტას 10:1 სძლია.

ამგვარად, ტურნირზე გამარჯვების მხოლოდ თეორიული შანსი დაგვრჩა, რადგან საბერძნეთმა ინგლისთან მეორე შეხვედრაც მოიგო (3:0) და ფაქტობრივად, გამარჯვებულია. დღეს დასკვნითი ტურის შეხვედრები გაიმართება: საქართველო ინგლისს შეხვდება, ელინები კი მასპინძლებს დაუპირისპირდებიან.

განვლილ თამაშებზე ნაკრების მთავარ მწვრთნელს **ავთანდილ ასათიანს** კომენტარი ჩამოვართვით: *"მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთთან 2:4 წავაგეთ, მე თამაშით კმაყოფილი დავრჩი. გადაუჭარბებლად ვიტყვი: რაც მე ნაკრებს ვავარჯიშებ, ასეთი კარგი ფეხბურთი ჩვენ ბევრჯერ არ გვიჩვენებია. 1:1-ზე ბერძნების კართან შტურმი მოვაწყვეთ. მაგრამ მსგავს უიღბლობასაც ვერ ვიხსენებ: ისეთი მომენტები შევქმენით, რომელთა გამოუყენებლობაც არ გვეპატიებოდა და ასეც მოხდა: საფეხბურთო კანონი ამოქმედდა და არალოგიკური ბურთები გაგვიტანეს. მეტოქესაც ვერ დავაკნინებ: ეს ბევრად უკეთესი გუნდი იყო, ვიდრე ადრინდელი შეხვედრებიდან მახსოვდა. სხვათა შორის, გამიხარდა, მატჩის შემდეგ ბერძნების მწვრთნელმა თავად რომ აღიარა, შემთხვევით გავიმარჯვეთო.*

*მეორე შეხვედრა მალტასთან 10:1 მოვიგეთ. ვერ ვიტყვი, რომ აქედან ზარ-ზეიმი უნდა მოვაწყოთ. წინასწარ ვიცოდით, რა დონის გუნდი იყო და აუცილებლად უნდა მოგვეგო. ერთადერთი, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებდა, საგოლე მომენტების რეალიზაცია გახლდათ. ბიჭებს წინასწარ ვთხოვე, რომ მომენტები მაქსიმალურად გამოეყენებინათ და გაფრთხილებოდნენ. ამ დაუდევრობისთვის ხომ საბერძნეთმა დაგვსაჯა. საბედნიეროდ, ბიჭებმა ფხა გამოიჩინეს. გამიხარდა, რომ ახალწვეულები კარგად გამოიყურებიან და ნელ-ნელა იხსნებიან. ჩვენ მათ სამომავლოდ დიდ იმედებს ვუკავშირებთ.*

*ბოლო ტურში ინგლისს შევხვდებით, რომელიც ბოლო ორ წელიწადში მნიშვნელოვნად გაძლიერდა. არადა, ადრე იოლად ვუგებდით. ასე რომ, ბრიტანელებთან საკმაოდ მძიმე ბრძოლა გველის.*

*საერთოდ კი, ტურნირით ძალიან კმაყოფილი ვარ და მიმაჩნია, რომ მალტაზე გამგზავრებით კარგი საქმე გაკეთდა. შესარჩევ ეტაპამდე გუნდის შეთამაშება და ბიჭების ხასიათზე მოყვანა უნდა შევძლოთ. იქ კი ჩვენი მთავარი მეტოქე მოლდოვა იქნება, რომლის ძალაზეც წარმოდგენა უკვე გაგვაჩნია".*

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

## მორიგი ქართველი პერშა ლიგაში?

### ირაკლი მესხიას ზაკარპატიეში იწვევენ

**ირაკლი მესხია** კიევის „ობოლონის" ძირითად შემადგენლობაში 2012 წელს გამოჩნდა და სპეციალისტების აღიარებაც დაიმსახურა. თბილისელი ახალგაზრდა უკრაინის მოქალაქეა და ქვეყნის პრემიერლიგელ კიევის "ობოლონში" გაიცნო გულშემატკივარმა. შარშან კიევურ კლუბში დარჩა მიუხედავად იმისა, რომ პირველ ლიგაში დაქვეითდა.

მაგრამ მაშინვე იყო ლაპარაკი, რომ ირაკლის პრემიერლიგელები იწვევდნენ. შარშან ზაფხულში მრავალი წინადადებითაც მიმართეს. "ლელო" მაშინ პირველ წყაროზე დაყრდნობით წერდა, რომ დონეცკის „მეტალურგი" და მარიუპოლის „ილიჩივეცი" კონტრაქტის გაფორმებას სთავაზობდნენ, მაგრამ ეს მოლაპარაკების სურვილის მქონე კლუბების მხოლოდ ნაწილი იყო. იმ დროს ირაკლის კონტრაქტი აკავშირებდა და წამოსვლა ვერ მოახერხა.

ახლა "ობოლონს" საქმე ცუდად წაუვიდა, ბოლოდან მეოთხე ადგილზეა და პირველი ლიგიდან გავარდნაც ემუქრება. ამბიციურ ფეხბურთელს კი ამ კლუბში დარჩენა აღარ აწყობს და მენეჯერი კლუბს ეძებს. სავსებით შესაძლებელია, მესხიამ 2013 წელს შეკრება უჟგოროდის "გოვერლა-ზაკარპატიეში" დაიწყოს. თავის მხრივ, არც უჟგოროდულ კლუბს ულხინს, რომელიც 11 ქულით უკრაინის პრემიერლიგაში ბოლოსწინა მე-15 ადგილზეა და გავარდნის შანსი აქვს.

შეგახსენებთ, რომ 19 წლის შემტევი ნახევარმცველით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრე ჩივაძე** დაინტერესდა, ნაკრებში თავის გამოჩენის შანსს აუცილებლად მივცემთო. მაგრამ შარშან ირაკლი უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ კუზნეცოვმა** ნორვეგიასთან ამხანაგურ შეხვედრაში მიიწვია, სადებიუტო მატჩში გოლი გაიტანა და შემდეგ უკვე ყვითელ-ლურჯი ფორმით შესარჩევი ციკლის ოფიციალური შეხვედრებიც ჩაატარა.

**მერაბ მამულაშვილი**

თვალსაზრისი

## როდის გატყდება ნავსი?

ყველაფერს თავისი დროს აქვს. ფეხბურთელის კარიერა არ არის ხანგრძლივი, თავისი ეტაპები აქვს, ვადები, რაშიც ყველაფერი უნდა მოასწრო.

ბევრი რამე იღბალზეც არის დამოკიდებული. ხანდახან არცთუ ნიჭიერი ფეხბურთელი იმაზე მეტს მიაღწევს ხოლმე, რისი მოლოდინიც მისგან ჰქონდათ, ხანდახან კი ნიჭი იფლანგება, რადგან საჭირო დროს, საჭირო მომენტში ვერ მოხერხდა კალაპოტის გახსნა.

ქართველი ფეხბურთელის საქმე სხვაზე უფრო რთულადაა, ჩვენთან ცოტაა ისეთი გუნდი, სტაბილურად რომ აქვს ნორმალური პირობები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კარგ ფეხბურთელს წასასვლელი ბევრი არ აქვს.

არის მეორე გზა - უცხოეთში წასვლა, მაგრამ აქაც მხოლოდ კარგი ფეხბურთელობა არ კმარა. თუ ეროვნულ ნაკრებში მიჯრით რამდენიმე მატჩი არ გითამაშია ან გაქნილი აგენტი არ გყავს, ტრანსფერი თითქმის გამორიცხულია.

გაქნილ აგენტს ბევრი შეუძლია, თუ ფეხბურთის თამაში იცი, რამეს მოგიძებნის. ნაკრების ფეხბურთელი რომც იყო, აგენტის გაქნილობა აქაც საჭიროა, თუ მაგალითად, რუსეთში მიდიხარ. აგენტს შეუძლია შეეკრას გუნდის მწვრთნელს, სპორტულ დირექტორს და პრეზიდენტსაც კი. მოკლედ, ფეხბურთელისთვის კარგი ტრანსფერი ხშირად ბედის ამბავია.

ოთხი წლის წინ, „ვიტ ჯორჯიას" ძირითადში **გიორგი ჯანელიძე** გამოჩნდა, მაშინ ამ გუნდს **რამაზ მუმლაძე** წვრთნიდა. იმავე 2009 წელს „ვიტ ჯორჯია" მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოზე სლოვენიურ „მარიბორს" გადაეყარა. ვიტჯორჯიელები „მარიბორთან" სტუმრად 1:3 დამარცხდნენ, თუმცა თამაში ისეთი გამოდგა, რომ საქართველოს ჩემპიონი სლოვენიის საუკეთესო გუნდს ტოლ-სწორად ეპაექრა, 19 წლის ჯანელიძემ კი მართლაც ჩინებულად ითამაშა. ამ მატჩის ჩანაწერს არაერთხელ ვუყურე, ჯანელიძე ისე ირჯება, რომ გათქმევინებს - ქართულ ფეხბურთში ძალიან საინტერესო ახალგაზრდა გამოჩნდაო.

ჯანელიძე მალე ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშე გახდა, მერე „ვიტ ჯორჯიაში" მწვრთნელთა ცვლა დაიწყო, გუნდი ბევრმა წამყვანმა ფეხბურთელმაც დატოვა, „ვიტ ჯორჯიამაც" თანდათან დათმო მოწინავე პოზიციები ქართულ საკლუბო ფეხბურთში.

ამასობაში ჯანელიძე „ვიტ ჯორჯიას" ლიდერად ჩამოყალიბდა, ერთხელ **თემურ ქეცბაიამაც** გამოიძახა ნაკრებში და შეცვლაზე ათამაშა კიდეც მოლდოვასთან ამხანაგურ მატჩში, ჯანელიძემ მაშინ 11-მეტრიანი მოინაგრა.

ამის შემდეგ ქეცბაიას ის აღარ გამოუძახებია, თუმცა ჯანელიძე უკვე იქცა სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელად. ბურთის გაგორება, კომბინაციური სტილი, შემოქმედებითი ფეხბურთი - ის ასეთი გუნდისთვისაა ზედგამოჭრილი.

რამდენიმე წელი ვიმუშავე „ვიტ ჯორჯიაში", რითაც საშუალება მომეცა, უფრო კარგად გამეცნო ამ გუნდის მოწინავე ფეხბურთელების თვისებები. ჯანელიძე სხვა რამითაც აღმოჩნდა გამორჩეული - მოედანზე მან არ იცის, რა არის შიში.

ტრანსფერი კი გვარიანად რთული საქმე გამოდგა, აქ მხოლოდ კარგი ფეხბურთელობა ვერ არის საკმარისი, რამდენიმე ინტერესი უნდა დაემთხვეს ერთმანეთს. „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი **გურამ რუხაძე** ფეხბურთში გამოცდილი მენეჯერია და არა მგონია, რომ რეალურად ვერ აფასებდეს ჯანელიძის სატრანსფერო პირობებს, ანუ კლუბის მხრიდან ფეხბურთელს დაბრკოლება წესითა და რიგით, არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ტრანსფერი მაინც არ ჩანს...

ჯანელიძე რამდენიმე თვის წინ რუსეთში წაიყვანა ერთმა აგენტმა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, ფეხბურთელი „ვიტ ჯორჯიაში" დაბრუნდა, არადა ჯანელიძე უცხოეთში მოთამაშე ზოგ ქართველს არაფრით ჩამოუვარდება.



გიორგი ჯანელიძე

ჯანელიძე თითქოს დაინავსა, მაგრამ ეს ნავსიანი პერიოდიც ვერ იქნება უსასრულო. განგება ხშირად უსამართლოდ ექცევა ადამიანს, მაგრამ მერე უხვად აჯილდოებს მას.

ჯანელიძეს თამაშის წაყვანა შეუძლია, ლიდერის თვისებებიც აქვს, რთული სიტუაციიდან დასხლტომია რამდენიმე მეტოქეს და შეტევა გაუმწვავებია. ჯანელიძე ისეთი ფლეიმეიკერია, ბევრი გოლი რომ არ გააქვს, მაგრამ გამთამაშებელი მხოლოდ ამით რომ არ ფასდება, ესეც ნაღდია.

ჯანელიძე 23 წლის გახლავთ, უცხოეთში წასვლის ვადა მისთვის ჯერ არ გასულა, ფულის შოვნა, ყაზახეთში თუ უზბეკეთში წასვლა მერეც მოსწრება, მაგრამ ნაბიჯის წინ გადადგმა ხომ სულ სხვა რამეა...

ჯანელიძე ძალიან გულწრფელი ფეხბურთელია. ხშირად დავმდგარვარ ფაქტის წინაშე - ფეხბურთელი ინტერვიუს დროს თვალებში მიყურებს, კითხვებზე მპასუხობს და ვიცი, რომ ტყუილს მეუბნება. ჯანელიძე კი სულ სხვანაირია, მისგან ასეთი რამ წარმოუდგენელია, ადამიანს ხანდახან გულწრფელობასთან ერთად გულუბრყვილობაც ძალიან უხდება.

კარგი აგენტი - ჯანელიძეს ახლა ყველაზე უფრო ეს სჭირდება.

**დავით თავართქილაძე**

დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!

დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge
ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელი ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.
დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N2
რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.
მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

## ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპის შეჯამება
კოლხეთი (ფოთი). ადგილი XII

# საუკუნოვანი იუბილე არასაზეიმო განწყობით

ფოთის "კოლხეთი 1913"-ს საუკუნოვანი იუბილე უსრულდება. ფოთელები ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღნიშვნას აპირებენ, მაგრამ ზეიმს გუნდის წარუმატებელი ასპარეზობა გააუფერულებს.

სეზონის დაწყებამდეც ნათელი იყო, რომ "კოლხეთი" მაღალ მიზნებს ვერ შეეჭიდებოდა, მაგრამ ვვარაუდობდით, რომ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მთელი ძალით იბრძოლებდა და წესით, საამისო შანსებიც უნდა ჰქონოდა. წინა სეზონში ხომ ზღვისპირელებმა ეს ამოცანა წარმატებით განახორციელეს.

ჩემპიონატის მარცხიანი დასაწყისის შემდეგ "კოლხეთი" ტურიდან ტურამდე ვერ ახერხებდა სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებას, რის შემდეგაც ჯერ მყარად დამკვიდრდა ბოლო ადგილზე, სულ მალე კი უმაღლეს ლიგაში დარჩენის თეორიული შანსიღა შერჩა.

ჩემპიონატის პირველი ეტაპი ფოთელებმა გამარჯვების გარეშე ჩაამთავრეს, რაც კლუბის ისტორიაში უპრეცედენტო წარუმატებლობაა. ფაქტია, რომ "კოლხეთი" ამ სეზონში კონკურენტუნარიანი ვერ აღმოჩნდა. არ ვიცით, რას მოიმოქმედებენ კლუბის მესვეურები ზამთრის სატრანსფერო პერიოდში, მაგრამ ამთავითვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გუნდმა სეზონი ჩააგდო. არა მხოლოდ ფოთელი, არამედ ნეიტრალური ქომაგისთვისაც გულდასაწყვეტი უნდა იყოს, ცხრილის ქვედა ნაწილში ინტრიგამ რომ იკლო და ახლა ისღა დარჩა გასარკვევი, ვინ დაიკავებს ბოლოსწინა ადგილს, ანუ ვინ მიჰყვება "კოლხეთს" პირველ ლიგაში.

პირველი ეტაპის შუა წელში "კოლხეთის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **დავით მახარაძე** გამოცდილმა **სოსო ფილიამ** შეცვალა, თუმცა კოლხებმა პირველი გამარჯვება ვერც მისი ხელმძღვანელობით იზეიმეს. "კოლხეთმა" მხოლოდ თასის მეთექვსმეტედფინალში მოიგო, მაგრამ ეს ამ გუნდის წევრებისა და გულშემატკივრებისთვის დიდი შვება ვერ უნდა იყოს.

### მეკარე

"კოლხეთის" ძირითადი მეკარის სტატუსით სეზონი **არდალიონ მიქაბერიძემ** დაიწყო, თუმცა სხვა რგოლების მსგავსად, როტაცია აქაც ხდებოდა და თავის გამოჩენის შანსი **ლევან ბუზუტეიშვილსა** და **მიხეილ ხარშილაძესაც** ეძლეოდათ.

### დაცვა

"კოლხეთმა" პირველი ეტაპის 22 მატჩში 43 გოლი გაუშვა, ამაზე მეტი, 47 ბურთი კი მხოლოდ ბათუმის "დინამოს" აქვს მიღებული. რა თქმა უნდა, გუნდის წარუმატებელ ასპარეზობას მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ რგოლს ვერ დავაბრალებთ, მაგრამ ფაქტია, რომ ფოთელებს არც უკანა ხაზში ჰქონდათY საქმე რიგზე. "კოლხეთის" დაცვიდან შეგვიძლია გამოვარჩიოთ გამოცდილი **პავლე დათუნაიშვილი**, რომელმაც პირველ ეტაპზე სამი გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით გუნდის საუკეთესო ბომბარდირია.

### ნახევარდაცვა

გუნდის შუა ხაზში სამწვრთნელო შტაბმა არაერთ ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის საშუალება, მაგრამ მათგან რომელიმეს გამორჩევა გაგვიჭირდება.

### თავდასხმა

ფოთელთა წინა ხაზზე ყველაზე ხშირად **შალვა კვანტალიანსა** და **ილია პავლიაშვილს** ვხედავდით, თუმცა როგორც უკვე ვთქვით, "კოლხეთის" საუკეთესო ბომბარდირი მცველია და ამით ყველაფერია ნათქვამი...

### მიზანი

მიმდინარე სეზონში "კოლხეთს" კონკრეტული მიზანი აღარ აქვს – ფოთელებმა უმაღლეს ლიგაში დარჩენის იმედები დიდი ხნის წინ გადაიწურეს და მეორე ეტაპის ათ მატჩს მომავალი სეზონისთვის მოსამზადებლად თუ გამოიყენებენ. განსაკუთრებული პერსპექტივა "კოლხეთს" არც საქართველოს თასის გათამაშებაში უნდა ჰქონდეს, მით უფრო, იმის ფონზე, რომ მერვედფინალში საქმე თბილისის "დინამოსთან" ექნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



პავლე დათუნაიშვილი (მარცხნივ) თბილისის დინამოსთან მატჩში

| კოლხეთის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე | | |
|---|---|---|
| I ტური | კოლხეთი-ჩიხურა | 0:2 |
| II ტური | სიონი-კოლხეთი | 0:0 |
| III ტური | კოლხეთი-ზუგდიდი | 1:1 |
| IV ტური | დინამო (თბ)-კოლხეთი | 5:0 |
| V ტური | კოლხეთი-ზესტაფონი | 0:2 |
| VI ტური | მეტალურგი-კოლხეთი | 2:1 |
| VII ტური | კოლხეთი-ტორპედო | 1:1 |
| VIII ტური | დინამო (ბთ)-კოლხეთი | 3:1 |
| IX ტური | კოლხეთი-მერანი | 0:1 |
| X ტური | კოლხეთი-დილა | 0:3 |
| XI ტური | ვიტ ჯორჯია-კოლხეთი | 2:0 |
| XII ტური | ჩიხურა-კოლხეთი | 2:1 |
| XIII ტური | კოლხეთი-სიონი | 0:1 |
| XIV ტური | ზუგდიდი-კოლხეთი | 1:0 |
| XV ტური | კოლხეთი-დინამო (თბ) | 0:2 |
| XVI ტური | ზესტაფონი-კოლხეთი | 2:1 |
| XVII ტური | კოლხეთი-მეტალურგი | 2:3 |
| XVIII ტური | ტორპედო-კოლხეთი | 2:1 |
| XIX ტური | კოლხეთი-დინამო (ბთ) | 1:2 |
| XX ტური | მერანი-კოლხეთი | 4:0 |
| XXI ტური | დილა-კოლხეთი | 1:0 |
| XXII ტური | კოლხეთი-ვიტ ჯორჯია | 1:1 |

მეკარეები: არდალიონ მიქაბერიძე - 11 მატჩი, ლევან ბუზუტეიშვილი - 6 მატჩი, მიხეილ ხარშილაძე - 6 მატჩი;

მცველები: პავლე დათუნაიშვილი - 19 მატჩი, 3 გოლი, თემურ ფარულავა - 19 მატჩი, ჯემალ გაბუნია – 18 მატჩი, 1 გოლი, პაატა ცხვიტარია – 17 მატჩი, 2 გოლი, გიორგი კილასონია – 14 მატჩი, ზვიად ჩხეტიანი – 11 მატჩი, გიორგი ტყეშელაშვილი – 8 მატჩი, მამუკა ლორია – 3 მატჩი, გია ჩადუნელი – 3 მატჩი, ლევან კაკულია – 1 მატჩი;

ნახევარმცველები: ომარ გოგონაია – 19 მატჩი, 1 გოლი, გიორგი კრასოვსკი – 19 მატჩი, ლაშა ქებაძე – 16 მატჩი, გიორგი ცხადაია – 13 მატჩი, მიხეილ კობერიძე – 10 მატჩი, თორნიკე მოსიაშვილი – 10 მატჩი, ალექსანდრე ქორჩილავა – 8 მატჩი, ამირან ნაზრია – 6 მატჩი, დავით მეგრელიშვილი – 3 მატჩი, ლაშა ჩალაძე – 3 მატჩი, ლუკა ხომასურიძე – 3 მატჩი, ბექა ხოშტარია – 1 მატჩი, ზვიად ჭედია – 1 მატჩი;

თავდამსხმელები: შალვა კვანტალიანი – 19 მატჩი, 2 გოლი, ილია პავლიაშვილი – 16 მატჩი, 2 გოლი, გიორგი ბუხაიძე – 8 მატჩი, იაკობ აფხაზავა – 5 მატჩი, ვასილ ლუჭაშვილი – 5 მატჩი, კონსტანტინე ბარამიძე – 2 მატჩი, ბიძინა გუჯაბიძე – 1 მატჩი.

მწვრთნელები: დავით მახარაძე (I-XIII ტური), სოსო ფილია (XIV-XXII ტური)

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ბურთები | | | | | | | ბურთები | | | | | | | ბურთები | | |
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | გატ | გაშ | ქ | თ | მ | ფ | წ | გატ | გაშ | ქ | თ | მ | ფ | წ | გატ | გაშ | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 22 | 16 | 4 | 2 | 63 | 19 | 52 | 11 | 11 | 0 | 0 | 43 | 11 | 33 | 11 | 5 | 4 | 2 | 20 | 8 | 19 |
| 2 | დილა | 22 | 16 | 1 | 5 | 36 | 15 | 49 | 11 | 7 | 0 | 4 | 18 | 9 | 21 | 11 | 9 | 1 | 1 | 18 | 6 | 28 |
| 3 | ტორპედო | 22 | 14 | 3 | 5 | 41 | 18 | 45 | 11 | 9 | 1 | 1 | 25 | 7 | 28 | 11 | 5 | 2 | 4 | 16 | 11 | 17 |
| 4 | ჩიხურა | 22 | 13 | 4 | 5 | 35 | 21 | 43 | 11 | 8 | 2 | 1 | 18 | 5 | 26 | 11 | 5 | 2 | 4 | 17 | 16 | 17 |
| 5 | ზესტაფონი | 22 | 11 | 4 | 7 | 30 | 20 | 37 | 11 | 6 | 2 | 3 | 11 | 7 | 20 | 11 | 5 | 2 | 4 | 19 | 13 | 17 |
| 6 | ზუგდიდი | 22 | 10 | 5 | 7 | 27 | 26 | 35 | 11 | 8 | 2 | 1 | 19 | 10 | 26 | 11 | 2 | 3 | 6 | 8 | 16 | 9 |
| 7 | მეტალურგი | 22 | 9 | 4 | 9 | 21 | 26 | 31 | 11 | 5 | 2 | 4 | 13 | 14 | 17 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 12 | 14 |
| 8 | მერანი | 22 | 7 | 2 | 13 | 23 | 36 | 23 | 11 | 6 | 1 | 4 | 16 | 13 | 19 | 11 | 1 | 1 | 9 | 7 | 23 | 4 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 22 | 5 | 7 | 10 | 15 | 29 | 22 | 11 | 1 | 5 | 5 | 7 | 12 | 8 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 17 | 14 |
| 10 | სიონი | 22 | 4 | 6 | 12 | 14 | 38 | 18 | 11 | 1 | 5 | 5 | 5 | 18 | 8 | 11 | 3 | 1 | 7 | 9 | 20 | 10 |
| 11 | დინამო (ბთ) | 22 | 3 | 4 | 15 | 22 | 47 | 13 | 11 | 2 | 1 | 8 | 11 | 21 | 7 | 11 | 1 | 3 | 7 | 11 | 26 | 6 |
| 12 | კოლხეთი | 22 | 0 | 4 | 18 | 11 | 43 | 4 | 11 | 0 | 3 | 8 | 6 | 19 | 3 | 11 | 0 | 1 | 10 | 5 | 24 | 1 |

● ამბები



ჟეზუალდო ფერეირა

## სპორტინგის ახალი მწვრთნელი ჟეზუალდო ფერეირაა

წარსულში ცნობილი ბელგიელი ფეხბურთელის, **ფრენკი ვერკოუტრენის** მოხსნის შემდეგ, პორტუგალიურ გრანდში **ჟეზუალდო ფერეირა** დაინიშნა. ლისაბონის „სპორტინგი" წარუმატებლად ასპარეზობს პორტუგალიის ჩემპიონატში. ამიტომ დანიშვნიდან სამი თვის თავზე ვერკოუტრენი, რომელმაც ოქტომბერში **რიკარდო სა პინტუ** შეცვალა, მოხსნეს.

ფერეირა ამ სეზონში „სპორტინგის" მესამე მწვრთნელია. ის 66 წლისაა და „პორტუ", „ბენფიკა", „მალაგა" და „პანათინაიკოსი" გაუწვრთნია. დეკემბერში ფერეირა „სპორტინგის" სპორტული დირექტორი გახდა. ახალი მწვრთნელი ძველ თანამდებობასაც შეითავსებს.

„სპორტინგი" მე-12 ადგილზეა ჩემპიონატში და გავარდნის ზონას მხოლოდ ქულით უსწრებს.

## სანდრო როსელი: ვილია არ იყიდება!

„ბარსელონას" პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** განაცხადა, რომ „ელ გუახეს" გაყიდვა კლუბს არ სურს „ბარსელონა" შეეცადა ბოლო დროს აგორებული ხმები დავიდ ვილიას შესაძლო გასხვისების შესახებ საბოლოოდ გაფანტოს.

*„სრულიად გამოვრიცხავ ვარიანტს, თითქოს კლუბი ზამთარში დავიდ ვილიას გაყიდვას აპირებს. დავიდი იმ ფეხბურთელთა შორისაა, რომლებიც სეზონის ბოლომდე გვჭირდება"*, - განაცხადა როსელმა ესპანურ „სპორტთან" ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ „ელ გუახე" უკვე 31 წლისაა და ტრავმების გამო სათანადო დონეზე ველარ თამაშობს. ვილიას „ბარსელონასთან" 2014 წლის ზაფხულამდე აქვს კონტრაქტი.

## მარსელო: კრიშტიანო მაინც ფანტასტიკური ფეხბურთელია

ბრაზილიელმა **მარსელომ** მხარი დაუჭირა თანაგუნდელს, რომელიც **ლეო მესისთან** „ოქროს ბურთისთვის" ბრძოლაში კვლავ დამარცხდა. პრესასთან საუბარში, **კრიშტიანო რონალდოს** თანაგუნდელმა მხარდაჭერა გამოუცხადა და მას სხვა რეალელებიც აჰყვნენ: **იკერ კასილიასი** და **სერხიო რამოსი**.

*„კრიშტიანომ ვერ მოიგო „ოქროს ბურთი", მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ის ფანტასტიკური ფეხბურთელია, მას მოედანზე ყველაფრის გაკეთება შეუძლია. რონალდო „რეალისთვის" ბევრს ნიშნავს. ვიცით, რომ ის კიდევ ბევრ ტიტულს მოუტანს კლუბს"*, - თქვა ბრაზილიელმა მცველმა.

*„გვინდოდა ტიტული კრიშტიანოს მოეგო, მაგრამ ეს არ მოხდა. და მაინც, ის ფანტასტიკური ფეხბურთელია. ის მაინც მოიგებს მეორედ „ოქროს ბურთს"*, - განაცხადა სერხიო რამოსმა.

## დეპორმა პაულო ასუნსაო დაიმატა

ლალიგის საგზურის საგაისოდაც შენარჩუნებისთვის ბრძოლაში „დეპორტივო" გამოცდილი ბრაზილიელი ნახევარმცველით, **პაულო ასუნსაოთი** გაძლიერდა. 32 წლის ასუნსაოს თამაში კარგად გვახსოვს მადრიდის „ატლეტიკოში". ევროპაში მას „პორტუსა" და ათენის აეკ-შიც უთამაშია. ასუნსაო თავისუფალი აგენტი იყო, მას მერე, რაც „სან პაულო" დატოვა.

ბრაზილიელმა წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება და კლუბთან სეზონის ბოლომდე გააფორმა ხელშეკრულება, რომელიც ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში, ზაფხულში კიდევ 2 წლით განახლდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



პაულო ასუნსაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არსენალი

# არის, ბატონებო, არის!

## თეო უოლკოტი ემირიტსზე კიდევ ოთხი წლით რჩება

GOAL.COM-ის ინფორმაციით, "არსენალი" **თეო უოლკოტს** ახალ 4-წლიან კონტრაქტზე შეუთანხმდა, რომელსაც ხელი კვირის ბოლომდე მოეწერება და ძალაში მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე შევა. ფეხბურთელის ანაზღაურება კვირაში 60 ათასი ფუნტიდან 90 ათასამდე გაიზრდება. "მეთოფეთა" ლიდერი ბონუსის სახით რამდენიმე მილიონ ფუნტს მიიღებს, რომლის ზუსტ ოდენობას წყარო არ აკონკრეტებს. ამას გარდა წარმატებული ასპარეზობის შემთხვევაში "არსენალი" ფეხბურთელს დამატებით პრემიებსაც გადაუხდის. გადაწყვეტილება ახალ კონტრაქტში ფეხბურთელისთვის ანაზღაურების გაზრდის შესახებ **არსენ ვენგერმა** პირადად მიიღო. უცნობია, შეთანხმდნენ თუ არა ფეხბურთელი და მთავარი მწვრთნელი, თუ რა პოზიციაზე მოუწევს თეოს ამიერიდან ასპარეზობა. ფაქტია, რომ თავდასხმის ცენტრში გადანევის შემდეგ მისმა ეფექტურობამ თვალში საცემად მოიმატა.

### იკერი არსენალში?

"არსენალის" მიერ იანვრისთვის დაანონსებული სატრანსფერო აქტივობა ჯერჯერობით მხოლოდ საგაზეთო მასალებზე აისახა. ყველა წყარო ჩრდილოლონდონელებს კონკრეტული ფეხბურთელით დაინტერესებას მიაწერს. ამ ეტაპზე რაიმე რეალურზე ლაპარაკი ჩვენი მხრიდან წყლის ნაყვა იქნებოდა. ასე მაგალითად, Latinospost.com-ის მტკიცებით, მიმდინარე წლის ზაფხულისთვის ვენგერი მადრიდის "რეალიდან" 31 წლის **იკერ კასილიასის** გადაბირებას აპირებს. აღნიშნული ხმების გავრცელება ალბათ იმან გამოიწვია, რომ სამეფო კლუბის ლეგენდასა და **ჟოზე მოურინიოს** შორის ურთიერთობა კარგა ხანია აირევა. ბოლო ცნობებით, ჟოზემ იკერი ძირითად გუნდში ისევ დააბრუნა. "ინდეპენდენტი" კი ბევრად უფრო "მინიერ" პერსონაზე წერს – "ანდერლეხტის" 26 წლის არგენტინელ საყრდენ **ლუკას ბილიაზე**. "ალბისელესტეს" წევრი დიდი ხანია, რაც ევროპის ელიტურ ლიგაში ლამობს კარიერის გაგრძელებას. იტალიური პასპორტის მქონე ფეხბურთელს ბელგიელებთან ხელშეკრულება 2015 წელს უმთავრდება. კლუბი მას 9 მილიონ ევრომდე აფასებს. ლუკასი წელს არაჩვეულებრივად თამაშობს. პოზიციის მიუხედავად, ის გოლებსაც იტანს და საგოლე გადაცემებსაც არიგებს.


როგორც იქნა, თეო უოლკოტსა და არსენალს შორის გაუგებრობებს წერტილი დაესვა. 23 წლის ფეხბურთელი ემირიტსზე რჩება

### რემსის ურჩევენ

ლუკას ბილიას "ემირიტსზე" მისვლა ყველაზე მეტად **აარონ რემსის** შეავიწროებს. მიმდინარე სეზონში 22 წლის უელსელი ისედაც არ არის განებივრებული სათამაშო პრაქტიკით, თუმცაღა მან "არსენალთან" ახალ, 5-წლიან კონტრაქტზე ხელი მაინც დაუფიქრებლად მოაწერა. უელსის ნაკრების მთავარი მწვრთნელის **კრის კოულმენის** ასისტენტი, ექსარსენალელი **ჯონ ჰართსონი** თანამემამულეს 6 თვით სხვა გუნდში გადასვლას ურჩევს, რათა ყველას დაუმტკიცოს, თუ რა შეუძლია. *"ჭეშმარიტებად არ ვასაღებ, მაგრამ მაინც მგონია, რომ აარონს ზედიზედ რამდენიმე თამაშის ჩატარება სჭირდება იმისთვის, რომ თამაშის რიტმი ხელახლა შეიგრძნოს. შესაძლოა, ამისთვის ცოტა ხნით სხვა გუნდში გადასვლა იდეალური გამოსავალი იყოს. რემსის სახეზე ღიმილი სჭირდება და თამაშისგან სიამოვნების მიღება. როცა მის ახლანდელ თამაშებს ვუყურებ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ მას მუდმივად რაღაც ბოჭავს,"* – განაცხადა ჰართსონმა BBC-ისთან ინტერვიუში.

## ჩელსი

# გარდამტეხი ასაკი ახალგაზრდული გუნდისთვის

"ჩელსის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობების შემსრულებელმა **რაფა ბენიტესმა** გულწრფელად განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონში მის გუნდს სერიოზული ამოცანების გადაჭრა საკმაოდ გაუჭირდება, რადგან გუნდი პრაქტიკულად თავიდან იქმნება. პრინციპში ლოგიკა გასაგებია, რადგან არა ერთ და ორ ექსპერტს აღუნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, **ჟოზე მოურინიო** "სტემფორდ ბრიჯიდან" დიდი ხანია წავიდა, "ჩელსი" ისევ მისეული სტილითა და კლიშეებით განაგრძობდა თამაშს. პირველი, ვინც "განსაკუთრებული კაცის" გავლენისგან გათავისუფლება სცადა, **ანდრე ვილაშ ბოაში** იყო, მაგრამ მას საკმარისი დრო არ მისცეს. *"ჩემგან იმის მტკიცება, რომ "ჩელსიში" დიდი გარდაქმნების ეპოქის მომსწრენი ვართ, ზედმეტი მგონია. გულშემატკივრებს ეს კარგად უნდა ესმოდეთ. ცხადია, შედეგები უკეთესის სურვილს ტოვებს, მაგრამ გუნდი მშენებლობის ფაზაშია, ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. ყველამ, ვინც ჩვენს თამაშს აანალიზებს, უნდა გაითვალისწინოს, რომ გვყავს ახალწვეულები, რომელთაც გამოცდილება ჯერ კიდევ აკლიათ სათანადო დონეზე სათამაშოდ. გვყავს ასევე ვეტერანი ფეხბურთელებიც და ამ ორ კატეგორიას ერთმანეთთან საერთო ენა ჯერ კიდევ გამოსანახი აქვს. როცა ეს მოხდება, სასურველ შედეგსაც მხოლოდ მაშინ ვნახავთ,"* – აცხადებს რაფა ბენიტესი.

### დედაქალაქელთა სამიზნეში: ფელაინი, ბენიატი...

"ჩელსის" "ევერტონიდან" **მარუან ფელაინის** ყიდვა რომ სურს, ამაზე არაერთხელ დაგვიწერია. ლონდონელები მერსისაიდელებს იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე 22 მილიონ ფუნტად სთავაზობდნენ ფეხბურთელის გაყიდვას. როგორც ირკვევა, ამ ეტაპზე გარიგება არ შედგება. **დევიდ მოიესის** თქმით, "ევერტონი" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაშია ჩაბმული და 24 წლის ლიდერთან გამოთხოვება მისი მხრიდან დანაშაული იქნებოდა. "ჩელსის" იმედი აქვს, რომ ბელგიელს სეზონის დასრულების შემდეგ მაინც ჩაიგდებს ხელთ. დასავლეთლონდონელები ლამპარდის შეცვლას სწორედ ფელაინით აპირებენ. თავის მხრივ "ევერტონს" ნამდვილად არსად ეჩქარება. ბელგიელის კონტრაქტი 2016 წლის ზაფხულამდეა ძალაში. ფელაინის გარდა "ჩელსის" "ბეტისის" ცენტრალური ნახევარმცველის, 25 წლის **ბენიატ ეჩებარიას** ყიდვა აქვს ჩაფიქრებული. AS-ის მტკიცებით, სევილიელები ლიდერს 20 მილიონ ევროდ აფასებენ. ლონდონელები კი მხოლოდ ამის ნახევარს ჩამოდიან.

### ლამპარდის მანჩესტერული მომავალი

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ ინგლისური პრესის ვარაუდით, **ფრენკ ლამპარდი** კარიერის გასაგრძელებლად პრემიერლიგის კლუბს არ აირჩევდა. თუმცა ვარაუდი იმისია, რომ ის ან გამართლდება, ან – არა. იმპერატიული ტონით ამაზე წერას, ცხადია, ჩვენ ვერ შევუდგებით. რიგი წყაროების მტკიცებით, იმ შემთხვევაში, თუკი **პოლ სქოულზი** ზაფხულზე "მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტს აღარ გაახანგრძლივებს (რისი ალბათობაც ძალიან დიდია), "ეშმაკები" ლამპარდს ერთწლიან თანამშრომლობას შესთავაზებენ, თანაც გაგრძელების პერსპექტივით. მოლაპარაკებები მხარეთა შორის უკვე დაწყებულია. მიუხედავად იმისა, რომ ლამპარდი წლების განმავლობაში "ჩელსის" ლიდერი და შესაბამისად, "იუნაიტედის" "დაუძინებელი მტერი" იყო, მანკუნიანელთა ფანები მის მიმართ ზიზღს ნამდვილად არ გრძნობენ. ინგლისში ანალოგიური დადებითი განწყობილება კიდევ ერთი ფეხბურთელის მიმართ არსებობს, რასაკვირველია, **სტივ ჯერარდზე** მოგახსენებთ.


ჩელსის ბენიატ ეჩებარია ძალიან კი მოსწონს, მაგრამ 20 მილიონს მასში ჯერ ვერ იმეტებს

## ამბები



### ბიუტნერი იჯარით

"მანჩესტერ იუნაიტედის" 23-წლის მარცხენა მცველ **ალექსანდერ ბიუტნერს** დებიუტი მე-4 ტურში ჰქონდა "უიგანთან" (4:0). დასაწყისი იმდენად შთამბეჭდავი იყო (გოლი, საგოლე გადაცემა, ტურის სიმბოლური ნაკრები), რომ ზოგმა ისიც კი დაწერა, როგორც იქნა **პატრის ევრას** ღირსეული კონკურენტი გამოუჩნდაო, მაგრამ... მას მერე ჰოლანდიელს პრემიერლიგაში არათუ ძირითადში, შეცვლაზეც აღარ უთამაშია. მისთვის სკამზე ჯდომაც კი პატივია. უცნაურია, მაგრამ **ალექს ფერგიუსონი** მას თავის გამოჩენის შანსს ჩემპიონთა ლიგასა და სათასო შეხვედრებში აძლევდა. ბიუტნერს, სავარაუდოდ, პრემიერლიგის საშუალო გაქანების კლუბში გაუშვებენ ერთწლიანი მივლინებით.

### ბეინსი დაიმტვრა

BBC-ის ცნობით, ასოციაციის თასზე "ჩელტენჰემთან" მე-3 ეტაპის შეხვედრის მეორე ტაიმში "ევერტონის" 28 წლის მარცხენა მცველმა **ლეიტონ ბეინსმა** კოჭის სერიოზული ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა. რამდენად მძიმე იქნება ბეინსის დაზიანება, ამაზე პასუხს მხოლოდ დღეისთვის დანიშნული სამედიცინო გამოკვლევა გაგვცემს.

### ადებაიორი აფრიკის თასზე მიემგზავრება

ტოგოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **ამეი გაბრიელის** თქმით, მისი ორგანიზაცია "ტოტენჰემის" შემტევ **ემანუელ ადებაიორს** უკვე მოელაპარაკა და ის აფრიკის ეროვნებათა თასზე ტოგოს ნაკრების ღირსებას დაიცავს. დეკემბერში 28 წლის ვარსკვლავი ნაკრებში თამაშზე უარს დაბალი პრემიალურების გამო ამბობდა, მერე ნათქვამი შეარბილა და მიზეზად უსაფრთხოების გარანტიების არარსებობა დაასახელა. როგორც ჩანს, აფრიკელს გულმა მაინც არ მოუთმინა და **დიდიე სიქსის** მიწვევას მაინც დაჰყაბულდა. *"ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამხრეთ აფრიკაში ემანუელი ჩვენთან ერთად იქნება. ის ტოგოს ნაკრების კაპიტანი და ლიდერია,"* – განაცხადა გაბრიელმა. ადებაიორი უკვე შეუერთდა ნაკრების შეკრებას.



### მარად ტრავმირებული დაიერი



**კირონ დაიერმა** "იპსვიჩში" კარიერა როგორც უაღრესად პერსპექტიულმა ნახევარმცველმა ისე დაიწყო. წარმოიდგინეთ, მასა და **მაიკლ ოუენს** ექსპერტები ერთ რანგშიც კი განიხილავდნენ. დაიერზე ინგლისური ფეხბურთის გრანდებმა გამოაცხადეს ნადირობა. ფეხბურთელმა უპირატესობა "ნიუკასლს" მიანიჭა. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ამაზეა ნათქვამი. რეგულარულმა ტრავმებმა, მკურნალობამ, გამაყუჩებლებზე "ჯდომამ", მას პოტენციალის გამოვლენის საშუალება მოუსპო. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში დაიერის ანგარიშზე სულ რაღაც 50-მდე მატჩია და აქედან ნახევარზე მეტი შეცვლაზე. მეტ დატვირთვას კირონის მუხლები უბრალოდ ვერ უძლებდა. და აი, "ქუინზ პარკმა" ვეტერანთან სეზონის ბოლომდე გაფორმებული კონტრაქტი გააუქმა და მას თავისუფალი აგენტის სტატუსი უბოძა. ხელშეკრულებით ლონდონელებს ამის უფლება ჰქონდათ. *"თუკი ის როგორმე მოაგვარებს ჯანმრთელობის პრობლემებს, ეჭვი არ მეპარება, რომ მისი მსურველი კლუბები კიდევ გამოჩნდებიან, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ კირონი ჩემს გეგმებში ვერ ჯდებოდა,"* – აღნიშნული ნახევრად კორექტული განცხადება **ჰარი რედნაპმა** გააკეთა.

### ლივერპულს ასტორი სურს

"ლივერპულს" სერია A-ს "კალიარიდან" "სკუადრა აძურას" წევრის, 26 წლის **დავიდე ასტორის** შეძენა სურს და მზადაა, იტალიელ სტოპერში 9,5 მილიონი ფუნტი გადაიხადოს. სარდინიელები კი ტრანსფერს 12 მილიონად აფასებენ. "დეილი მეილის" ცნობით, ასტორის ყიდვას "საუთჰემპტონიც" აპირებს და თანახმაა იტალიელების მიერ მოთხოვნილი თანხა გაიღოს. ვნახოთ, როგორი იქნება "ლივერპულის" პასუხი.



გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

# ოქროს ბურთი 2012. მწვრთნელების და კაპიტნების არჩევანი

## კაპიტნები

| | | | |
|---|---|---|---|
| ლორიკ კანა (ალბ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ინიესტა |
| მაჯიდ ბუგერა (ალჟ) | 1. ბენზემა | 2. მესი | 3. რონალდო |
| ლიატამ ამისონე (ამ. სამ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. აგუერო |
| ოსკარ სონეჯი მასანდი (ანდ) | 1. ინიესტა | 2. მესი | 3. რონალდო |
| კონორ გირდონი (ანგილია) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ვან პერსი |
| ჯორჯ დაბლინი (ანტ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ლიონელ მესი (არგ) | 1. ინიესტა | 2. ჩავი | 3. აგუერო |
| რომან ბერეზოვსკი (სომ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. კასილიასი |
| რაიმონ ბატენი (არუბა) | 1. ინიესტა | 2. იოზილი | 3. ბუსკეტსი |
| ლუკას ნილი (ავსტრალია) | 1. რონალდო | 2. ვან პერსი | 3. მესი |
| კრისტიან ფუხსი (ავსტრია) | 1. ჩავი | 2. ინიესტა | 3. ბალოტელი |
| რაშად სადიხოვი (აზერ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ლესლი სენტ ფლორი (ბაჰ) | 1. მესი | 2. რუნი | 3. იაია ტურე |
| სუჯონი (ბანგ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| რაშიდა უილიამსი (ბარბ) | 1. რონალდო | 2. ინიესტა | 3. მესი |
| სერგეი ვერემკო (ბელ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩავი |
| ვენსან კომპანი (ბელ) | 1. მესი | 2. ჩავი | 3. ფალკაო |
| იან გეინეირი (ბელიზი) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. კასილიასი |
| ჯონ ნუსუმი (ბერმ.) | 1. ინიესტა | 2. მესი | 3. რონალდო |
| პასანგ ტსერინგი (ბუტ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ლონალდ რალდესი (ბოლ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. კასილიასი |
| ემირ სპაჰიჩი (ბოს) | 1. მესი | 2. ფალკაო | 3. ჩავი |
| მომპატი ტსუმა (ბოტს) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩავი |
| ტიაგო სილვა (ბრა) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. იბრაჰიმოვიჩი |
| ჰაჯი კამისი (ბრუნ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. კასილიასი |
| იველინ პოპოვი (ბულ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| მუმუნი დაგანო (ბ ფასო) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| ვალერი ნაჰაიო (ბურ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| ნგონ კეო სოკი (კამბ) | 1. ინიესტა | 2. პირლო | 3. ჩავი |
| სამუელ ეტოო (კამ) | 1. მესი | 2. იაია ტურე | 3. ჩავი |
| კევინ მაკენა (კან) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩავი |
| ფერნანდო ნევესი (კაპ. ვერ.) | 1. რონალდო | 2. დროგბა | 3. მესი |
| იან ლინდო (კაიმ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| არმელ კულარა (ჩად) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ჟენ ჟი (ჩინ) | 1. ჩავი | 2. მესი | 3. ჩაბი ალონსო |
| მარიო იეპესი (კოლ) | 1. ფალკაო | 2. რონალდო | 3. მესი |
| მაჰამუდ მროივილი (კომ) | 1. ინიესტა | 2. ს. რამოსი | 3. ვან პერსი |
| კევინ ანდზუანა (კონ) | 1. რონალდო | 2. ინიესტა | 3. მესი |
| მაბი მპუტუ (კდრ) | 1. ფალკაო | 2. მესი | 3. რონალდო |
| ბრიან რუისი (კ. რიკა) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| დარიო სრნა (ხორ) | 1. მესი | 2. კასილიასი | 3. ს. რამოსი |
| ოდელინ მოლინა (კუბ) | 1. ჩავი ალონსო | 2. მესი | 3. რონალდო |
| აშარ ბერნარდუსი (კურ) | 1. მესი | 2. დროგბა | 3. ინიესტა |
| მიხაელ კონსტანტინუ (კვი) | 1. ინისეტა | 2. დროგბა | 3. ჩავი |
| ტომაშ როსიცკი (ჩეხ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ვან პერსი |
| დანიელ აგერი (დან) | 1. პირლო | 2. ინიესტა | 3. მესი |
| აჰმედ მოჰამედი (ჯიბ) | 1. იბრაჰიმოვიჩი | 2. მესი | 3. იაია ტურე |
| ჰაინც ბარმეტლერი (დომ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ნეიმარი |
| ვალტერ აიოვი (ეკვ) | 1. ჩავი | 2. მესი | 3. ნეიმარი |
| ესამ ელჰადარი (ეგვ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. პირლო |
| დაგობერტო პორტილიო (სალ) | 1. მესი | 2. ჩავი ალონსო | 3. ინიესტა |
| სტივენ ჯერარდი (ინგ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩაბი ალონსო |
| დანიელ გოიტომი (ერით) | 1. რონალდო | 2. ინიესტა | 3. ფალკაო |
| რაგნარ კლავანი (ესტ) | 1. ვან პერსი | 2. მესი | 3. პირლო |
| დეგუ დებებე (ეთი) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ჩავი |
| ფროი ბენიამინსენი (ფარ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ტანიელა ვაგა (ფიჯ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| ნიკლას მოისანდერი (ფინ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. იბრაჰიმოვიჩი |
| უგო ლორისი (საფ) | 1. კასილიასი | 2. ფალკაო | 3. დროგბა |
| გორან პანდევი (მაკ) | 1. მესი | 2. ვან პერსი | 3. ჩავი |
| **ჯაბა კანკავა (საქ)** | **1. რუნი** | **2. მესი** | **3. ჩავი** |
| ფილიპ ლამი (გერ) | 1. ინიესტა | 2. მესი | 3. რონალდო |
| ასამოა გიანი (გან) | 1. მესი | 2. იაია ტურე | 3. რუნი |
| დიმიტრიოს სალპინგიდისი (საბ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| მარკ მარშალი (გრე) | 1. მესი | 2. ფალკაო | 3. ნეიმარი |
| ჯეისონ კანლიფი (გუამი) | 1. ინიესტა | 2. მესი | 3. ჩავი ალონსო |
| კარლოს რუისი (გუატ) | 1. რონალდო | 2. კასილიასი | 3. მესი |
| კამილ ზაიატი (გვი) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ინიესტა |
| კრის ნერსი (გაი) | 1. დროგბა | 2. მესი | 3. რონალდო |
| ნოელ ვალიადარესი (ჰონ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| ჩან ვაი ჰო (ჰონ კონ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. დროგბა |
| ზოლტან გერა (უნგ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ვან პერსი |
| ეინარ გუნარსონი (ისლ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. იბრაჰიმოვიჩი |
| სუნილ ჩეტრი (ინდ) | 1. ინიესტა | 2. მესი | 3. რონალდო |
| ჯანლუიჯი ბუფონი (იტა) | 1. პირლო | 2. მესი | 3. რონალდო |
| ტომას შავარი (იამ) | 1. ჩაბი ალონსო | 2. მესი | 3. ნეიმარი |
| მაკოტო ჰასებე (იაპ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. პირლო |
| ამერ დიბი (იორ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| კაირატ ნურდაულეტოვი (ყაზ) | 1. ჩავი | 2. მესი | 3. რონალდო |
| რი მოინ გუკი (ჩ. კორ) | 1. მესი | 2. დროგბა | 3. იოზილი |
| პა დაესუნგი (კორ) | 1. ჩავი | 2. ბუსკეტსი | 3. იოზილი |
| ნავაფ ალ ხალდი (კუვ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| აზამატ ბაიმატოვი (ყირ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. კასილიასი |
| ვიქსაი პჰაპჰუვანინჰი (ლაო) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ბალოტელი |
| კასპარს გორკსი (ლატ) | 1. მესი | 2. ვან პერსი | 3. ინიესტა |
| როდა ანტარი (ლიბ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| დანკან გებრო (ლიბერ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. დროგბა |
| მარტინ შტოკლასა (ლიხ) | 1. მესი | 2. ფალკაო | 3. ჩაბო ალონსო |
| ტომას დანილევიჩიუსი (ლიტ) | 1. იბრაჰიმოვიჩი | 2. რუნი | 3. პიკე |
| რენე პეტერსი (ლუქ) | 1. მესი | 2. ჩავი | 3. ინიესტა |
| ჩენგ ჩენგი (მაკ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. პირლო |
| ივან რაჯოარიმანანა (მად) | 1. ჩავი | 2. მესი | 3. ინიესტა |
| მოზეს ჩავულა (მალავი) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ნეიმარი |
| ალი აშფაქი (მალდ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| ადამა კულიბალი (მალ) | 1. დროგბა | 2. იბრაჰიმოვიჩი | 3. მესი |
| მაიკლ მიფსუდი (მალტა) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. ბუფონი |
| მუსა ბაგაიოკო (მავ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| კოლინ ბელი (მაურ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. რუნი |
| ფრანსისკო როდრიგესი (მექ) | 1. მესი | 2. ფალკაო | 3. რონალდო |
| ალექსანდრუ ეპურეანი (მოლ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ლუმბენგარავ დონოროვი (მონ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| მირკო ვუჩინიჩი (ჩერ) | 1. ბუფონი | 2. პირლო | 3. იბრაჰიმოვიჩი |
| ჟუნიონ მენდესი (მონ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| ნადირ ლამიაგრი (მარ) | 1. მესი | 2. კასილიასი | 3. რონალდო |
| ჟოაო რაფაელი (მოზ) | 1. რონალდო | 2. დროგბა | 3. ნეიმარი |
| ლვინ ხინ მაუნგი (მიან) | 1. კასილიასი | 2. მესი | 3. ფალკაო |
| რონალდ კეტჯიჯერე (ნამ) | 1. დროგბა | 2. რონალდო | 3. ჩაბო ალონსო |
| უესლი სნეიდერი (ჰოლ) | 1. ვან პერსი | 2. მესი | 3. რონალდო |
| ოლივიერ დოკუნენგო (ახ. კალ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ფალკაო |
| რაიან ნელსენი (ახ. ზელ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩავი |
| დავიდ სოლორსანო (ნიკ) | 1. მესი | 2. ჩავი | 3. აგუერო |
| მუსა მააზუ (ნიგ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. იაია ტურე |
| ჯოზეფ იობო (ნიგ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ნეიმარი |
| სტივ დევისი (ჩ. ირლ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ბრედ ჰანგელანდი (ნორ) | 1. მესი | 2. პირლო | 3. იაია ტურე |
| ჯაფარ ხანი (პაკ) | 1. კასილიასი | 2. ინიესტა | 3. ჩავი |
| ატალ ფაჰედი (პალ) | 1. მესი | 2. კასილიასი | 3. ბალოტელი |
| ბალოი ფელიპე (პან) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ნეიმარი |
| დავიდ მუტა (პაპ. ახ. გვ.) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ვან პერსი |
| ემელიო კალიგდონგი (ფილ) | 1. მესი | 2. ჩავი | 3. ინიესტა |
| იაკუბ ბლაშჩიკოვსკი (პოლ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ბრუნო ალვეში (პორ) | 1. რონალდო | 2. ფალკაო | 3. ვან პერსი |
| მარკო ველესი (პ. რიკო) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. ფალკაო |
| რობი კინი (ირლ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| რაზვან რაცი (რუმ) | 1. მესი | 2. იბრაჰიმოვიჩი | 3. რონალდო |
| იგორ დენისოვი (რუს) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. იბრაჰიმოვიჩი |
| ჟან კლოდ ნდოლი (რუა) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| ენდრიუ სეტეფანო (სამ) | 1. ჩაბი ალონსო | 2. პირლო | 3. ნოიერი |
| სელვა ანდი (სან მარ.) | 1. პირლო | 2. მესი | 3. რონალდო |
| დერილსონ ნევეში (სან ტომე) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ჰავსავი ოსამა (ს. არაბ) | 1. მესი | 2. ჩავი | 3. ინიესტა |
| დარენ ფლეტჩერი (შოტ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ვან პერსი |
| მოჰამედ დიამე (სენ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. იაია ტურე |
| ბრანისლავ ივანოვიჩი (სერ) | 1. რონალდო | 2. დროგბა | 3. მესი |
| დენის ბარბუ (სეიშ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| შაჰრილ იშაკი (სინ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. პირლო |
| მარტინ შკრტელი (სლოვაკ) | 1. რონალდო | 2. ფალკაო | 3. მესი |
| სამირ ჰანდანოვიჩი (სლოვენ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩავი |
| ნურ აბდიკარიმი (სომ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. კასილიასი |
| ბონგანი ხუმალო (ს. აფრ) | 1. იაია ტურე | 2. ჩავი | 3. ინიესტა |
| ჯასტინ რიტჩარდი (ს. სუდ) | 1. დროგბა | 2. ინიესტა | 3. აგუერო |
| იკერ კასილიასი (ესპ) | 1. ს. რამოსი | 2. რონალდო | 3. ჩავი |
| ნიპუნა ბანდარა (შრი ლან) | 1. მესი | 2. ნეიმარი | 3. ვან პერსი |
| რონი ალოემა (სურ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| ჯერომ ნტშალინტშალი (სვაზ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ვან პერსი |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვე) | 1. ჩავი | 2. პირლო | 3. მესი |
| გიოკჰან ინლერი (შვეიც) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| მოსაბ ბალჰუსი (სირ) | 1. მესი | 2. ჩავი | 3. ინიესტა |
| ნიკოლას ვალარი (ტაიტი) | 1. ჩავი | 2. პირლო | 3. მესი |
| ხურშედ მახმუდოვი (ტაჯ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩავი |
| ვონგსა პანუპონგი (ტაილ) | 1. რონალდო | 2. ინიესტა | 3. ვან პერსი |
| მაიკლ უილიამსი (ტრი) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| აიმენ მათლუთი (ტუნ) | 1. მესი | 2. ვან პერსი | 3. რონალდო |
| ემრე ბელოზოღლუ (თურ) | 1. ფალკაო | 2. იოზილი | 3. რონალდო |
| ვლადიმირ ბაირამოვი (თურქმენ) | 1. რონალდო | 2. იბრაჰიმოვიჩი | 3. მესი |
| როდნი დავილმარი (ტერქსი) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| ენდრიუ მვესიგვა (უგა) | 1. მესი | 2. პირლო | 3. რონალდო |
| ანატოლი ტიმოშჩუკი (უკრ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. ფალკაო |
| ისმაელ ალჯნეიბი (აგე) | 1. ინიესტა | 2. ჩავი | 3. პირლო |
| დიეგო ლუგანო (ურუ) | 1. მესი | 2. იბრაჰიმოვიჩი | 3. ფალკაო |
| რეიდ კლოპი (ვირჯ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩაბი ალონსო |
| კარლოს ბოკანეგრა (აშშ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| სერვერ ჯეპაროვი (უზბ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| ჟან რობერტ იელოუ (ვან) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. დროგბა |
| ხუან არანგო (ვენ) | 1. ინიესტა | 2. ჩავი | 3. მესი |
| მინ დუკ ნუენი (ვიეტ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ეშლი უილიამსი (უელ) | 1. მესი | 2. ჩავი | 3. ვან პერსი |
| ავად სალამი (იემ) | 1. პირლო | 2. აგუერო | 3. მესი |
| კრისტოფერ კატონგო (ზამ) | 1. მესი | 2. ჩაბი ალონსო | 3. ინიესტა |
| ნელსონ მატონგორერე (ზიმ) | 1. რონალდო | 2. პიკე | 3. მესი |



მესი



უომბაკი



დელ ბოსკე



ბეკენბაუერი




სტოხი

## მწვრთნელები

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯოვანი დე ბიაზი (ალბ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩაბო ალონსო |
| ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი (ალჟ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. დროგბა |
| ლოფი ლალოგაფუაფუა (ამ. სამ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. აგუერო |
| ხესუს ალვერესი (ანდ) | 1. მესი | 2. ჩავი | 3. ინიესტა |
| კოლინ გირდონი (ანგილია) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ვან პერსი |
| ტომას კერტისი (ანტ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ინიესტა |
| ალეხანდრო საბელია (არგ) | 1. მესი | 2. აგუერო | 3. ფალკაო |
| ვარდან მინასიანი (სომ) | 1. მესი | 2. პირლო | 3. რონალდო |
| ჰერბერტ ბეელსნაიდერი (არუ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| ჰოლგერ ოსიეკი (ავსტრალ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| მარსელ კოლერი (ავსტრ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| ბერტი ფოგტსი (აზე) | 1. ინიესტა | 2. რონალდო | 3. ჩავი |
| კევინ დევისი (ბაჰ) | 1. მესი | 2. კასილიასი | 3. რონალდო |
| საიფულ ბარი (ბანგ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| კოლინ ფორდი (ბარბ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| გეორგი კონდრატიევი (ბელ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩავი |
| მარკ ვილმოტსი (ბელგ) | 1. მესი | 2. ფალკაო | 3. იბრაჰიმოვიჩი |
| შერიე ლე რუა (ბელიზ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. აგუერო |
| ებდრიუ ბასკომი (ბერმ) | 1. ჩაბი ალონსო | 2. რონალდო | 3. მესი |
| კაზუნორი ოჰარა (ბუტ) | 1. მესი | 2. კასილიასი | 3. რონალდო |
| ჩაბიერ ასკარგორტა (ბოლ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩაბო ალონსო |
| საფეტ სუშიჩი (ბოს) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ს. რამოსი |
| სტენლი ტშოსანე (ბოტ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ვან პერსი |
| მანო მენეზეში (ბრა) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ფალკაო |
| ოჰ სონ კვონ დარუსალამი (ბრუნ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩაბი ალონსო |
| ლუბოსლავ პენევი (ბულ) | 1. ინიესტა | 2. მესი | 3. ფალკაო |
| პოლ პუტი (ბურ. ფასო) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| მოჰამედ ლოფტი (ბურ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ჰოკ სოჩეტრა (კამ) | 1. მესი | 2. ნეიმარი | 3. რუნი |
| ჟან პოლ აკონო (კამ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| სტივენ ჰარტი (კან) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| ულისეს ანტუნეში (კაპო ვერდე) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. დროგბა |
| მარკოს ტინოკო (კაიმ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ნეიმარი |
| უმარ მაჰამატი (ჩადი) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ხოსე კამაჩო (ჩინ) | 1. ინიესტა | 2. ჩავი | 3. კასილიასი |
| ხოსე პეკერმანი (კოლ) | 1. მესი | 2. ფალკაო | 3. რონალდო |
| ალი მბაე (კომ) | 1. ჩავი | 2. ინიესტა | 3. ნეიმარი |
| ბართელემი ნგატსონო (კონ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. კასილიასი |
| კლოდ ლე რუა (კდრ) | 1. ფალკაო | 2. მესი | 3. რონალდო |
| ხორხე პინტო (კოსტა რიკა) | 1. ფალკაო | 2. ჩაბი ალონსო | 3. ინიესტა |
| იგორ შტიმაცი (ხორ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. კასილიასი |
| ვალტერ ბენიტესი (კუბ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩაბი ალონსო |
| ეტიენ სილიე (კურ) | 1. მესი | 2. დროგბა | 3. იბრაჰიმოვიჩი |
| ნიკოლაოს ნიოპლიასი (კვი) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ფალკაო |
| მიხალ ბილეკი (ჩეხ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| მორტენ ოლსენი (დან) | 1. ინიესტა | 2. მესი | 3. ჩავი |
| აჰმედ არიდი (ჯიბ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| კლემენტე ერნანდესი (დომ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ნეიმარი |
| რეინალდო რუედა (ეკვ) | 1. ფალკაო | 2. მესი | 3. ნოიერი |
| ბობ ბრედლი (ეგვ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. პირლო |
| ხუან კასტილიო (სალ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| როი ჰოჯსონი (ინგ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| ნეგაშ ტეკლიტი (ერით) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ტარმო რუუტლი (ესტ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. პირლო |
| სიუნეტ ბიშოუ (ეთი) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩავი |
| ლარს ოლსენი (ფარ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. იბრაჰიმოვიჩი |
| ხუან ბუზეტი (ფიჯი) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ვან პერსი |
| მიქსუ პაატელაინენი (ფინ) | 1. მესი | 2. ჩავი | 3. რონალდო |
| დიდიე დეშამი (საფ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩავი |
| სედომირ იანოვსკი (მაკ) | 1. მესი | 2. კასილიასი | 3. პირლო |
| **თემურ ქეცბაია (საქ)** | **1. რონალდო** | **2. მესი** | **3. ინიესტა** |
| იოახიმ ლიოვი (გერ) | 1. იოზილი | 2. ნოიერი | 3. ჩავი |
| ჯეიმს აპია (გან) | 1. მესი | 2. ვან პერსი | 3. რონალდო |
| ფერნანდო სანტოსი (საბ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ფალკაო |
| ალისტერ დე ბელოტე (გრე) | 1. მესი | 2. ნეიმარი | 3. ფალკაო |
| გარი უაიტი (გუამი) | 1. მესი | 2. ჩაბი ალონსო | 3. რონალდო |
| ევერ ალმეიდა (გვა) | 1. რონალდო | 2. კასილიასი | 3. მესი |
| მიშელ დუსიე (გვი) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ჯამაალ შაბაზი (გაი) | 1. დროგბა | 2. მესი | 3. რონალდო |
| ლუის სუარესი (ჰონ) | 1. მესი | 2. პირლო | 3. ინიესტა |
| კიმ პან გონი (ჰონ კონ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩაბო ალონსო |
| შანდორ ედერვარი (უნგ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. ფალკაო |
| ლარს ლაგერბეკი (ისლ) | 1. მესი | 2. ჩაბი ალონსო | 3. იბრაჰიმოვიჩი |
| ვიმ კუვერმანსი (ინდ) | 1. ინიესტა | 2. მესი | 3. რონალდო |
| ჩეზარე პრანდელი (იტა) | 1. პირლო | 2. ბუფონი | 3. მესი |
| ტეოდორ უაიტმორი (იამ) | 1. მესი | 2. იაია ტურე | 3. რონალდო |
| ალბერტო ძაკერონი (იაპ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. პირლო |
| ადნან ჰამადი (იორ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| მორისლავ ბარანეკი (ყაზ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. პირლო |
| იუნ იონ სუ (ჩ. კორ) | 1. მესი | 2. რუნი | 3. იოზილი |
| ჩოი კანგჰე (კორ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| გორან ტუფეგჯიჩი (კუვ) | 1. მესი | 2. ჩავი | 3. ფალკაო |
| სერგეი დვორიანკოვი (ყირ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ინიესტა |
| კიმურა კოკიჩი (ლაოსი) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ვან პერსი |
| ალექსანდრს სტარკოვსი (ლატ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩავი |
| იოჰანეს ბუკერი (ლიბანი) | 1. მესი | 2. ნოიერი | 3. იოზილი |
| კაეტუ სმიტი (ლიბერ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. დროგბა |
| რენე პაურიტში (ლიხ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. ფალკაო |
| ლასლო ჩაბა (ლიტ) | 1. მესი | 2. ჩავი | 3. იოზილი |
| ლუკ ჰოლტცი (ლუქ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| სუი ვინგ ლეუნგი (მაკ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. პირლო |
| მოსა (მად) | 1. რონალდო | 2. ნეიმარი | 3. მესი |
| კინა ფირი (მალ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| ისტვან ურბანი (მალდ) | 1. ინიესტა | 2. რონალდო | 3. მესი |
| პატრის კარტერონი (მალი) | 1. დროგბა | 2. იბრაჰიმოვიჩი | 3. მესი |
| პიეტრო გედინი (მალტა) | 1. ბუფონი | 2. ფალკაო | 3. მესი |
| პატრის ნევეუ (მავ) | 1. მესი | 2. ვან პერსი | 3. რონალდო |
| აკბარ პატელი (მაუ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. დროგბა |
| ხოსე მანუელ დე ლა ტორე (მექ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| იონ კარაში (მოლ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ერდენებატ სანდაგდორჯი (მონ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ინიესტა |
| ბრანკო ბრნოვიჩი (ჩერ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| კენი დაიერი (მონს) | 1. მესი | 2. ჩავი | 3. ინიესტა |
| რაშიდ ტაუსი (მარ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. იბრაჰიმოვიჩი |
| გერტს ენგელსი (მოზ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ოიზილი |
| სუნგ ვა პარკი (მიან) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ბერნარდ კაანიუკა (ნამ) | 1. დროგბა | 2. მესი | 3. ინიესტა |
| ლუის ვან გაალი (ჰოლ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| ალენ მოიზანი (ახ. კალ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ვან პერსი |
| რიკი ჰერბერტი (ახ. ზელ) | 1. ინიესტა | 2. მესი | 3. ჩავი |
| ლეონ ლენა (ნიკ) | 1. ინიესტა | 2. ჩავი | 3. კასილიასი |
| გერნოტ რორი (ნიგერი) | 1. იბრაჰიმოვიჩი | 2. მესი | 3. რონალდო |
| სტივენ კეში (ნიგერია) | 1. იაია ტურე | 2. დროგბა | 3. ვან პერსი |
| მაიკლ ონილი (ჩ. ირლ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. პირლო |
| ეგილ ოლსენი (ნორ) | 1. მესი | 2. ფალკაო | 3. იბრაჰიმოვიჩი |
| ზავიშა მილოსავლიევიჩი (პაკ) | 1. იბრაჰიმოვიჩი | 2. მესი | 3. კასილიასი |
| ჯამალ ჰამარში (პალ) | 1. მესი | 2. ფალკაო | 3. კასილიასი |
| ხულიო დელი ვალდესი (პან) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ნეიმარი |
| ფრენკ ფარინა (პაპ. ახ. გვი) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. კასილიასი |
| ჰანს ვაისი (ფილ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩაბი ალონსო |
| ვალდემარ ფორნალიკი (პოლ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| პაულო ბენტუ (პორ) | 1. რონალდო | 2. ფალკაო | 3. მესი |
| ჯასტინ კამპოსი (პ. რიკო) | 1. მესი | 2. ფალკაო | 3. რონალდო |
| ჯოვანი ტრაპატონი (ირლ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩავი |
| ვიქტორ პიცურკა (რუმ) | 1. მესი | 2. ფალკაო | 3. რონალდო |
| ფაბიო კაპელო (რუს) | 1. მესი | 2. პირლო | 3. რონალდო |
| მიჩო სრედოიევიჩი (რუა) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. იბრაჰიმოვიჩი |
| ვაგა მალო (სამ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. დროგბა |
| ჯამპალო მაცა (სან მარ) | 1. პირლო | 2. დროგბა | 3. რონალდო |
| გუსტავ ნიოუმბა (სან ტომე) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| ფრანკ რაიკარდი (ს. არაბ) | 1. მესი | 2. ჩავი | 3. ინიესტა |
| უილიამ სტარკი (შოტ) | 1. ინიესტა | 2. მესი | 3. რონალდო |
| მარ მაიასინი (სენ) | 1. იაია ტურე | 2. დროგბა | 3. მესი |
| სინიშა მიხაილოვიჩი (სერ) | 1. მესი | 2. იბრაჰიმოვიჩი | 3. რონალდო |
| ჟან გევინი (სეიშ) | 1. პირლო | 2. მესი | 3. რონალდო |
| რადოიკი ავრამოვიჩი (სინ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. პირლო |
| მიხელ ჰიპი (სლოვაკ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| სლავიშა სტოიკოვიჩი (სლოვენ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ჩავი |
| ალი აბდი (სომ) | 1. მესი | 2. ნეიმარი | 3. ბუფონი |
| გორდონ იგესუნდი (ს. აფრ) | 1. მესი | 2. ჩავი | 3. რონალდო |
| ზორან ჯორჯევიჩი (ს. სუდ) | 1. დროგბა | 2. ინიესტა | 3. აგუერო |
| ვისენტე დელ ბოსკე (ესპ) | 1. კასილიასი | 2. ჩავი | 3. ინიესტა |
| სამპათ პერერა (შრი ლანკა) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. ვან პერსი |
| კენეტ იალიენსი (სურ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| ჯოზეფ ვალერე (სვაზ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ერიკ ჰამრენი (შვედ) | 1. იბრაჰიმოვიჩი | 2. კასილიასი | 3. რონალდო |
| ოტმარ ჰიტცფელდი (შვეიც) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| ალსაედ ალდინი (სირ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. კასილიასი |
| ედი ეტაეტა (ტაი) | 1. ჩავი | 2. მესი | 3. დროგბა |
| ნიკოლა კავაზოვიჩი (ტაჯ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. დროგბა |
| ვინი შეფერი (ტაი) | 1. ბუსკეტსი | 2. ინიესტა | 3. რონალდო |
| ჩარლზ ჰატსონი (ტრი) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| სამი ტრაბელსი (ტუნ) | 1. მესი | 2. კასილიასი | 3. ფალკაო |
| აბდულა ავჩი (თურ) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. იოზილი |
| იაზგ. ჰოჯაგელდიევი (თურქმენ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. იბრაჰიმოვიჩი |
| იან ჰარდლი (ტერქსი) | 1. რონალდო | 2. ფალკაო | 3. პირლო |
| ბობი უილიამსონი (უგა) | 1. რონალდო | 2. მესი | 3. ფალკაო |
| ოლექსანდრ ზავაროვი (უკრ) | 1. მესი | 2. ჩავი | 3. რონალდო |
| ალი რედა მაჰდი (აგე) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ფალკაო |
| ოსკარ ტაბარესი (ურუ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ინიესტა |
| ეუსტას ბეილი (ვირჯ) | 1. მესი | 2. ჩავი | 3. დროგბა |
| იურგენ კლინსმანი (აშშ) | 1. მესი | 2. პირლო | 3. რონალდო |
| მირჯალალ კასიმოვი (უზბ) | 1. მესი | 2. ინიესტა | 3. იაია ტურე |
| პერსი ავოკი (ვან) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ნეიმარი |
| ალეხანდრო ფარიასი (ვენ) | 1. კასილიასი | 2. მესი | 3. ფალკაო |
| პჰან თჰანგ ჰუნგი (ვიე) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩავი |
| კრის კოულმენი (უელ) | 1. მესი | 2. რონალდო | 3. ჩავი |
| აბრაჰამ მებრატუ (იემ) | 1. მესი | 2. პირლო | 3. რონალდო |
| რენარ ერვე (ზამ) | 1. მესი | 2. ჩაბო ალონსო | 3. ინიესტა |
| რუჰმან გუმბო (ზიმ) | 1. ინიესტა | 2. მესი | 3. ვან პერსი |

ტატო ბაციკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# დორტმუნდი შაჰინზე ფიქრობს!

## დაბრუნდება თურქი ბორუსიაში?



დაბრუნდება ნური შაჰინი იურგენ კლოპთან?

ინგლისურ და გერმანულ პრესაში გავრცელებული ცნობების თანახმად, 24 წლის თურქი ნახევარმცველი **ნური შაჰინი** შეიძლება დორტმუნდის „ბორუსიაში" დაბრუნდეს. გერმანული კლუბიდან აზარგებამდე შაჰინი „დორტმუნდის" ლიდერი გახლდათ და „ბორუსიასთან" ერთად გერმანიის ჩემპიონი გახდა. იმ სეზონში თურქმა ბუნდესლიგის 30 მატჩში 6 გოლი გაიტანა და 8 საგოლე პასი გააკეთა, რითაც „ბორუსიას" ჩემპიონობაში ლომის წვლილი მიუძღოდა. გაჩემპიონების შემდეგ კი ნური მადრიდის „რეალში" გადავიდა - „სამეფო გუნდმა" ის 10 მილიონ ევროდ იყიდა.

ისევე, როგორც ბევრმა მისნაირმა ფეხბურთელმა, „რეალში" ფავი ვერც შაჰინმა დაიმკვიდრა, რის გამოც მადრიდელებმა გასულ ზაფხულს „ლივერპულში" გაანათხოვრეს, მაგრამ რაკი ვერც ინგლისურ კლუბში გაამართლა იმედები (**ბრენდან როჯერსი** მას ძალიან იშვიათად ათამაშებს და ფაქტია, რომ არ სჭირდება), „დეილი მეილის" ცნობით, შესაძლოა, „დორტმუნდში" დაბრუნდეს. ჩვენი ინგლისელი კოლეგების ინფორმაციით, გერმანიის ჩემპიონისა და თასის მფლობელის ხელმძღვანელები ნურის დაბრუნებაზე სერიოზულად ფიქრობენ.

*„თუ შაჰინი იტყვის, რომ „დორტმუნდში" დაბრუნება უნდა, მზად ვართ, მოლაპარაკებები დავიწყოთ, მაგრამ მისი გადმოსვლა რეალური უნდა იყოს,"* - ეს „ბორუსიას" მენეჯერ **მიხაელ ცორკის** სიტყვებია. შაჰინს „რეალთან" კონტრაქტი 2017 წლამდე აქვს გაფორმებული და „ტრანსფერმარკტი" მას ახლა 15 მილიონ ევროდ აფასებს. ცორკის სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, დორტმუნდელები შაჰინის სრულფასოვან გამოსყიდვაზე ფიქრობენ და ისიც ცხადია, რომ ნურის სანაცვლოდ 15 მილიონის გადახდას არ აპირებენ, თუმცა დიდი შანსია, რომ „რეალი" გაცილებით ნაკლებს დათანხმდეს.

საინტერესოა, რამდენად სჭირდება „დორტმუნდს" შაჰინი და რა ელის მას „ბორუსიაში" გადასვლის შემთხვევაში. **იურგენ კლოპის** განკარგულებაში ახლა ოთხი ცენტრალური ნახევარმცველია: კაპიტანი **სებასტიან კელი, სვენ ბენდერი, ილქაი გიუნდოგანი** და **მორიტც ლაიტნერი**. როცა შაჰინი „დორტმუნდიდან" მიდიოდა, მაშინ გიუნდოგანი და ლაიტნერი „ბორუსიაში" არ თამაშობდნენ. დორტმუნდელებმა გიუნდოგანი სწორედ ნურის შემცვლელად იყიდეს და ეს უკანასკნელი ბრწყინვალე სეზონს ატარებს. გარდა ამისა, „დორტმუნდის" ნახევარდაცვა კარგადაა შეთამაშებული, თუმცა ფაქტია ისიც, რომ „ბორუსიას" შაჰინი ნამდვილად არ აწყენდა.

### კლოპი: ბაიერნის ჩემპიონობა გარდაუვალია

ამასობაში, კლოპმა გერმანიის ზედიზედ მესამე ჩემპიონობაზე ხელი ჩაიქნია. *„ვფიქრობ, წელს „ბაიერნის" ჩემპიონობა გარდაუვალია. ბავარიელები „ვერცხლის სინს" თავიანთ თავს მხოლოდ თვითონ თუ წაართმევენ, მაგრამ არა მგონია, რომ ასე მოხდეს. მიმაჩნია, რომ ჩვენთვის რეალური მიზანი წელს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. მეორე ადგილი ძალიან კარგი შედეგი იქნებოდა და მესამესაც არა უშავს,"* - უთხრა „დორტმუნდის" 45 წლის დამრიგებელმა „დოიჩე პრესე აგენტურს".

ბაიერნი

# ზამერი: მაინცისგან ნიშანს ველით!

## მათიასი კირხჰოფის ახლავე გადაბირებას არ გამორიცხავს

როგორც იცით, მიუნხენის „ბაიერნმა" მომავალი სეზონისთვის „მაინცის" მცველი **იან კირხჰოფი** გაიფორმა. 22 წლის უკანახაზელი რეკორდმაისტერში სეზონის დამთავრებისთანავე, უფასოდ გადავა, რადგან „მაინცთან" კონტრაქტი უმთავრდება. თუმცა ბავარიულ გრანდს ზაფხულისთვის დაბევებული ფეხბურთელის ახლავე გადაბირებაც შეუძლია - ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „ბაიერნი" და „მაინცი" სატრანსფერო თანხაზე შეთანხმდებიან.

ამ თემას გუშინ რეკორდმაისტერის სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** გამოეხმაურა: *„ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვართ წინააღმდეგი, რომ კირხჰოფი „ბაიერნში" ახლავე გადმოვიდეს. მეტიც: ამის სურვილი ნამდვილად გვაქვს. ფაქტია, რომ ჯერი „მაინცზეა" - ჩვენ მათგან ნიშანს ველით, რომლის მიღების შემთხვევაში მზად ვართ, მოლაპარაკებები ვაწარმოოთ. რომელიღაც გაზეთში წავიკითხე, რომ „მაინცის" მწვრთნელ თომას ტუხელს კირხჰოფის სეზონის ბოლომდე შენარჩუნება სურს, ხოლო*



ბაიერნის სპორტული დირექტორი მათიას ზამერი

*ხელმძღვანელები კი მისი ახლავე გამოშვების წინააღმდეგი არ არიან. მე მესმის მწვრთნელისაც, რომელსაც ფეხბურთელის შენარჩუნება უნდა და ბოსებისაც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ რაკი მოთამაშეს ზაფხულში უფასოდ კარგავენ, უმჯობესია, ახლავე გაასხვისონ და ფინანსური ხეირი ნახონ. ერთი სიტყვით, მაინცელებისგან ნიშანს ველოდებით,"* - განაცხადა ზამერმა ყატარში, სადაც ბავარიული გრანდი სეზონის მეორე ნახევრისთვის მოსამზადებელ შეკრებას გადის.

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მათიასს სამწვრთნელო საკითხზეც ჩამოუდგეს სიტყვა - როგორც იცით, ბავარიელთა თავკაც **იუპ ჰაინკესს** სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება და ჯერაც არაა გადაწყვეტილი, შეფები ახალ კონტრაქტს გაუფორმებენ, თუ ახალ სპეციალისტს მიიწვევენ.

*„ჩვენ შესანიშნავი მწვრთნელი გვყავს და რაც უნდა მოხდეს, მომდევნო სეზონშიც შესანიშნავი მწვრთნელი გვეყოლება,"* - აღნიშნა ზამერმა.

აღიარება

# გერმანიის ნაკრების ფანებმა იოზილი აირჩიეს!

## მესუთი ისევ წლის საუკეთესო ბუნდესგუნდელია

ზუსტადისე, როგორც შარშან, გერმანიის ნაკრების გულშემატკივრებმა 2012 წლის საუკეთესო ბუნდესგუნდელადაც **მესუთ იოზილი** დაასახელეს. „ფან-კლუბ ნაციონალმანშტაფში" ჩატარებულ გამოკითხვაში მადრიდის „რეალის" გამთამაშებელმა ხმების 32,49 პროცენტი მიიღო. აღსანიშნავია, რომ მეორე ადგილი **მიროსლავ კლოზემ** („ლაციო", 13.89%) დაიკავა, მესამეზე კი **მარკო როისი** (დორტმუნდის „ბორუსია", 13.1%) გავიდა.

გარდა ამისა, გამოკითხვა ჩატარდა გერმანიის ნაკრების წლის ულამაზესი გოლის გამოსავლენადაც და ბუნდესგუნდის ფანებმა 2012 წლის საუკეთესო გოლად კლოზეს ის დარტყმა დაასახელეს, რომლითაც მირომ 16 ოქტომბერს გერმანია შვედეთთან 2:0 დააწინაურა. შეგახსენებთ, რომ ის შეხვედრა 4:4 დასრულდა.

აქვე ვთქვათ, რომ 24 წლის იოზილმა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის არჩევნებში მე-14 ადგილი დაიკავა. მესუთმა 2012 წელს ბუნდესგუნდის ფორმა 14-დან 13 მატჩში მოირგო. საერთო ჯამში მან გერმანიის ნაკრებში 2012 წელს 1089 წუთი ითამაშა, რაც საუკეთესო მაჩვენებელია. ამასთან, იოზილმა ყველაზე მეტი, 6 გოლი გაიტანა და 6 საგოლე პასი მიითვალა. გამოკითხვაში სულ ბუნდესგუნდის ფანკლუბის 19 505-მა წევრმა მიიღო მონაწილეობა - მათ არჩევანი გერმანიის ნაკრების იმ 17 ფეხბურთელს შორის გააკეთეს, რომლებმაც გასულ წელს ბუნდესგუნდში მინიმუმ 7 მატჩი ჩაატარეს.



მესუთ იოზილი

ამბები



რივალდო

### 40 წლის რივალდო სან კაეტანოში

მიუხედავად იმისა, რომ უკვე 40 წლისაა, ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ლიდერი **რივალდო** აქტიურ სპორტულ კარიერას არ ამთავრებს! ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ვეტერანი შემტევი ნახევარმცველი ბრაზილიის მეორე ლიგაში, კერძოდ, „სან კაეტანოში" ითამაშებს. ეს ინფორმაცია ხსენებული კლუბის ხელმძღვანელობამ გუშინ დაადასტურა.

*„მისი შესაძლებლობების ეჭვქვეშ დაყენება არ შეიძლება. ბევრ რამეზე შევთანხმდით და ტრანსფერზე მუშაობას ამ დღეებში დავასრულებთ,"* - განაცხადა „სან კაეტანოს" პრეზიდენტმა **ნაირო ფერეირო დე სოუზამ**, რომელიც რივალდოს კონტრაქტს 2013 წლის ბოლომდე გაუფორმებს. თუ ასე მოხდა, „სან კაეტანო" 1999 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის კარიერაში რიგით მე-15 კლუბი იქნება. რივალდო ბოლოს ანგოლაში თამაშობდა.

### ბეკენბაუერი: მესის პელემდე ბევრი აკლია

**ლიონელ მესის ფრანც ბეკენბაუერიც** პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევს. მისი აზრით არგენტინელმა „ოქროს ბურთი" ზედიზედ მეოთხედ დამსახურებულად მოიპოვა. სამაგიეროდ, კაიზერ-ფრანცი მესის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად ჯერ არ მიიჩნევს. *„მესის აქვს შანსი, რომ ყველა დროის საუკეთესო გახდეს, მაგრამ ჯერ არ არის. პელემ უმაღლეს დონეზე 20 წელი ითამაშა, რის გამოც მას მესიზე წინ ვაყენებ,"* - უთხრა ბეკენბაუერმა „შპორტ აინსს".

### ბელჰანდა: ფენერი თუ ტოტენჰემი?

„მონპელიეს" ლიდერ **ბელჰანდასთვის** ბრძოლაში „ფენერბაჰჩეს" შემდეგ „ტოტენჰემიც" ჩაერთო. 22 წლის მაროკოელის თურქულ კლუბში გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, ახლა კი ინგლისური კლუბიც გამოთქვამს დაინტერესებას და დიდი შანსია, რომ ბელჰანდამ „ფენერბაჰჩესთვის" საბოლოო დასტურის მიცემა გადაიფიქროს.

### რემი თითქმის ნიუკასლელია

„ნიუკასლ იუნაიტედი" „ჩელსიში" გადასული **დემბა ბას** შემცვლელს ეძებს და როგორც ჩანს, საფრანგეთში იპოვა: ინგლისური მედიის ცნობით, მარსელის „ოლიმპიკის" ფორვარდ **ლოიკ რემის** ნიუკასლში გადაბარგება თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. ამ ფეხბურთელის გადაბირებაზე გერმანული კლუბები, „დორტმუნდი" და „შალკეც" ფიქრობდნენ, კონკრეტული წინადადებით კი „მარსელს" „ქუინზ პარკ რეინჯერსმა" მიმართა, მაგრამ რემიმ პრემიერლიგის აუტსაიდერში გადასვლაზე უარი თქვა. ინგლისური მედიის ცნობით, „ნიუკასლი" „მარსელს" 13.5 მილიონ ევროს გადაუხდის.

### პანათინაიკოსს ფაბრი მიხედავს, ბუმსონგი წავიდა

ბერძნული გრანდის, „პანათინაიკოსის" მთავარ მწვრთნელად **ფაბრისიანო გონსალეს პენელასი**, ანუ, „ფაბრი" დაინიშნა. 57 წლის ესპანელი სპეციალისტი საფეხბურთო ევროპამ „გრანადადან" გაიცნო, რომელიც მან 2011 წელს პრიმერადივიზიონში აღაზევა. ფაბრი „გრანადადან" ზუსტად ერთი წლის წინ გაათავისუფლეს. ესპანელი მწვრთნელი „პანათინაიკოსში" **ხუან რამონ როჩას** შეცვლის, რომელიც ათენურ კლუბს მხოლოდ ერთი თვე წვრთნიდა და ახლახან გაათავისუფლეს. შეგახსენებთ, რომ 2012 წლის ნოემბერში ამ უკანასკნელმა „პანათინაიკოსის" თავკაცის პოსტზე პორტუგალიელი **ჟესუალდო ფერეირა** შეცვალა.

აქვე გეტყვით, რომ 33 წლის მცველმა **ჟან-ალან ბუმსონგმა** „პანათინაიკოსი" დატოვა. ორწლინახევრიანი მოღვაწეობის შემდეგ ფრანგმა კონტრაქტი გაწყვიტა. ბუმსონგის მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია.

### შალკე აფელაის შემცვლელს ეძებს

„შალკეს" ფეხბურთელები **იბრაჰიმ აფელაი** და **კრისტოფ მორიტცი** სერიოზულად დაშავდნენ, რის გამოც გელზენკირხენული კლუბის მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** განაცხადა, რომ სატრანსფერო ბაზარზე აუცილებლად გააქტიურდება. *„აფელაის და მორიტცის დაშავების გამო იძულებულები ვხდებით, ახალ მოთამაშეებზე ვიფიქროთ,"* - აღნიშნა ჰელდტმა.

### აბატე ზენიტში?

იტალიური და რუსული პრესის ინფორმაციით, „მილანისა" და იტალიის ნაკრების მარჯვენა მცველი **ინაციო აბატე** შესაძლოა სანკტ პეტერბურგის „ზენიტში" გადავიდეს. რუსული გრანდი მზადაა, 26 წლის აბატეში 12 მილიონი ევრო გადაიხადოს. აბატეს იტალიის ნაკრებში შვიდი მატჩი აქვს ჩატარებული და ზაფხულში, ევროპის ჩემპიონატის ფინალში (ესპანეთთან 0:4) ძირითად შემადგენლობაში იყო.

### კვარეშმა ალ აჰლიშია

ერთ დროს მსოფლიოს ამომავალ ვარსკვლავად შერაცხილი **რიკარდო კვარეშმა** კარიერას არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, კერძოდ „ალ აჰლიში" გააგრძელებს. კვარეშმა ახლა 29 წლისაა, პორტუგალიის ნაკრებში 36 მატჩი აქვს ჩატარებული და შეგახსენებთ, რომ თავისი შესაძლებლობების გამოვლენა „ბარსელონაში", მილანის „ინტერში", „ჩელსისა" და „ბეშიქთაშში" სცადა, მაგრამ იმედები ვერსად გაამართლა. „ალ აჰლისთან", სადაც ცნობილი ბრაზილიელი თავდამსხმელი, **გრაფიტეც** თამაშობს, კვარეშმამ კონტრაქტი 2014 წლამდე გააფორმა. „ბეშიქთაშში" მას კონტრაქტი გაუწყვიტეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიორენტინა

# როსის ახდენილი ოცნება

## 4+4-წლიანი ხელშეკრულება



ჯუზეპე როსი მარტის შუა რიცხვებში დაბრუნდება

მიმდინარე სატრანსფერო ფანჯრის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი "ფიორენტინამ" განახორციელა. ფლორენციულმა კლუბმა "ვილიარეალიდან" 25 წლის ფორვარდი, ჯუზეპე როსი გადაიბირა და ფეხბურთელს დიდი ხნის სურვილი აუხდინა. ტოსკანელებმა როსის სანაცვლოდ 9 მილიონი ევრო უკვე გადაიხადეს და უახლოეს 2 წელიწადში, სხვადასხვა ბონუსის სახით, შესაძლოა კიდევ 3 გადახდა მოუწიოთ.

სულ რაღაც ერთი წლის წინ, ჯუზეპეზე დიდი მოთხოვნა იყო და მისი ფასი 20-25 მილიონი ევროს ფარგლებში მერყეობდა, თუმცა ხანგრძლივმა ტრავმებმა მასზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად შეამცირა. სწორედ ამით ისარგებლა "ფიორენტინამ" და ფორვარდი თავისთან გადაიბირა. მართალია, როსის წაყვანა "იუვენტუსსაც" სურდა, მაგრამ რეალური წინადადებით ესპანელებს მხოლოდ ფლორენციელებმა მიმართეს. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ როსი დღესაც ტრავმირებულია და ბოლო ინფორმაციით, ფეხბურთს მარტის შუა რიცხვებში დაუბრუნდება. ფლორენციაში გადაბარგებით გახარებულმა როსიმ ბრიფინგი გამართა და ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა...

**- რატომ აირჩიეთ "ფიორენტინა"?**

- იტალიაში დაბრუნება დიდი ხანია, მინდა და სიმართლე გითხრათ, ასეთ საინტერესო წინადადებას ერთი წლის წინაც დიდი სიამოვნებით დავთანხმდებოდი. ჩემი აზრით, "ფიორენტინა" იტალიაში ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს და ამიტომ, გადაწყვეტილება ყოყმანის გარეშე მივიღე. მომხიბლა იმ პროექტმა, რომელიც კლუბის მესვეურებს აქვთ შემუშავებული და რომლის ნაწილიც სიამოვნებით გავხდი. უნდა ვაღიარო, რომ ეს ჩემი ოცნების ასრულებაა.

**- კონტრაქტის პირობებზე რას გვეტყვით?**

- ხელშეკრულების დეტალებით ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ბედი "ფიორენტინას" დიდი ხნით დავუკავშირე. კონტრაქტი 4+4-წლიანია და ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს? - საოცარ ქალაქში მოვხვდი და მინდა, აქ რაც შეიძლება დიდ ხანს დავრჩე. რაც მთავარია, კლუბის მესვეურებისგან და მთავარი მწვრთნელისგან სრულ მხარდაჭერას ვგრძნობ. ხელშეკრულების მიხედვით, პირველი ორი წელი, ჩემი საბაზრო ღირებულება 30 მილიონი ევრო იქნება, მომდევნო ორი წელი კი 25 მილიონი. ეს ნათელი დადასტურებაა იმის, რომ ფლორენციელები ჩემს გასხვისებას არ აპირებენ. დღეს, ამხელა თანხას იშვიათად იხდიან.

**- ფლორენციელ გულშემატკივრებს ერთი სული აქვთ, როდის გიხილავენ სტევან იოვეტიჩთან ტანდემში...**

- სტევანი დიდებული ფორვარდია, რომლის მხარდამხარ თამაში ჩემთვის დიდი პატივი იქნება. თუმცა, იგივე შემიძლია ვთქვა ლუკა ტონიზე, რომელიც "ფიორენტინასთვის" მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. ერთად, ნებისმიერი დაცვის გარღვევას შევძლებთ, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

მილანი



სილვიო ბერლუსკონიმ ზაფხულში პეპ გვარდიოლა ვერ დაითანხმა

# ბერლუსკონი: გვარდიოლამ ზღაპრულ კონტრაქტზე გვითხრა უარი

## მილანელებს ძაკარდო სურთ და მესბას უშვებენ

**"მილანის" მესვეურებმა სატრანსფერო ფანჯარა უკვე გამოიყენეს და ალეშანდრე პატო "კორინთიანსს" 15 მილიონ ევროდ მიჰყიდეს. მოკლედ, ზაფხულში დაწყებული პროცესი გაგრძელდა და ლომბარდიული გრანდის ბიუჯეტი კიდევ უფრო გაიზარდა. "მილანის" გარშემო კიდევ არაერთი ინფორმაცია ვრცელდება, რომელთა შესახებაც ქვემოთ მოგითხრობთ...**

### გვარდიოლას თავაზიანი უარი

იტალიელ სპორტულ ჟურნალისტებს კიდევ ერთხელ მიეცათ **სილვიო ბერლუსკონისთან** გასაუბრების საშუალება და ბუნებრივია, რომ ეს შანსი ხელიდან არ გაუშვეს. ამჯერად, "მილანის" პრეზიდენტს არც **მარიო ბალოტელიზე** ჰკითხეს და არც **დიდიე დროგბაზე** - ლაპარაკი **მასიმილიანო ალეგრის** მომავალს და **ხოსეპ გვარდიოლას** „მილანში" შესაძლო გადასვლას შეეხო:

*"დატოვებს თუ არა ალეგრი პოსტს ზაფხულში? - პრეზიდენტი ყოველთვის სიმართლეს უნდა ამბობდეს და ამიტომ, დღეს ამ კითხვაზე საერთოდ არ ვუპასუხებ. ამ დროისთვის ალეგრის ვენდობი და მჯერა, რომ გუნდი მას სწორი მიმართულებით მიჰყავს. თუმცა, სეზონის ბოლომდე დიდი დროა დარჩენილი და კაცმა არ იცის, რა მდგომარეობა იქნება მაისის ბოლოს. თანამედროვე ფეხბურთში, თვეებით ადრე რაიმეზე გადაჭრით საუბარი შეუძლებელია".*

ბერლუსკონის ხოსეპ გვარდიოლას შესახებ ჰკითხეს: *"პეპს ზაფხულში ვესაუბრე და ძალიან კარგი წინადადებითაც მივმართე. დასამალი არაფერია, 4-წლიანი კონტრაქტი გვქონდა გამზადებული, რომლის ფარგლებშიც გვარდიოლას შესანიშნავი სახლი ეკუთვნოდა კომოს ტბასთან ახლოს, მსოფლიოს ცნობილი ვარსკვლავების მეზობლად. გვარდიოლამ "მილანის" მიმართ დიდი პატივისცემა გამოხატა, მაგრამ იქვე დაამატა, რომ მინიმუმ ერთი სეზონი აუცილებლად დაისვენებდა. ეს იყო თავაზიანი უარი, დღეს კი უკვე სხვა ვითარებაა. ჩვენ ალეგრის ვენდობით, ესპანელს კი თავისი გეგმები აქვს".*

### აბიატი კონტრაქტის მოლოდინში

მასიმილიანო ალეგრი ვერაფრით ჩამოყალიბდა, თუ ვინ არის "მილანის" ნომერი პირველი გოლკიპერი... ხან **მარკო ამელიას** ენდობა, ხანაც **კრისტიან აბიატის**, რომელიც ბოლო შეხვედრაში, "სიენას" წინააღმდეგ იყო სასტარტო შემადგენლობაში. როგორც ჩანს, ამ ფაქტმა 35 წლის მეკარე შეაგულიანა და ახალ ხელშეკრულებაზე აალაპარაკა. აქვე ვთქვათ, რომ აბიატის მოქმედ კონტრაქტს ვადა ივნისში გადის - მოვუსმინოთ კრისტიანს:

*"ჩემს მომავალზე აქედანვე ვფიქრობ და კარგი იქნება თუ "მილანის" მესვეურები ვითარებაში გამარკვევენ. დიდი სურვილი მაქვს, რომ კონტრაქტი გავახანგრძლივო და იმედია, ეს ასეც იქნება. თამაშს კიდევ 3-4 წელი მაინც ვაპირებ და მსურს, რომ მთელი ეს პერიოდი "როსონერიში" გავატარო. ალეგრის მხრიდან მხარდაჭერას ვგრძნობ და მჯერა, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება".*

### სავარაუდო ბარტერი

"გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "მილანის" მესვეურებს "პარმას" განაპირა მცველის, **კრისტიან ძაკარდოს** გადაბირება სურთ და მზად არიან, მის სანაცვლოდ ემილიურ გუნდში **ჯამელ მესბა** გაუშვან. 28 წლის ალჟირელი დიდი ხანია ველარ ხვდება "როსონერის" შემადგენლობაში და მასთან შელევა ლომბარდიელთათვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. სამაგიეროდ, 31 წლის ძაკარდოა თავისი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელი და ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, ემილიელები მას ასე იოლად არ შეელევიან. სწორედ ამიტომ, ლომბარდიელები მესბას ორ მილიონ ევროს მიაყოლებენ, რათა გარიგება შედგეს და ძაკარდო თავისთან გადაიბირონ.

აღნიშნულ საკითხზე კომენტარი მასიმილიანო ალეგრის თანაშემწემ, **მაურო ტასოტიმ** გააკეთა: *"ძაკარდო გამოცდილი, უმაღლესი კლასის მცველია, რომელსაც დიდი სიამოვნებით გადავიბირებდით. ინტერესი მართლაც არის, ემილიელებთან მოლაპარაკება მიმდინარობს და ვნახოთ, რით დასრულდება ყველაფერი. კრისტიანი მარჯვენა მცველია, მაგრამ ცენტრშიც შეუძლია თამაში. სწორედ ეს მოგვწონს ყველაზე მეტად, რადგან თანამედროვე ფეხბურთში უნივერსალური თვისებები განსაკუთრებულად ფასობს".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

იუვენტუსი

# მაროტა დროგბას ადასტურებს

## შეთავაზება არის, პასუხი აფრიკელზეა

"სამპდორიასთან" წაგებული შეხვედრა კიდევ ერთი და შესაძლოა გადამწყვეტი სიგნალი გამოდგა "იუვენტუსის" მწვრთნელ-მესვეურებისთვის საიმისოდ, რომ ექსტრაკლასის ფორვარდის გადაბირებაზე იზრუნონ. "ვეკია სენიორამ" სრული უპირატესობით წარმართა გენუელებთან შეხვედრა, მაგრამ თავდამსხმელებმა დამაგვირგვინებელ ფაზაში იშვიათი უზუსტობები გამოიჩინეს. შედარებისთვის, გასულ უქმეებზე, **ედინსონ კავანიმ** ნახევარმომენტები აქცია გოლებად და შედეგად, "ნაპოლიმ" თანაბარ ბრძოლაში წარმართული შეხვედრა "რომას" გამადგურებელი ანგარიშით მოუგო.

მოკლედ, კარგი გამტანი ფორვარდი ევროპული ფეხბურთის გრანდს ნამდვილად უნდა ჰყავდეს და "სამპასთან" შეხვედრამ ეს კიდევ ერთხელ დაგვანახვა. სწორედ გენუელებთან მატჩის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "იუვენტუსის" მესვეურებმა **დიდიე დროგბას** ოფიციალურად მიმართეს... "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, ტურინელები მზად არიან, 34 წლის კოტ დივუარელს ნახევარწლიანი კონტრაქტი გაუფორმონ და ამ მოკლე პერიოდში, 3 მილიონი ევრო გადაუხადონ.

აქვე ვთქვათ, რომ მიზნის მისაღწევად ტურინელებს მხოლოდ ფეხბურთელის დათანხმება სჭირდებათ, რადგან თავად დიდიეს "შანხაი შენხუასთან" ხელშეკრულების გაწყვეტა ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეუძლია. დროგბას მიმართ გაკეთებული შეთავაზება "იუვენტუსის" სპორტულმა დირექტორმა **ჯუზეპე მაროტამ** დაადასტურა:



დიდიე დროგბა

*"დროგბას გადაბირება ნამდვილად გვსურს და ამ მიმართულებით, პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. დიდიეს ნახევარწლიანი ხელშეკრულება შევთავაზეთ, საკმაოდ კარგი პირობებით და ვნახოთ, რა პასუხს გაგვცემს. ვიცი, რომ ევროპაში სურს დაბრუნება და თუ ეს ასეა, მაშინ შეთანხმება არ უნდა გაგვიჭირდეს. დროგბა გამარჯვებული მენტალიტეტის მქონე ფეხბურთელია, ნამდვილი ჩემპიონი, რაც დღეს ყველაზე მეტად გვჭირდება. რაც მთავარია, დიდიეს ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში არ უთამაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრანსფერის შემთხვევაში, ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზეც გამოგვადგება".*

იტალიის თასი. 1/4 ფინალის წინ

# მერე რა, რომ თასია...

## კლასიკა კლასიკაა

VS

იტალიის თასის მეოთხედფინალურმა ეტაპმა ერთმანეთს კალჩოს ორი გიგანტი: "იუვენტუსი" და "მილანი" გადაჰყარა. დღეს, ტურინში მართლაც საინტერესო მატჩი გაიმართება, რომლის გამარჯვებულიც ნახევარფინალურ საგზურს მოიპოვებს.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ეს გუნდები სწორედ ნახევარფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს და მაშინ, ორმატჩიან დუელში გამარჯვება პიემონტელებმა მოიპოვეს. მილანური შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით დასრულდა (1:2), ტურინში კი ფრე დაფიქსირდა (2:2). ამჯერად, იტალიური ფეხბურთის ყველაზე ტიტულოვანი გუნდები მეოთხედფინალში ითამაშებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობას ერთი მატჩი გადაწყვეტს. ტურინელებს დიდი უპირატესობა აქვთ, რადგან ეს ერთადერთი პაექრობა სწორედ მათ სტადიონზე გაიმართება.

სასტარტო შემადგენლობების პროგნოზირება ძალიან რთულია, მაგრამ თუ "გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, მწვრთნელები ექსპერიმენტებისგან თავს შეიკავებენ. **ანტონიო კონტეს** ტრავმირებული **ჯორჯო კიელინის, სიმონე პეპეს, ნიკლას ბენდტნერის** და **კლაუდიო მარკიზიოს** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. რაც შეეხება **მასიმილიანო ალეგრის**, მას **მარიო იეპესი, კრისტიან საპატა, სალი მუნტარი** და **დანიელე ბონერა** დააკლდება. აღარაფერს ვამბობთ **ნაიჯელ დე იონგზე**, რომელმაც მძიმე ტრავმის გამო სეზონი უკვე დაასრულა. სავარაუდოდ, ორივე გუნდი ნაცადი ტაქტიკით გაირჯება: კონტე 3-5-2-ს აირჩევს, ალეგრი 4-3-3-ს, დანარჩენი კი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება.

წინასამატჩოდ, ორივე მწვრთნელი ოპტიმისტურ განწყობაზეა... ალეგრის კარგად ესმის, რომ დიდი ალბათობით, იტალიის თასი "მილანის" ერთადერთი შანსია, სეზონი უტიტულოდ არ დაასრულოს, კონტესა და მისი გუნდისთვის კი ეს ალბათ საუკეთესო საშუალებაა, საკუთარი გულშემატკივრის თვალში "სამპდორიასთან" სამარცხვინოდ წაგებული მატჩისთვის, რეაბილიტაცია მოახდინონ. ვნახოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XVIII ტურის შეჯამება

# განსაკუთრებულიდან თავზე ხელაღებულამდე

## რა დუელი მოუგო ოქროს ბურთისთვის ბრძოლაში დამარცხებულმა რონალდომ მესის და ვინ არიან ცუდი კაცები ესპანურ ფეხბურთში


ადანი და იკერი კვლავ მოვლენათა ეპიცენტრში

**ამბობენ**, „სელტასთან" თასზე და „ოსასუნასთან" ჩემპიონატში „რეალის" კარში იკერ კასილიასი ჩადგება, მაგრამ როგორც კი ანტონიო ადანი დისკვალიფიკაციას მოიხდის, სასტარტოში ისევ 25 წლის გოლკიპერი დაბრუნდება. ასე, ჩვენ თვალწინ, „განსაკუთრებულად" წოდებული ჟოზე მოურინიო ხდება ყველაზე თავზე ხელაღებული მწვრთნელი „სამეფო კლუბის" ისტორიაში...

თქვენ წინაშეა ლა ლიგის მე-18 ტურის შეჯამება, ტურისა, რომელშიც „ბარსელონამ" მდევართან ჰანდიკაპი 11 ქულამდე გაზარდა.

### ბარსა-რეალობა

ისტორიას სათადარიგოთა სკამზე მსხდომები ქმნიან, ყოველ შემთხვევაში ეს ტური ამ ფორმულას კარგად ერგება: სწორედ **ჟოზე მოურინიო**, **ტიტო ვილანოვა** და **იკერ კასილიასი** იყვნენ ტურის მთავარი გმირები თუ ანტიგმირები. ამ ტურში „ბარსას" და „რეალს" შორის სხვაობა არ შემცირებულია (თუმცა ამის შანსი კი იყო), ეს სხვაობა ისედაც კატასტროფულია - 16 ქულა!

### მესი VS რონი

**ლიონელ მესიმ** 90 წუთი ითამაშა „ესპანიოლთან" 4:0 მოგებულ მატჩში. მან კარისკენ 5-ჯერ დაარტყა, 2-ჯერ ზუსტად, გაიტანა 1 გოლი და გააკეთა 1 საგოლე გადაცემა. მის წინააღმდეგ 2-ჯერ დაჯარიმდნენ.

**კრიშტიანო რონალდომ** 90 წუთი ითამაშა „რეალ სოსიედადთან" 4:3 მოგებულ მატჩში. მან კარისკენ 14-ჯერ დაარტყა, 5-ჯერ ზუსტად, 2 გოლი გაიტანა. მის წინააღმდეგ 4-ჯერ დაჯარიმდნენ, თავად ერთხელ დაარღვია თამაშის წესი და ყვითელი ბარათი მიიღო.

„ოქროს ბურთისთვის" ბრძოლაში მორიგ მარცხამდე დღით ადრე, კრიშტიანომ ჩვენს „ტურნირში" აჯობა მესის და ოდნავ შეამცირა ჩამორჩენა არგენტინელთან: 8:13.

### რონალდოს შეწყვეტილი სიმღერა

შარშან კრიშტიანო რონალდომ „რეალის" ყველა თამაშში მიიღო მონაწილეობა, მისთვის ხელი არც ტრავმას და არც დისკვალიფიკაციას არ შეუშლია. აი, წლეულს კი მეორე ტურშივე ექნება კრიშტიანოს წყვეტა - მან სეზონში მე-5 გაფრთხილება მიიღო და „ოსასუნასთან" მატჩს ავტომატურად გამოტოვებს, ისევე როგორც **ანტონიო ადანი**.

**იცით, თუ არა რომ...**

* ტიტო ვილანოვამ გუნდს უხელმძღვანელა სიმსივნეზე ოპერაციის გაკეთებიდან 17 დღეში


ტიტო ვილანოვა ისევ თავის ადგილზეა

* **პედრო როდრიგესმა** თითქმის ხუთ-თვიანი პაუზის მერე გაიტანა გოლი, თანაც ორი. არადა, 18-დან 17 შეხვედრაში სასტარტოში იყო.

* „რეალის" კარში ჰეთთრიკის ავტორმა **ჩაბი პრიეტომ** უკვე 6 გოლი გაუტანა კარიერაში „სამეფო კლუბს".

* მადრიდის „რეალმა" ბოლო 133 კუთხურიდან ერთშიც კი ვერ იხეირა, გოლი ვერ გაიტანა.


პედრომ 5-თვიანი საგოლე შიმშილი შეწყვიტა

**ტურის ფრაზები**

**ჟოზე მოურინიო**: *„სიტუაცია, როცა ფანები მე მერჩიან, მაგრამ კლუბს მხარს უჭერენ, მაწყობს კი არა ძალიან მაწყობს"*, - „რეალის" ფანების ობსტრუქციის შესახებ.

**ხოსე ლუის მენდილიბარი**: *„ესპანეთის ჩემპიონატში „ოსასუნას" წინააღმდეგ ჩასტვენაზე ადვილი არაფერია"*, - „ოსასუნას" თავკაცი ამტკიცებს, რომ ნავარულ კლუბს კვლავ ჩაგრავენ.

**ხავიერ აგირე**: *„საფეხბურთო სამყაროზე მაღლა „ბარსელონაა"*, - 0:4 წაგებული დერბის შემდეგ.

**ხუან ანკელა**: *„უნდიანო მალენკო საერთაშორისო არბიტრია, ესპანეთში საუკეთესო... თეორიულად. აი, პრაქტიკულად კი..."*, - გამონათქვამი, რის გამოც „გრანადას" თავკაცი, შესაძლოა, დასაჯონ.

**დომინგუშ პასიენსია**: *„მე უფრო მეტი და უფრო კარგად მსურს"*, - „დეპორის" ახალი მწვრთნელი ამბიციურია.

**ფილიპ მონტანიე**: *„ეჰ, რა უნიკალური შანსი გავუშვით ხელიდან „სანტიაგო ბერნაბეუზე"*, - „რეალ სოსიედადის" თავკაცის სინანული მადრიდული მარცხის მერე.

**პაკო ხემესი**: *„ვფიქრობ, სეზონში საუკეთესო მატჩი ვითამაშეთ"*, - „რაიო ვალეკანოს" მწვრთნელი მადრიდული დერბის მოგების შემდეგ.

**ლუის გარსია**: *„რაც „ხეტაფეს" მწვრთნელი ვარ, ეს ჩვენი უარესი თამაში იყო"*, - მადრიდული დერბის წაგების შემდეგ.

### ძალიან ცუდი კაცები ესპანურ ფეხბურთში

ტრადიციას დავარღვევთ და ერთ რომელიმე ფაქტს არ გამოვყოფთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ „მალიორკა"-"ატლეტიკოს" (1:1) მსაჯს, **მატეუ ლაოსს** „მარკამ" 10-ბალიანი სისტემით 2-იანი დაუწერა. „სელტა"-"ვალიადოლიდის" (3:1) მსაჯმა, **ველასკო კარბალიომ** 4-იანი დაიმსახურა, „სევილია"-"ოსასუნას" რეფერიმ, **დელ სერო გრანდემ** - 1-იანი, „გრანადა"-"ვალენსიას" (1:2) მსაჯმა, **ალბერტო უნდიანო მალენკომ** - 0!

ყველა, ზემოთ ჩამოთვლილი დაპირისპირების ბედი მსაჯთა შეცდომებმა გადაწყვიტა. მოკლედ, ესპანეთში მსაჯობის მხრივ კატასტროფაა - თუკი ლა ლიგა საფეხბურთო თვალსაზრისით საუკეთესოა მსოფლიოში, მსაჯობის მხრივ, არა გვგონია, ის ასეულში შევიდეს. სხვათა შორის, ზემოთ ჩამოთვლილი მსაჯები იოლად „გამოძვრნენ" აი, **ვიტიენეს ტეიშეირას** კი „სარაგოსას" ფეხბურთელმა **ალვარო გონსალეს არაგონმა** „ძალიან ცუდი კაცი" (ვიცავთ ცენზურას) უწოდა, რისთვისაც წითელი ბარათი უმალ მიიღო. სხვათა შორის, ტეიშეირამ 6 ბალი მიიღო და სხვებზე უკეთ ნამდვილად იმსაჯა.

**ტურის საუკეთესო გოლი**

**ვისენტე იბორა** (ლევანტე) „ბილბაოს" კარში

**ტურის საუკეთესო პასი**

**სერხიო ბუსკეტსი** (ბარსელონა) საგოლე პასი **პედროს**

**ტურის სტატისტიკა**

33 გოლი ტურში (3,3 მატჩში). 7 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 1 ფრედ დასრულდა და 2 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 54 ყვითელი ბარათი, 6 წითელი დაარიგეს.

ჰეთთრიკი: **ჩაბი პრიეტო** (რეალ სოსიედადი)

დუბლი: **კრიშტიანო რონალდო** (რეალი), **პიტი** (რაიო ვალეკანო), **პედრო** (ბარსელონა), **იაგო ასპასი** (სელტა).

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **აიმერიკ ლაპორტე** (ბილბაო, 18 წლის).

ყველაზე მეტი მაყურებელი: 73 800 - „კამპ ნოუ"

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 11 000 - „ტერესა რივერო"

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 28 - ვალენსია

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 11 - რეალი

ყველაზე მეტი ჯარიმა: 24 - დეპორტივო

ყველაზე მეტი კუთხური: 13 - ოსასუნა

ყველაზე მეტი თამაშგარე: 7 - სევილია

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: 75% - ბარსელონა

**მომდევნო ტური**

11 იანვარი: ბილბაო-რაიო ვალეკანო.

12 იანვარი: ვალიადოლიდი-მალიორკა, ესპანიოლი-სელტა, ოსასუნა-რეალი, ვალენსია-სევილია.

13 იანვარი: ბეტისი-ლევანტე, რეალ სოსიედადი-დეპორტივო, ატლეტიკო-სარაგოსა, მალაგა-ბარსელონა.

14 იანვარი: ხეტაფე-გრანადა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**


ბოლო 133 კუთხურიდან რეალმა ერთი გოლიც კი ვერ გაიტანა

**კრიშტიანო რონალდო (რეალი)**



ჟოზე მოურინიომ ქაოსი შეიტანა „რეალში" და ეს ქაოსი რონალდომ დაალაგა და ამით მწვრთნელი, შესაძლოა, მორიგი განსაცდელისაგანაც იხსნა. ორჯერ დიდებულად შეასრულა საჯარიმო (ერთხელ გაიტანა, ერთხელ ბურთი ხარიხას მოხვდა). ნელინადი დუბლით დაიწყო.

**ბომბარდირები**

27 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
17- რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)
16 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)

**ასისტენტები**

11 - ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)
9 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)

**გოლი+პასი**

33 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
19 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
18 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

ლეო მესი (13 მოხვედრა სიმბოლურში) ამჯერად განზე დარჩა, თუმცა არგენტინელს ურიგოდ არ უთამაშია (გოლი და საგოლე პასი). აი, კრიშტიანო რონალდო კი მე-7-დ მოხვდა სიმბოლურში.

**მე-12 ფეხბურთელი**

ჩავი (ბარსელონა)

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



ეროვნული ბიბლიოთეკა



ამბები



## დი სტეფანო: რონალდო, დარჩი!

მადრიდის „რეალის" ლეგენდამ, **ალფრედო დი სტეფანომ** განაცხადა, რომ სათავეში ჩაუდგება კამპანიას, რომლის მიზანიც **კრიშტიანო რონალდოს** „რეალში" დატოვება იქნება. მოგეხსენებათ, 27 წლის პორტუგალიელი სუპერვარსკვლავი ჯერჯერობით უარზეა ხელშეკრულება გააგრძელოს „სამეფო კლუბთან".

*„რონალდო „რეალისთვის" დაუღალავად შრომობს, გააქვს უამრავი გოლი, ის ჩვენთვის შეუფასებელია. ამიტომაც, კრიშტიანოს ურთიერთობა კლუბთან უნდა იყოს სოლიდური. სწორედ ამიტომ, მსურს რონალდო „რეალში" დარჩეს"*, - განაცხადა დი სტეფანომ.

## კანავარო: იუვენტუსი იტალიაში უძლიერესია



იტალიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ფაბიო კანავარო** მიიჩნევს, რომ დღეისათვის ქვეყნის საუკეთესო გუნდი ტურინის „იუვენტუსია". კანავარო ამტკიცებს, რომ „სამპდორიასთან" მარცხი შემთხვევითობა იყო და „ბებერი ქალბატონი" მალევე დაიწყებს გამარჯვებებს. შეგახსენებთ, რომ გასული სეზონი „იუვემ" ისე მოიგო, რომ თამაში არ წაუგია. ახლა კი 5 ქულით უსწრებს მეორეადგილოსანს.

*„სერია A-ში „იუვენტუსი" ყველაზე ძლიერი გუნდია. ტურინელები მენტალურად ძლიერები არიან, ამიტომ ამ მარცხს იოლად გადაიტანენ. როცა კიელინის დარი ფეხბურთელი ვერ თამაშობს, პრობლემები იქმნება, თუმცა „იუვე" ამ სიძნელეებს აუცილებლად დასძლევს"*, - განაცხადა კანავარომ.

## რაკიტიჩი ლოკომოტივში მიდის



მოსკოვის „ლოკომოტივი" ახლოსაა **ივან რაკიტიჩის** დამატებასთან. 24 წლის ხორვატი ნახევარმცველი „სევილიადან" რუსეთის დედაქალაქში გადადის. მედიის ინფორმაციით, სატრანსფერო თანხა 10 მილიონ ევროს შეადგენს. მოსკოველი რკინიგზელები რაკიტიჩს წელიწადში 2 მილიონ ევროს გადაუხდიან ხელფასის სახით.

„სევილიამდე" (2011 წლამდე) რაკიტიჩი გერმანულ „შალკეში" თამაშობდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## უდინეზეს და დი ნატალეს გაყრა შეუძლებელია



მართალია, 35 წლისაა და წესით, უკვე კარიერის დასრულებაზე უნდა ფიქრობდეს, მაგრამ „უდინეზეს" ლიდერი **ანტონიო დი ნატალე** დღესაც ბევრს სჯობია სერია A-ში. ვეტერანი თავდამსხმელი უდინური კლუბის ღირსებას 2004 წლიდან იცავს და ამ სეზონშიც ძალიან კარგად ასპარეზობს: 16 მატჩში უკვე 12 გოლი აქვს გატანილი. ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, დი ნატალეს გადაბირება ფლორენციის „ფიორენტინამ" მოისურვა. „კორიერე დელო სპორტის" ცნობით, „ფიორენტინა" მზად იყო, დი ნატალეში 3.5 მილიონი ევრო გადაეხადა, მაგრამ ფლორენციული კლუბის ბოსებმა უდინეზელი კოლეგებისგან მტკიცე უარი მიიღეს.

## გალათასარაი სნეიდერს უმიზნებს



**ვესლი სნეიდერის** „ინტერში" დარჩენა თითქმის გამორიცხულია, რაზეც ადრეც არაერთხელ ვწერდით - როგორც იცით, ჰოლანდიელმა გამთამთამაშებელმა ხელფასის შემცირებაზე უარი თქვა და მილანურ გრანდთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს. შექმნილი ვითარება სპეკულაციებს იწვევს. გუშინ „გალათასარაის" პრეზიდენტმა **უნალ აისალმა** დაადასტურა, რომ სნეიდერის „გალაში" ხილვაზე ოცნებობს. მისი თქმით, უკვე შეხვდა და ესაუბრა „ინტერის" ბოს **მასიმო მორატის**, რომელთანაც ვესლის თაობაზე საერთო ენა გამონახა. ვნახოთ, რას იტყვის თვითონ სნეიდერი...

**გოტფრიდ ლენცი**



ჭიდაობა

# გორდიას კვანძი

## ახალი მწვრთნელები და ფორსმაჟორი საევროპოდ

**გუშინ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ საზოგადოებას მწვრთნელთა ახალი კორპუსი წარუდგინა, თუმცა ამ ყველაფერს წინ დიდი ვნებათაღელვა უძღოდა - იყო ჩხუბი, აყალმაყალი, გინება და გაწევ-გამოწევა, ფედერაციის ერთ-ერთ ძველ ხელმძღვანელს კი სასწრაფოს გამოძახებაც დასჭირდა ნერვულ ფონზე განვითარებული გულის შეტევის გამო. საბოლოოდ ფედერაციამ სამივე ასაკობრივ ნაკრებში უკლებლივ ყველა მწვრთნელი შეცვალა და მათ ნაცვლად ახლები მოიყვანა, ოღონდ ჯერ მხოლოდ შემცვლელებად, ერთწლიანი ვადით, წლის ბოლოს კი გადახედავს მათ ნამუშევარს და კონტრაქტის გაგრძელებაზე, ანუ საბოლოო დანიშვნაზე ამის შემდეგ იმსჯელებენ.**

ჩვენს ბედსო, ამბობდნენ ისინი. რამდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გუშინ ბერძენ-რომაელები უფრო აქტიურობდნენ - ისინი წინასწარ აპროტესტებდნენ მათთან მოსახდენ ანალოგიურ ცვლილებებს.

ჟურნალისტები მხოლოდ პრესკონფერენციას დავესწრეს, რომელიც კურტანიძემ გახსნა: *„მთელ ქვეყანაში მოხდა ცვლილება და საჭიდაო ოჯახშიც ამავე კურსით ვაგრძელებთ, რეფორმები აუცილებელია. მით უფრო 20-წლიანი მუშაობის შემდეგ, როცა ცვლილებები არ ტარდებოდა. ამ 20 წლის განმავლობაში რამდენიმე მთავრობა შეიცვალა, პროფესიული თვალსაზრისით კი არსებული ნაკლოვანებების დასანახად აუცილებელია ცვლილებები, რათა 1-2 ოქროს კი არ დავჯერდეთ, არამედ ხარისხობრივადაც და რაოდენობრივადაც ბევრად უკეთესი შედეგი გვქონდეს. თუმცა ხაზგასმით ვამბობ, რომ იმ მწვრთნელების 20-წლიან გამოცდილებას ეს ბიჭები აუცილებლად გაიზიარებენ ქართული საჭიდაო სკოლის საკეთილდღეოდ".*

კურტანიძემ ჟურნალისტებისთვის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო კითხვას, ში მოასწრონ გამოსვლა - ჯერ ერთი, მაგ დროს შეკრებაზე იქნებიან და მეორეც - დროის ასე მცირე მონაკვეთში საბუთების გაფორმებასაც ვერ მოასწრებენ. მით უფრო - რუსეთ-საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ რეჟიმში. ადრე ჩვენებს იქ სწორედ პოლიტიკური მოსაზრებებით არ უშვებდნენ. არადა, მთელი საჭიდაო ელიტა იქ იკრიბება და ჩვენებისთვის კარგი გაკვეთილი იქნებოდა.

პრესკონფერენციის დასასრულს ზაზა თურმანიძეს, ნუგზარ სხირელს და რევაზ მინდორაშვილს გავესაუბრეთ. პირველ ორს მომხდარზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ, მით უფრო - სხირელი აქტიურად ეწინააღმდეგა საკადრო ცვლილებებს და ქარიშხლის ეპიცენტრშიც აღმოჩნდა, ახალდანიშნულ მწვრთნელს კი ნაკრების უახლოეს სამომავლო გეგმებზე დავეკითხეთ.

ზაზა თურმანიძე: *„მთავარი პრეზიდიუმის გადაწყვეტილებაა, ხოლო რასაც კურტანიძე ამბობს, მე მქონდა ამის უფლებაო, ეს მოგონილი ფარსია. ეგ თუ იმას ამბობს, რომ ერთპიროვნული გადაწყვე-*



ამდენად, ეროვნულ ნაკრებში **ზაზა თურმანიძეს** მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **რევაზ მინდორაშვილი** შეცვლის, რომელსაც ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **დავით პოლოსიანი** და ჭაბუკებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ალექსანდრე კახნიაშვილი** დაეხმარებიან. ახალგაზრდულ ნაკრებში **ნუგზარ სხირელს** მისივე შეგირდი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიადის ორგზის მედალოსანი **გიორგი გოგშელიძე** შეცვლის. მას სხირელის კიდევ ერთი შეგირდი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ევროპისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **ოთარ თუშიშვილი** და **დავით ოთიაშვილი** გაუწევენ კონსულტაციებს. ჭაბუკთა ნაკრებში ამიერიდან **თამაზ ბენდიანიშვილის** ნაცვლად საბერძნეთიდან დაბრუნებული ევროპის ჩემპიონი **ემზარ ბედინეიშვილი** იმუშავებს, სამწვრთნელო შტაბში კი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **გელა სალირაშვილი** დ **გიორგი იანტბელიძე** შედიან.

აქვე გეტყვით, რომ გუშინ მხოლოდ თავისუფალ სტილში მოჭიდავე ნაკრებთა საკითხი განიხილეს, ბერძენ-რომაელებისა კი სამსჯავროზე არ გამოუტანიათ - მას 11 იანვარს დანიშნულ პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე განიხილავენ. თუმცა მოგვიანებით უარყო ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების ფაქტი და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე ჰქონდა კონსულტაციები სამეთვალყურეო საბჭოსთან, რომელსაც **რომან რურუა** ხელმძღვანელობს, და ცნობილ ვეტერანებთან.

გუშინდელი შეხვედრის პირველი ანუ ყველაზე ხმაურიანი ნაწილი მედიისთვის დახურული იყო. გარედან რაც ჩანდა, აღნიშნული ცვლილების წინააღმდეგი დათხოვნილი მწვრთნელების გარდა ნაკრების დღევანდელი წევრებიც იყვნენ. ჩვენ არაფერს გვეკითხებიან, ისე წყვეტენ

უნდა წარედგინა თუ არა ეს კანდიდატები პრეზიდიუმისთვის დასამტკიცებლად, უპასუხა, რომ პრეზიდენტს აქვს უფლება, მოვალეობის შემსრულებლები თავად დანიშნოს.

პრესკონფერენციაზე არანაკლები ინტერესი გამოიწვია ბერძნულ-რომაულ ნაკრებში მოსალოდნელმა ცვლილებამ. კურტანიძე დაგვპირდა, რომ არა უგვიანეს ერთ თვეში ეს საკითხიც საბოლოოდ გადაწყდება, თუმცა აქ ჩნდება კითხვა - ევროპის პირველობა თბილისში 19 მარტს იწყება, ჩვენებს კი მიზანმიმართული მზადება ჯერაც არ დაუწყიათ. ვადა უკვე დაგვიანებულია, ხოლო ერთი თვის მერე, თუ კიდევ ასე მკვეთრად შეიცვლება ყველაფერი, ეს სასიკეთოდ არაფერს წაადგება. კურტანიძეს ისიც ვკითხეთ, რას იზამს პრეზიდიუმის ურჩობის შემთხვევაში და პასუხად მივიღეთ, რომ მაშინაც გამოიყენებს თავის უფლებას და ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას მიიღებს, თუმცა დასძინა, განსახილველად აუცილებლად წარვუდგენო! ამასთან, ისიც თქვა, რომ პრეზიდიუმის გაურჩებას ნაკლებად ელოდება, ხოლო შედეგზე პასუხისმგებლობას პირადად იღებს.

კიდევ ერთი საინტერესო თემა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება იყო. კურტანიძემ გვითხრა, რომ 15 იანვარს გუნდები უკვე დაიწყებენ შეკრებას ბორჯომში, სპორტკომპლექს „ოლიმპში". გასაგებ მიზეზთა გამო, ამჯერად მხოლოდ „თავისუფალთა" გეგმებზე თუ გეტყვით, თუმცა ჯერჯერობით ბევრი ვერც მინდორაშვილმა გვითხრა... მისი თქმით, ევროპის პირველობამდე ორ ტურნირში გამოვლენ, მაგრამ ჯერ ვერ გვითხრა, კონკრეტულად სად იჭიდავებენ. საეჭვოა, ჩვენებმა 25-27 იანვარს კრასნოიარსკში გასამართ ივან იარიგინის სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" პირველ ტურნირ-

*ტილების უფლება აქვს და მსოფლიოს, ოლიმპიურ, ევროპის ჩემპიონებს არაფერი უნდა ჰკითხოს, ეს უკვე სხვა თემაა. მე გავაგრძელებ მუშაობას და ვეცდები, რაც შეიძლება, მეტი მედალი მოვუტანო ჩვენს ქვეყანას".*

ნუგზარ სხირელი: *„რაც მოხდა, ყოვლად დაუშვებელია. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. პრეზიდენტი, რომელიც ფედერაციის ობიექტურად მართვის მაგალითი უნდა იყოს, საპირისპირო მაგალითს გვაძლევს. მას დებულება გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღების უფლებას არ აძლევს, ამ განცხადებით საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობს. გამოდის, კურტანიძე მეორე სააკაშვილი ყოფილა. რატომ ვიყავით ძველი დროის უკმაყოფილო, თუ ყველაფერი ისევ ისე განმეორდება? დანებებას და გაჩერებას არ ვაპირებ. წინა ოლიმპიადაზე საქართველოს ორი ბრინჯაოს მედალი, ახლა კი თითო ოქრო და ვერცხლი მივეცი, თუმცა ის როგორი ვერცხლიც იყო, მთელმა მსოფლიომ ნახა. ამასთან, ახალგაზრდულ ნაკრებში ამდენწლიანი მუშაობისას ერთი სეზონი არ ჩამიგდია, ჩემი მოსწავლეებიდან სამი ოლიმპიურ ნაკრებში წამყვანი ფალავანია და ლონდონში მედლებიც მოიპოვეს, ამ ყველაფერს კი ანგარიში არ უნდა გაეწიოს და ამდენი მწვრთნელის მიღწევა ერთი კაცის ხუშტურზე უნდა იყოს დამოკიდებული?"*

რევაზ მინდორაშვილი: *„ნაკრების დაკომპლექტებისას საქართველოს ჩემპიონატის შედეგებს დავეყრდნობით, რადგან უკვე გარკვეულია მედალოსნები. შეკრებაზეც ისინი წავლენ ანუ წონაში 4-4 კაცი. ნაკრების უახლოეს გეგმებზე სხვა მწვრთნელებთან მოვითათბირებთ და უფრო დეტალურად მერე გაგაცნოთ".*

**ირაკლი თავაძე**

### თარიღები და მოვლენები

**9 იანვარი**

**1951 წ.** დაიბადა **შოთა ხინჩაგაშვილი** - ფეხბურთი.

**1957 წ.** დაიბადა **ვიტალი დარასელია** - ფეხბურთი. ტრაგიკულად დაიღუპა 1982 წელს.

**1970 წ.** მოსკოვში გამართულ ძიუდოისტთა ტრადიციულ საკავშირო ტურნირში საქართველოდან პირველობა მოიპოვეს: ფ. მარტყოფლიშვილმა, რ. მაღალთაძემ და გ. გოგოლაურმა.

**1970 წ.** მახაჩყალაში დამთავრებულ „ბურევესტნიკის" პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა პირველობა (მწვრთნელი ვ. ილურიძე). ჩემპიონები გახდნენ: კონიაშვილი, მაღალაშვილი, ქელეხსაშვილი, ელოშვილი, ილურიძე, ციციშვილი.

**1972 წ.** დაიბადა **ზაქარია აბრამიშვილი** - ბატუტზე ხტომა.

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი "დინამო" და საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 77 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი დინამოელი ფალავანი, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მაღალი რანგის სპორტსმენთა თაობების აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

**გურამ დათიაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალბურთი

# საქართველოს ჩემპიონი ალემანების პირისპირ

**საწყლოსნო კომპლექსი „ოლიმპიკი“ დღეს ჩემპიონთა ლიგის მორიგი ტურის მატჩს უმასპინძლებს: წყალბურთში საქართველოს სამგზის ჩემპონი „ლიგამუსი-თბილისი“ ჰანოვერის (გერმანია) „ვასპო-98“-ს დაუპირისპირდება.**



ეს გუნდები პირველ წრეში გერმანიაში შეხვდნენ ერთმანეთს და ალემანებმა 7:5 (2:1, 2:0, 0:1, 3:3) გაიმარჯვეს. მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **„ლიგამუსი-თბილისი“** - ბექა კაპანაძე, ბექა ქენქაძე, ლევან ჩიქვინიძე, ალექსანდრე რუსიშვილი, გალაქტიონ ლაითაძე, ალექსანდრე ურუშაძე, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბალათურია, ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, ბექა ქავთარაძე, ზურაბ ჭუმბურიძე. **„ვასპო-98“:** კონგ როგერი, დანიელ პოლვერინო, ალექსანდერ ჰერმანი, ალექსანდერ შვარცი, ლუკას ტაპლიკი, ჟუსტინ ბიტერი, ილია იმერმანი, ინგო პიკერტი, ფელიქს ჰაარსტიკი, ბენც ტოტი, მატიას ლებენსი, ვილემ ბრიკმანი, დომინიკ ვიეგანდი. დღევანდელ პაექრობაში, შესაძლოა, მწვრთნელებმა მცირე ცვლილებები შეიტანონ. ყოველივე შუადღისთვის იქნება ცნობილი.

გერმანიაში გამართული მატჩის შემდეგ ჩვენი გუნდის თავკაცმა **რევაზ ჩომახიძემ** გვითხრა, რომ ჰანოვერთა მატჩი უნდა მოგვეგო, რადგან განსაკუთრებით ბოლო ორი მეოთხედი საგრძნობ უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ საერთაშორისო ტურნირებში, თანაც სტუმრად თამაშის გამოცდილება ჩვენს ბიჭებს არ ეყოთ, ამიტომ ორთაბრძოლა სასურველ დასასრულამდე ვერ მივიყვანეთო. დღეს, ცხადია, ქართველი წყალბურთელები რევანშის წყურვილით ჩაებმებიან პაექრობაში. თანაც სასურველია, ბურთების მეტი სხვაობით დავამარცხოთ სტუმრები, რათა A ქვეჯგუფში მე-4 ადგილის დასაკავებლად და პლეი ოფში მოსახვედრად (შეგახსენებთ, რომ თითოეული ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე 4-4 საუკეთესო გუნდი იასპარეზებს) შანსი შევინარჩუნოთ.

ამჟამად A ჯგუფში 6 ტურის შემდეგ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: „ვულიაგმენი“ (საბერძნეთი) - 18 (83:29), „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) - 15 (69:37), „ეგერი“ (უნგრეთი) - 9 (61:36), „შუურმანი“ (ჰოლანდია) - 6 (38:37), „ვასპო-98“ - 3 (27:69), „ლიგამუსი-თბილისი“ - 0 (30:66). დღეს, ასევე, ითამაშებენ: „ეგერი“ - „ვულიაგმენი“, „სპარტაკი“ - „შუურმანი“.

9 იანვარს ევროლიგის დანარჩენ სამ ჯგუფშიც გაიმართება მე-6 ტურის შეხვედრები.

**B ჯგუფი.** „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი) - „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი), „დუბროვნიკი“ (ხორვატია) - „მონპელიე“ (საფრანგეთი).

„დუბროვნიკი“ - 15, „ოლიმპიაკოსი“ - 9, „ცრვენა ზვეზდა“ - 6, „მონპელიე“ - 6, „კრეუზლინგენი“ (შვეიცარია) - 0 ქულა.

**C ჯგუფი.** „სინთეზი“ (ყაზანი) - „მარსელი“ (საფრანგეთი), „ბარსელონიტა“ (ესპანეთი) - „ბრეშა“ (იტალია).

„ბარსელონიტა“ - 12, „სინთეზი“ - 6, „ვოივოდინა“ (ნოვი სადი) - 6, „მარსელი“ - 6, „ბრეშა“ - 6 ქულა.

**D ჯგუფი.** „პარტიზანი“ (ბელგრადი) - „ბეტონი“ (უნგრეთი), „გალათასარაი“ (თურქეთი) - „ორადეა“ (რუმინეთი).

„ბეტონი“ - 15, „პარტიზანი“ - 7, „ორადეა“ - 6, „გალათასარაი“ - 4, „შპანდაუ-04“ (გერმანია) - 3 ქულა.

ვაჟა **დანელია**

# აპრილში, თბილისში...

წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპი გაისად 13-26 ივლისს ბუდაპეშტში (უნგრეთი) გაიმართება. ფინალური ტურნირის ექვსი მონაწილე ამთავითვე ცნობილია. ესენი არიან: ევროპის ჩემპიონი და ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი სერბეთი, კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი ჩერნოგორია, ევროპის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი და ასპარეზობის მასპინძელი უნგრეთი, 2011 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და შარშანდელი ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი იტალია, გერმანია და საბერძნეთი.

ასევე გარკვეულია იმ ექვსი ქვეყნის ვინაობა, რომლებიც შესარჩევი ტურნირისგან თავისუფალნი არიან და ბუდაპეშტის საგზურებისთვის პლეი ოფებში ითამაშებენ: ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონი ხორვატია, ესპანეთი, რუმინეთი, ჰოლანდია, მაკედონია და თურქეთი. ევროპის ჩემპიონატის მონაწილე დანარჩენი 17 ნაკრები სამ ჯგუფში განითესა და სამ ტურად წრიული შეხვედრების შემდეგ 6 საუკეთესო პლეი ოფებში გამოსვლის უფლებას მიიღებს.

A ჯგუფის ორთაბრძოლებს 4-7 აპრილს თბილისი უმასპინძლებს. ჩვენს წყალბურთელებს სლოვაკები, ბრიტანელები, პოლონელები და ჩეხები გაუწევენ მეტოქეობას. B ჯგუფში (შვეიცარია) თავს მოიყრიან ფრანგები, სლოვენიელები, უკრაინელები, მასპინძლები, ბელარუსები და მოლდოველები. C ჯგუფში მალტა, რუსეთი, პორტუგალია, ისრაელი, ბულგარეთი და დანია ითამაშებს. ჯგუფებში მეორე და მესამე ტურების წრიული პაექრობები, შესაბამისად, ივლისსა და ნოემბერში გაიმართება. ჯგუფების პირველადგილოსნები, სავარაუდოდ, პლეი ოფში ხორვატიას, ესპანეთსა და რუმინეთს დაუპირისპირდებიან, მეორე ადგილზე გასულთ კი ჰოლანდია, მაკედონია და თურქეთი გაუწევენ მეტოქეობას.

ვაჟა **დანელია**

ჩოგბურთი

# წყვილებს შემორჩნენ



სოფიო ქვაცაბაია

ჩინეთის ქალაქ გუანჩჟოუში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) ძირითად ბადეში ცდიდა ძალებს თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა.** ჩვენებური სტარტზევე კვალიფიკაციის ერთ-ერთ გამარჯვებულს - მასპინძელ ჰაო ჩენ ტანს ვერ გაუმკლავდა. მართალია, ოქსანამ მეორე ხელი 6:3 მოიგო, მაგრამ პირველი და მესამე სეტები, შესაბამისად, 3:6, 5:7 დათმო და ერთეულთა პაექრობას გამოეთიშა. წყვილებში, როგორც გაუწყეთ, ტაილანდელ ნოპავან ლერტჩეევაკარნთან ერთად მეორე ნომრადაა განთესილი. პირველ წრეში ჩინელებს - ძია სიან ლუსა და ძია-ძინ ლუს დუეტს აჯობა, მეორე წრეში, ასევე, მასპინძლებს - თინ ლისა და ძინ-ძინ ლუს დაუპირისპირდება.

ანტალიის ქალთა 10.000-იან ტურნირში ჩაება **სოფიო ქვაცაბაია.** ერთეულთა ძირითად ბადეში მე-4 ნომრად განთესილი თბილისელი ჩოგბურთელი პირველსავე პაექრობაში უკრაინელ მარიანა ზაკარლიუკს იოლად დანებდა - 3:6, 0:6, წყვილებში ქვაცაბაია სწორედ ზაკარლიუკთან ერთად ანგელინა კლიმოვას (გერმანია) და იოანა პოსირკას (უკრაინა) შეხვდება.

ვაჟა **დანელია**

ჭადრაკი

# ზავით დაიწყეს

გუშინ ერევანში დაიწყო სომხეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის - ანდრანიკ მარგარიანის საერთაშორისო მემორიალი. წრიული სისტემით მასში მონაწილეობენ ქართველი საერთაშორისო ოსტატები - **დავით ბენიძე** (2524) და **შოთა აზალაძე** (2471), ასევე, მარტინ კრავცივი (უკრაინა, 2593), ალექსეი გოგანოვი (რუსეთი, 2545), ჰოვანეს გაბუზიანი (სომხეთი, 2525), სტეფან ჟილკა (ჩეხეთი, 2529), კარენ გრიგორიანი (სომხეთი, 2513), ანდრეი ბარიშპოლეცი (უკრაინა, 2502), ლევონ ბაბუჯიანი (სომხეთი, 2497) და ტიგრან ჰარუთიუნიანი (სომხეთი, 2358). ტურნირზე დაწესებულია ნორმატივი დიდოსტატის ბალის მოსაპოვებლად. ასპარეზობის საპრიზო ფონდია 1.000.000 სომხური დრაჰმა - 2.477 დოლარი (გამარჯვებული 150.000 დრაჰმას მიიღებს, მეორე-მეექვსეადგილოსნები, შესაბამისად, 110.000; 90.000; 60.000; 50.000 და 40.000 დრაჰმით დაჯილდოვდებიან).

პირველი ტურის შედეგები: გოგანოვი - ბაბუჯიანი 1:0, ბარიშპოლეცი - კრავცივი 0,5:0,5, გრიგორიანი - ჟილკა 1:0, გაბუზიანი - ჰარუთიუნიანი 0,5:0,5, აზალაძე - ბენიძე 0,5:0,5.

დღეს მე-2 ტურში ითამაშებენ: ბაბუჯიანი - ბენიძე, ჰარუთიუნიანი - აზალაძე, ჟილკა - გაბუზიანი, კრავცივი - გრიგორიანი, გოგანოვი - ბაიშპოლეცი.

ვაჟა **დანელია**

ჩვენ და სპორტის ოლიმპიური სახეობები

# სპორტული ტანვარჯიში

საქართველოში სპორტული ტანვარჯიშის შემოსვლის თარიღად უნდა მივიჩნიოთ 1889 წელი, როცა თბილისის გიმნაზიების დირექციამ პრაღის სატანვარჯიშო საზოგადოება „სოკოლის“ მესვეურებს თხოვნით მიმართა ტანვარჯიშის კვალიფიციური მასწავლებლის მივლინების თაობაზე. იმავე წელს თბილისში ჩამოვიდა ჩეხი პედაგოგი იულეს გრუმლეკი. დაარსდა „თბილისის ტანვარჯიშის საზოგადოება“ (აერთიანებდა 33 წევრს), რომელსაც „სოკოლი“ მხოლოდ 1907 წელს ეწოდა. სწორედ სოკოლელთა მოღვაწეობას უკავშირდება XIX ს.-ის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ტანვარჯიშის მასობრივი განვითარება საქართველოში. ამ საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ჩეხ ანტონ ლუკეშს, რომელსაც ცნობილი ქართველი ტანმოვარჯიშე და პედაგოგი გიორგი ეგნატაშვილი საქართველოში ტანვარჯიშის ფუძემდებლად მიიჩნევდა. ლუკეში 1896 წელს ჩამოვიდა პრაღიდან, თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის ტანვარჯიშის მასწავლებლად დაინიშნა და შემდგომ 23 წლის განმავლობაში მეთაურობდა ტანვარჯიშულ მოძრაობას. მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა სპორტული ჯგუფები, ტანვარჯიშის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები, 1907 წელს კი მოეწყო პირველი საერთაშორისო გასვლა პრაღაში, სრულიად „სოკოლის“ V შეკრებაზე (მოფრენი). აქ თბილისის ტანმოვარჯიშეებმა მეორე ჯგუფის გუნდებს შორის I ადგილი დაიკავეს, პირად შეჯიბრებაში კი გიორგი ეგნატაშვილი 1800 მონაწილეს შორის მე-11 იყო. პრაღის მორიგ, VI შეკრებაზე (1912) დაბალი თანრიგის გუნდების შეჯიბრებაში კვლავ ქართველებმა გაიმარჯვეს. პირად შეჯიბრებაში 2000 მონაწილეს შორის მე-15 ადგილზე გავიდა პეტერბურგის სახელით მოასპარეზე გიორგი ნიკოლაძე, რომელიც საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1918) აქტიურად ჩაება ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში.



1910-იანი წლები შევარდნელი ტანმოვარჯიშეები. მარცხნიდან: ირაკლი ლორდქიფანიძე, თამარ ნიკოლაძე, გიორგი ნიკოლაძე, გიორგი ეგნატაშვილი, გაიოზ ბერელაშვილი, არჩილ ბაქრაძე.

პრაღაში მოპოვებულმა წარმატებამ ახალი სტიმული მისცა ტანვარჯიშის გავრცელებას არა მარტო თბილისში, არამედ - ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ახალციხეში, თელავში, ხონში, ზესტაფონსა და საქართველოს სხვა რეგიონებში. ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში 1912-14 წლებში მასწავლებლობდა ჩეხი **ბლაჟეკი,** ბათუმში - **ვაცლავ კოუბა** (1910-14), რომელმაც ქართველ ენთუზიასტებთან ერთად 1913 წელს „სოკოლის“ 100-წევრიანი საზოგადოება ჩამოაყალიბა.

1917 წელს გაიოზ ბერელაშვილმა და დათა ჯავრიშვილმა თბილისში დააფუძნეს ტანვარჯიშული საზოგადოება „ამირანი“, მოგვიანებით, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ, „სოკოლისა“ და „ამირანის“ ხელმძღვანელებმა მხარი დაუჭირეს **გიორგი ნიკოლაძის** წინადადებას გაერთიანების საფუძველზე მთავრობისგან დამოუკიდებელი ტანვარჯიშული საზოგადოების - „შევარდენის“ დაარსების თაობაზე. „შევარდენი“ შეიქმნა 1918 წლის 25 აგვისტოს და 1922 წლის 3 ნოემბრამდე იარსება. იმ დროისათვის „შევარდენის“ 15 ორგანიზაცია 10 ათასამდე წევრს აერთიანებდა. საზოგადოების აქტიური წევრები იყვნენ **არჩილ ბაქრაძე, ვანო და გიორგი ბერიძეები, გიორგი ეგნატაშვილი, ირაკლი ლორთქიფანიძე, გიორგი ლაფერაშვილი, გიორგი მერკვილაძე, გიორგი ლაზარაშვილი** და სხვები. გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით „შევარდენმა“ ბევრი კარგი საქმის გაკეთება მოასწრო. საზოგადოების წევრებმა შეადგინეს ტანვარჯიშის ქართული ტერმინოლოგია, გამოსცეს სპეციალური ლიტერატურა. მოგვიანებით, ტანვარჯიშული ჯგუფი გაიხსნა „პიშჩევიკის“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, 31-ე საავიაციო ქარხნისა და სხვა დარბაზებში. ამ დარგის სპეციალისტები მოგზაურობდნენ რეგიონებში, არჩევდნენ ნიჭიერ ბავშვებს და დასაოსტატებლად თბილისში ჩამოჰყავდათ. საბჭოთა პერიოდში პირველებმა გაითქვეს სახელი **გულო რცხილაძემ, გიორგი ბაბილოძემ, ალექსანდრე ჯორჯაძემ, პავლე როინიშვილმა, ნიკოლოზ თაყაიშვილმა** და სხვებმა. ამ თაობის ტანმოვარჯიშეებს 1930-იან წლებში არაერთხელ გაუმარჯვიათ საკავშირო შეჯიბრებებში, 1932-34 წლებში სსრ კავშირის სამგზის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა გულო რცხილაძე. მათი გზა საერთაშორისო სარბიელზე ღირსეულად გააგრძელეს მომდევნო თაობების წარმომადგენლებმა. პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა **მედეა (მზია) ჯუღელმა,** რომელიც 1952 წელს, ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე სსრკ ნაკრებთან ერთად ოქროსა ( გუნდური პირველობა) და ვერცხლის (საგნით ჯგუფური ვარჯიში) მედლებს დაეუფლა. მსოფლიოს ჩემპიონები იყვნენ **გალინა შარაბიძე, სერგო ჯაიანი, რუსუდან სიხარულიძე** და **ნინა დრონოვა.** მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდნენ **რაისა ზაალიშვილი, დონარა ჯანუყაშვილი, მიხეილ ბოგუსი, ნოდარ მაკალათია, მზია ნინოშვილი, როზა ბერიკაშვილი** და სხვები. 1970-იან წლებში სსრ კავშირის რვაგზის ჩემპიონი იყო **პაატა შამუგია,** რომელიც 1975 წელს მსოფლიო თასს დაეუფლა, მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ვერცხლის მედალი ერგო. ქართველ ტანმოვარჯიშე კაცთა შორის ყველაზე დიდი გამარჯვება მიიპოვა **ვლადიმერ გოგოლაძემ** სსრკ ნაკრებთან ერთად 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა.

**საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია** დაფუძნდა 1991 წლის 1 ივნისს.

1992 წლის 18 ივლისიდან ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციისა (FIG) და ევროპის ტანვარჯიშის კავშირის (UEG) წევრია.

ლელოზე

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

მსოფლიო მასშტაბის დაპირისპირებები

# რას ეტყვის შერმადინი პანას ქომაგს

### ...და როგორ შეხვდებიან მწვანეების გულშემატკივრები გიორგის?




საფეხბურთო „ბარსელონადან" „რეალში" გადასულ **ლუიშ ფიგუს** მატჩისას ღორის თავი რომ გადაუგდეს, ცნობილი ამბავია. „ბარსასა" და „რეალის" გარდა მსოფლიო მასშტაბის კიდევ არაერთ „სამკვდრო-სასიცოცხლო" დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. გავიხსენოთ თუნდაც 2009 წლის საბერძნეთის საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალი, როცა გაცოფებული გულშემატკივრების მიერ ნატყორცნი პეტარდების კვამლიდან ძლივს დააღწია თავი **გიორგი შერმადინის** „პანათინაიკოსმა". მისი მეტოქე „ოლიმპიაკოსი" იყო...

ცხადია, ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც აქვს მორგებული „პანას", თუ „ოლიმპიაკოსის" მაისური, საპირისპირო ბანაკში გადასვლის შემდეგ გულშემატკივრის სიყვარულს ნამდვილად არ უნდა ელოდეს. ამ თემას ბერძნულ პრესაში სპეციალური სტატია მიეძღვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ შერმადინი მეცამეტეა, რომელმაც „პანათინაიკოსის" შემდეგ „ოლიმპიაკოსის" წითელი ფორმა მოირგო. დაველოდოთ გიორგის ათენში ჩასვლას და ქომაგთა რეაქციას. არადა, მწვანეების გულშემატკივარს ახალგაზრდა ქართველი ცენტრისადმი დიდი სიმპათია გაჩნდა, რაც 2010 წელს გამოჩნდა: სლოვენიის „ოლიმპიაში" განათხოვრებულ გიორგის ევროლიგის მატჩისთვის ათენში დაბრუნება და „პანათინაიკოსთან" დაპირისპირებამ მოუწია. ტრიბუნებზე გადმოფინეს პლაკატი: „შერმა, შენი სახლი აქაა".



ბერძნულ სტატიას, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ ასე ჰქვია: „შერმადინი წითლად შეღებილი მეცამეტე მწვანეა". შესავალში აღნიშნულია, რომ რამდენიმე თვის წინათ ათენიდან პირეოსში **სტრატოს პერპეროგლუ** გადავიდა...

„...არ გასულა სამი თვე, რომ „ოლიმპიაკოსში" გიორგი შერმადინი ჩაირიცხა. სხვათა შორის, 23 წლის ქართველი, ისევე როგორც პერპეროგლუ და **ვასილის სპანულისი ჟელიმირ ობრადოვიჩის** მიერ გაწვრთნილი ლეგენდარული „პანათინაიკოსის" წევრები იყვნენ. ახლა ისინი პირეოსულ გუნდში კიდევ ერთხელ შეიყარნენ.

შერმადინმა 2008-09 წლების ევროლიგაზე სულ ერთი მატჩი ითამაშა, მომდევნო სეზონში - 12, თუმცა იგი ჯერ სლოვენიის „ოლიმპიაში" გაანათხოვრეს, 2011-12 წლების სეზონში კი იტალიურ „კანტუში" გამოიჩინა თავი. მიმდინარე სეზონის დასაწყისში იგი „მაქაბიმ" აიყვანა, მაგრამ შუა სეზონში „ოლიმპიაკოსში" აღმოჩნდა. სხვათა შორის, ამ ტრანსფერით „მწვანეებიდან" წითლებში გადასულთა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ ნაკლებად სავარაუდოა, ახლო მომავალში „ოლიმპიაკოსიდან" „პანათინაიკოსში" გადასულებმა აჯობონ - ასეთი „მხოლოდ" 9 კალათბურთელია, მათ შორის **შორციანიტისი, ვუგიუკასი...**"

საკრანსფერო...

# ნავა ფაჩულია ატლანტადან?

### კონფერენციის ფინალისკენ

ამერიკულ გამოცემა „ჰუპს ვორლდზე" გამოქვეყნდა ვრცელი სტატია **ზაზა ფაჩულიას** შესახებ. ჟურნალისტი **ლენგ გრინი** 29 წლის ქართველ ცენტრს სატრანსფერო საკითხებზე ელაპარაკება. გთავაზობთ პუბლიკაციის გადმოქართულებულ ვერსიას.

„ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში როგორც ადრე, ახლაც ძვირად ფასობენ პროდუქტიული, სტაბილური ცენტრები. 2012 წელს თავისუფალ აგენტთა ბაზარზე დიდი მოთხოვნა იყო **როი ჰიბერტსა** და **ბრუკ ლოპესზე**. საბოლოოდ ორივემ სარფიანი კონტრაქტი გააფორმა, პირველმა - „ინდიანასთან", მეორემ - „ბრუკლინთან". ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **ომერ აშიკმა, რუბენ ლოპესმა** და **იან მაჰინმიმ** კარგად ანაზღაურებადი ხელშეკრულებები მიიღეს, თუმცა მიმდინარე სეზონში საშუალოდ 20-ზე ნაკლებ წუთს თამაშობენ.

რას უნდა ველოდეთ 2013 წლის თავისუფალ აგენტთა ბაზარზე? მთავარი გმირი **დუაით ჰოვარდი** იქნება, არანაკლებ მოთხოვნადი უნდა იყვნენ **ენდრიუ ბაინუმი, ელ ჯეფერსონი...**

ცენტრებს შორის „ატლნტა ჰოქსის" მეფარის, ზაზა ფაჩულიას ღირებულება კვლავ მატულობს. ვეტერანი, რომელიც NBA-ში მეათე სეზონს ატარებს, ამ ჩემპიონატში საშუალოდ 23 წუთში 6.2 ქულასა და 6.9 მოხსნას აგროვებს. ქართველი ცენტრი განსაკუთრებით გასულ სეზონში გამოჩნდა, როცა **ელ ჰორფორდის** ტრავმის გამო „ატლანტას" სასტარტო ცენტრად იქცა და საშუალოდ 8.7 ქულასა და 8.8 მოხსნას ითვლიდა, თამაშიდან ტყორცნების 51 პროცენტს იყენებდა.

*- თავისუფალი აგენტი ამ ზაფხულს გავხდები. ეს სტატუსი აქამდეც მქონია - ორჯერ. ამჯერად, ვფიქრობ, ნაკლები სანერვიულო მექნება, რადგან საკალათბურთო საზოგადოება უკვე კარგად მიცნობს, კლუბების აბსოლუტურმა უმრავლესობამ იცის, რა შემიძლია. ჩემი მიზანი ყოველთვის ბევრი შრომა და სწორად თამაშია. ვგონებ, თავისუფალ აგენტთა ბაზარზე ყველაფერი კარგად იქნება. ნამდვილად არ ვღელავ.*

როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები ზაფხულში, ერთი რამ ცხადია - ზაზა ფაჩულიას გულთან ყველაზე ახლოს „ჰოქსია". მას ქალაქ ატლანტაში თავისი ბიზნესი აქვს და მშობლიურ ქალაქს უწოდებს. თუმცა ფაჩულიას ჯორჯიის შტატში დარჩენა-არდარჩენის გადაწყვეტილება სხვა გუნდების შეთავაზებების სარფიანობაზე იქნება დამოკიდებული.

*- გამოგიტყდებით, ატლანტას დატოვებაზე და საერთოდ, თავისუფალ აგენტთა ბაზარზე ლაპარაკი ნაადრევია. დღეს მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ, „ატლანტაში" ხომ მერვე წელია, რაც ვთამაშობ. აქ ცხოვრებაც სასიამოვნოა და არაერთხელ მითქვამს, რომ ატლანტა ჩემი სახლია. თუმცა კალათბურთი დიდი ბიზნესია და მის მოთხოვნებს უნდა მივყვეთ.*

„ჰოქსი" აღმოსავლეთის კონფერენციაში მესამე ადგილზეა და თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, პლეი ოფში აუცილებლად მოხვდება. არადა, სეზონის დაწყებამდე გუნდი ლიდერმა **ჯო ჯონსონმა** დატოვა („ბრუკლინში" გადავიდა) და შემადგენლობაში არაერთი ცვლილება განხორციელდა. ზაზას თქმით, სწორედ გუნდის წარმატების გამო მხოლოდ კალათბურთზე ფიქრობს და არა სატრანსფერო საკითხებზე:

*- სეზონი სასიამოვნოდ დაიწყო. „ატლანტა" დიდებული გუნდია, მასში შესანიშნავი შემადგენლობაა შეკრებილი და „ჰოქსის" მაისურით თამაში ყველას გვიხარია. არავინ იცის, ხვალ-ზეგ რა მოხდება, ამიტომ ვცდილობ თამაშით ბოლომდე დავტკბე.*

მომავალ ზაფხულს „ჰოქსის" მთავარი ამოცანა ფორვარდი **ჯოშ სმიტის** შენარჩუნება იქნება, რომელზეც უკვე დიდი მოთხოვნაა. ჯორჯიელებს ასევე გამთამაშებელ **ჯეფ ტიგთან** კონტრაქტის გახანგრძლივება სურთ. რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას, „ატლანტაში" დარჩება, თუ სხვაგან წავა, კარგ კონტრაქტს ნამდვილად მიიღებს. მანამდე კი აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალში თამაშს აპირებს:

*- ახლა, ჩემი საზრუნავი რეგულარული ეტაპის დარჩენილი მატჩებია. „ატლანტა" პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის და რეგულარულში რაც შეიძლება მაღალი პოზიცია უნდა დავიკავოთ. ალბათ, თქვენც ატყობთ, რომ „ჰოქსი" ძალიან კარგ კალათბურთს თამაშობს და ვიმედოვნებ, რომ ბოლო წლებში საუკეთესო შედეგს ვუჩვენებთ."*



ლეგიონერი




# ვიქტორ სანიკიძე: ახალ წელს ველოდი

გუშინდელ ნომერში მოგახსენეთ, რომ საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **ვიქტორ სანიკიძემ** იტალიის ჩემპიონატში „მონტეპასკის" მაისურით პირველი ორმაგი დუბლი მიითვალა - 13 ქულა, 12 მოხსნა. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით იგი „მონტეპასკი"-"მონტეგრანაროს" მატჩში საუკეთესო იყო - 27. ქართველის ასეთი ნაყოფიერი გარჯა მხედველობიდან არ გამორჩენია იტალიურ მასმედიას...

გამოცემა „ბასკეტინსაიდში" ვიქტორის გარჯა 7.5 ბალითაა შეფასებული (გავიხსენოთ, რომ ერთი დღით ადრე სწორედ ასეთი შეფასება მიიღო **მანუჩარ მარკოიშვილმა**, რომელმაც 19 ქულა მოაგროვა). მანუს მსგავსად თავის გუნდში ვიქტორიც მეორე იყო, მხოლოდ **დევიდ მოსს** ჩამორჩა, რომელსაც 8.5 ბალი ერგო. აი, რა ეწერა ვიქტორ სანიკიძის გასწვრივ:

*„სტამბოლური საღამოს შემდეგ სულ სხვა კალათბურთელი დაგვიბრუნდა. სწორედ ისეთი, როგორსაც გასული სეზონიდან ვიცნობთ. შარშან, სანიკიძისთვის ორმაგი დუბლი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. „მონტეგრანაროსთან" იგი ყველაზე სასარგებლო სიენელი გახლდათ."*

გამოცემა „ევრობასკეტმა" იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის საუკეთესო კალათბურთელთა ათეული გამოაქვეყნა. პირველ ადგილზე ის კანტუელი გავიდა, რომელმაც მარკოიშვილზე ოდნავ მეტი ბალი მიიღო - **პიეტრო არადორი.** მან „მილანთან" სტუმრად გამარჯვებაში 25-ქულიანი წვლილი შეიტანა. ტურის ნომერ მეექვსე კალათბურთელი ვიქტორ სანიკიძე გახდა.

როგორც წესი, მწვრთნელმა **ლუკა ბანკიმ** „მონტეგრანაროსთან" მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზეც გამორჩეული კალათბურთელები იახლა. ამჯერად ეს პატივი 23 ქულის ავტორ დევიდ მოსსა და ვიქტორ სანიკიძეს ხვდათ. ქართველმა თავდამსხმელმა მომავალზეც ილაპარაკა:

*- აქამდე ფიზიკური ხასიათის პრობლემა მქონდა. ასევე იოლი არ ყოფილა ახალ გუნდთან, ახალ კომპანიონებთან შეწყობა. ყოველთვის ვცდილობ, ისე ვითამაშო, როგორც ვიცი, როგორც შემიძლია. ბურთის აცილების შემთხვევაში ბრძოლისუნარიანობას არასოდეს ვკარგავ. ასეა თუ ისე, გამოჩნდა, თითქოს ახალ წელს ველოდი... „ფენერბაჰჩესთან" და „მონტეგრანაროსთან" შეხვედრებში ჩვეულად, მაქსიმალურად დავიხარჯე და მოხარული ვარ, რომ ყველაფერი კარგად გამომივიდა. ახლა უკვე მომავალზე ვფიქრობ. ამ კვირას ევროლიგაზე სერიოზული ბრძოლა გველის რუსულ „ხიმკისთან", რომელმაც თვით „ბარსელონა" დაამარცხა.*

სხვათა შორის, „მონტეპასკის" დარად ორი ტურის შემდეგ „ხიმკისაც" ორი მოგება აქვს. მათი დაპირისპირება ევროლიგის ტოპ-16-ში პარასკევს სიენაში შედგება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქეები

# მუხის ფოთლები დასაბამიდან დღემდე

**ევროპის "ერთა თასის" გათამაშების დაწყებამდე ერთ თვეზე ნაკლები დარჩა. მომავალი შეჯიბრება უმნიშვნელოვანესი იქნება მონაწილე გუნდებისთვის, რადგან ორი წლის ჯამით 2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშების საგზურები გათამაშდება. გუნდები, ცხადია, სერიოზულად ემზადებიან მომავალი ბატალიებისთვის და ექვსიდან სულ ცოტა ხუთს, მსოფლიოს უდიდეს სარაგბო ფორუმზე მოხვედრა აქვს მიზნად დასახული.**


რუმინეთი-საფრანგეთი. 1972 წელი

"ერთა თასის" გათამაშების ორგანიზატორია FIRA AER, რომელიც ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე დაარსდა და მას შემდეგ ევროპის კონტინენტზე რაგბის ხელმძღვანელობს. ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, თვალი გადავავლოთ ისტორიას, რომელშიც დიდ როლს ჩვენი გუნდის უმთავრესი კონკურენტი - რუმინეთის ეროვნული ნაკრები თამაშობს.

პირველი ევროპული ტურნირი FIRA AER-მა, რომლის ვიცე-პრეზიდენტადაც ახლახან საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გიორგი ნიჟარაძე** აირჩიეს, 1935 წელს იტალიის დედაქალაქ რომში გამართა. იქ ძირითადად ერთმანეთს ფრანგები და იტალიელები დაუპირისპირდნენ. გამარჯვება მაშინ მასპინძლებს დარჩათ.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ევროპულ ბატალიებს ბერლინმა, პარიზმა და ბუქარესტმა უმასპინძლეს. რუმინელებმა სამივე ტურნირში იასპარეზეს და მხოლოდ ბუქარესტში შეძლეს საპრიზო ადგილის დაკავება.

1952-54 წლებში ტურნირს "ევროპის ჩემპიონთა თასი" დაარქვეს და მასში გამარჯვებას მუდამ საფრანგეთის ნაკრები ალწევდა. ალსანიშნავია, რომ FIRA AER-ის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში არც მაშინ და არც მერე, ბრიტანულ გუნდებს არასდროს უთამაშიათ.

თერთმეტწლიანი შესვენების შემდეგ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება 1965 წელს განახლდა და რვა წელიწადი იარსება. ამ რვა გათამაშებიდან საფრანგეთმა შვიდი მოიგო, ერთხელ კი თასი რუმინელებს ხვდათ. ეს იყო 1968 წელს, როცა „მუხის ფოთლებმა" პირველად შეძლეს „ლე ბლოს" დამარცხება 15:14. ალსანიშნავია, რომ იმ დროისთვის ტურნირში ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და გერმანიის ნაკრებები ასპარეზობდნენ და არცთუ ურიგოდ.

ამის შემდეგ შეჯიბრებას კიდევ ერთხელ შეეცვალა სახელი და უბრალოდ "FIRA AER-ის თასი" დაარქვეს. ამ ტურნირმა 1997 წლამდე იარსება. 18 გათამაშებიდან ცამეტი საფრანგეთის ნაკრებმა მოიგო, ოთხი რუმინეთის ეროვნულმა გუნდმა და ბოლოს 1997 წელს გამარჯვება იტალიელებს დარჩათ.

ალსანიშნავია, რომ რუმინეთის ნაკრები ამ პერიოდში იმდენად მოლონიერდა, რომ საფრანგეთის ეროვნულ გუნდს, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ოთხჯერ მოუგო. 1974 წელი: რუმინეთი-საფრანგეთი -15:10, 1976 წელი: რუმინეთი-საფრანგეთი - 15:12, 1980 წელი: რუმინეთი-საფრანგეთი - 15:0, 1982 წელი: რუმინეთი-საფრანგეთი 13:9.

საგულისხმოა, რომ საფრანგეთის 1982 წლის ფორმაციის ნაკრები ერთ-ერთი საუკეთესოა ამ ქვეყნის რაგბის ისტორიაში. აი ისიც:

**15. სერჟ ბლანკო, 14. მიშელ ფაბრი, 13. ფილიპ სელა, 12. პიერ შადებეში. 11. პატრიკ ესტევი, 10. დიდიე სკამბერო, 9. პიერ ბერბიზიე. 1. პიერ დოსპიტალი, 2. ფილიპ დინტრანსი, 3. რობერ პაპარემბორი, 4. დანიელ რევე, 5. ჟან კონდომი, 6. ჟან-პიერ რივე, 7. ლორან როდრიგესი, 8. ჟან-ლუკ ჟუანელი.**

რაგბის პროფესიულ რელსებზე გადასვლის შემდეგ სხვაობა რუმინეთისა და საფრანგეთის ნაკრებების დონეს შორის გაიზარდა. თუმცა ამას მხოლოდ რაგბის გაპროფესიონალებას ვერ დავაბრალებთ. გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს რუმინეთში ტრაგიკული მოვლენები განვითარდა, რის შემდეგაც ამ სოციალისტური ქვეყნის დიქტატორი ნიკოლა ჩაუშესკუ და მისი მეუღლე დახვრიტეს.

საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ ჩაუშესკუ სპორტს დიდ ყურადღებას უთმობდა და, ცხადია, ამით რაგბის რუმინული სამყაროც სარგებლობდა. მას შემდეგ ამ ქვეყნის რაგბის ნაკრები მუდმივად კრიზისს განიცდის, მისი სათამაშო დონე ეცემა. იქამდეც კი მივიდნენ, რომ 2011 წლის მსოფლიოს თასზე მოსახვედრად „მუხის ფოთლებს" რეპეშაჟის, ანუ დამამშვიდებელი ტურნირის გავლამ მოუწია.

1997 წელს იტალიის ნაკრები დააწინაურეს და უფრო მაღალი რანგის ტურნირში, "ხუთი ერის" გათამაშებაში მეექვსე ერად დაუშვეს. FIRA AER-მა კი დიდხანს არ იფიქრა და 2000 წელს პირველად ჩაატარა ტურნირი, რომელსაც "ევროპის ერთა თასი" დაარქვა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ევროპაში რამდენიმე ახალი სარაგბო ერი გაჩნდა, მათ შორისაა საქართველოც, რომელიც დღემდე რუმინელთა ყველაზე მრისხანე მეტოქედ რჩება. ცხადია, სათვალავიდან გამოსარჩენი არც რუსეთის ნაკრებია.

თავიდან "ერთა თასის" გმარჯვებული ორი წლის ჯამში ვლინდებოდა, 2009 წლიდან კი ეს წესი შეიცვალა და საუკეთესო გუნდი ყოველ წელიწადს სახელდება.

ყველაზე მეტჯერ "ერთა თასი" საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა. „ბორჯღალოსნებმა" ამ ტურნირში ხუთჯერ გაიმარჯვეს, ოთხჯერ იპირველეს რუმინელებმა და ერთხელ პორტუგალიის ნაკრებმა.

რუმინეთის ნაკრების ოქროს თაობა: 15. ვასილიე იონი, 14. სორინ ფუიკუ, 13. მიჰაი ჰოლბანი, 12. ადრიან ლუნგუ, 11. მარიან ალდეა, 10. სტელიან პოდარასკუ, 9. მირჩა პარასკივი. 1. იონ ბუკანი, 2. მირჩეა მუნტეანუ, 3. კონსტანტინ დინუ, 4. გეორგიე დარაბანი, 5. გოერგიე კარაგეა, 6. ფლორინ მორარიუ, 7. ენცი სტოიკა, 8. გეორგიე დუმიტრუ.

საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებებს აქამდე 16-ჯერ უთამაშიათ. „ბორჯღალოსნებმა" მეტოქეს რვაჯერ მოუგეს და ამდენჯერვე დამარცხდნენ.


საქართველოს ნაკრები ბუქარესტში. 2012 წელი


ესპანეთი-ესპანეთი A

# დიდი ფული დიდი მიზნებისთვის

**ევროპის ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი ესპანეთის ეროვნული გუნდი იქნება, რომელსაც 2015 წლის მსოფლიოს თასზე თამაში სერიოზულად აქვს განზრახული.**

ზემოთქმულის დასტურად თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, რომ რამდენიმე დღის წინათ ესპანეთის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებმა ეროვნული და ყველა ასაკის ნაკრებების თავკაცები შეკრიბეს, სადაც ესპანური რაგბის მიზნებსა და სამოქმედო გეგმის თაობაზე ისაუბრეს.

*„ჩვენ საკმაოდ დიდი თანხის გაცემა შეგვიძლია საიმისოდ, რომ ეროვნულ გუნდში ყველა საუკეთესო მორაგბემ ითამაშოს. ახალი 2013 წლის ბიუჯეტი სწორედ ამის გათვალისწინებითაა შედგენილი."* - თქვა ესპანეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ხავიერ გონსალეს კანჩომ.**

შეკრებაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, უმთავრეს მიზნად ეროვნული გუნდის მიერ 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების საგზურის მოპოვება დაისახეს. პირველ მატჩს „ესპანელი ლომები" 2 თებერვალს სტუმრად, სოჭში რუსეთის ეროვნულ გუნდთან გამართავენ.

*„ჩვენი მიზანია ყველა მატჩში მინიმუმ 35 ქულა დავაგროვოთ. პირველი თამაში სტუმრად რუსებთან ძალიან რთული იქნება, თუმცა ჩვენ მოგება შეგვიძლია. მთავარი არაა ლელოს გატანაზე ვიფიქროთ, მთავარია, რაც შეიძლება მეტი ქულები დავაგროვოთ. თუ სათანადოდ მოვემზადებით და ტაქტიკურადაც გამართულად ვითამაშებთ, შეგვიძლია მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირი წარმატებით დავძლიოთ"* - თქვა ესპანეთის ნაკრების ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა **ბრაის ბევინმა.**

ალსანიშნავია, რომ ესპანეთის ნაკრების მოთამაშეთა ნაწილი საფრანგეთის სხვადასხვა დივიზიონების გუნდებში თამაშობენ და როგორც ჩანს, ეროვნულ გუნდში გამოძახებისას მათაც ექმნებათ პრობლემები. ამიტომ, ესპანეთის რაგბის კავშირი ქომაგებს ამხნევებს და აცხადებს, რომ ასეთი ფაქტების მიმართ პრინციპულად შეუვალი იქნება და IRB-ის წესდების თანახმად, „თავხედი" კლუბი სათანადოდ დაისჯება.

კაბინეტში სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხზე მსჯელობის შემდეგ ესპანური რაგბის მამებმა უნივერსიტეტის სტადიონზე გადაინაცვლეს, სადაც ესპანეთის ეროვნული ნაკრები ამავე ქვეყნის A ნაკრებს დაუპირისპირდა და 42:19 მოუგო.

პირველ ტაიმში ეროვნული ნაკრები სრულ სათამაშო უპირატესობას ფლობდა, მეტოქეს სამი ლელო გაუტანა და 23:0 მოუგო. შესვენების შემდეგ თამაში ოდნავ გათანაბრდა და ტაიმიც ფრედ დასრულდა 19:19.

ესპანელთა მთავარ გუნდში რამდენიმე ახალი მორაგბე გამოჩნდა. აქამდე ეროვნულ გუნდში არასდროს უთამაშია ცხრა ნომერ **იგორ გენუას** (ერნანი), ასევე დებიუტი ჰქონდა მესამეხაზელ **ხუან მაგუნასელაიას** (გერნიკა). ეს გუნდი ევროთასებზე „ემლინ ჩელენჯ კაპზე" ასპარეზობს და ხუანმა ნაკრების ახალზელანდიელი თავკაცის ყურადღება სწორედ ევროარენაზე გარჯით მიიქცია.

აშკარად არ არის ესპანელი, შუამარბი **ჯეკი კარტერი**, რომელიც ამ ქვეყნის „ელ სალვადორის" ღირსებას იცავს. ის ნატურალიზებული მოთამაშეა, ისევე როგორც შერკინების ბურჯები **ხავიერ გარმენდია (ბიარიცი)** და **ჯო ჰატჩინსონი** (ბურგ ან ბრესი). ეს უკანასკნელი უკვე წელიწადზე მეტია „ესპანელი ლომების" რიგებშია.

მასთან ერთად, ესპანეთის ნაკრებს რამდენიმე ლეგიონერი აკლდა. როგორ შემადგენლობას შეარჩევს ბრაის ბევინი სოჭში გასამგზავრებლად მომავალი კვირის ბოლოს გახდება ცნობილი.

### ესპანეთი-ესპანეთი A 42:19

**ესპანეთი: 15. სესარ სემპერე, 14. მატიას ტუდელა, 13. ჯეკ კარტერი, 12. კორი სმიტი, 11. ხავიერ კარიონი, 10. ხაიმე ნავა, 9. იგორ გენუა. 1. ჯო ჰატჩინსონი, 2, ხუან ანაია, 3. ხესუს მორენო, 4. მეთიუ კუკი, 5. ხესუს რეკუერდა, 6. ხუან მაგუნასელაია, 7. ხუან ტუდელა, 8. ლიონელ პარდო.**

**16. დანიელ მარონი, 17. ხავიერ გარმენიდა, 18. ალეხანდრო ბლანკო, 19. ხავიერ დე ხუანი, 20. ხუან კორეტო, 21. სერხი ობანელი, 22. ალონსო როდრიგესი.**

**ესპანეთი A: 15. ნილ ბარო, 14. ედუარდო მარტინი, 13. გაუტიერ მინგულიონი, 12. ხუან ლოსადა, 11. იგნასიო მარტინი, 10. ირაიც ხერმენდია. 9. გრეგორი მარკესი. 1. ვიქტორ აბოიტისი, 2. ბენატ ლავინი, 3. ალბერტო ბლანკო, 4. ვიქტორ სანჩესი, 5. დავიდ ბარერა, 6. ჰენრი დევისი, 7. ფრანსისკო უსერო, 8. ალექს ვონ კარსელი.**

**16. უნაი ლასა, 17. დავიდ ვალდესი, 18. მიკელე მეაბესტარეტხეა, 19. ხავიერ მირანდა, 20. გაისკა არისაბალაგა, 21. ხავიერ კანოსა, 22. ფრანსისკო სორიანო.**

### ერთა თასი 2013

**2 თებერვალი**
ბელგია-საქართველო

**9 თებერვალი**
საქართველო-პორტუგალია

**23 თებერვალი**
რუსეთი-საქართველო

**9 მარტი**
საქართველო-ესპანეთი

**16 მარტი**
რუმინეთი-საქართველო

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

# უცხოური სპორტი

## ● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის მოთამაშეები

„ნიუ იორკ ნიქსის" ფორვარდი **კარმელო ენტონი** და „ჰიუსტონ როკეტსის" მცველი **ჯეიმს ჰარდენი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ენტონი თავის გუნდს სამიდან ორი მატჩის მოგებაში დაეხმარა. კარმელომ გასულ კვირას შედეგიანობის ფანტასტიკური მაჩვენებელი დააფიქსირა - საშუალოდ მატჩში 36.0 ქულას აგროვებდა. ენტონიმ ორჯერ - „პორტლენდისა" და „ორლანდოს" წინააღმდეგ მინიმუმ 40 ქულა მიითვალა.

ჰარდენის კარგი თამაშის წყალობით, "ჰიუსტონმა" გასულ კვირას ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო. მცველის მონაგარი 29.3 ქულა (მეორე კონფერენციაში), 3.25 ჩაჭრა (მეორე კონფერენციაში) და 5.5 შედეგიანი პასი იყო. ამ მომენტისთვის, ჰარდენის 25-ქულიანი (ან მეტი) მატჩების სერია 12-მდე ავიდა.

### ენტონის კვირა

**1 იანვარი. ნიუ იორკი-პორტლენდი 100:105.** 45 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი.

**3 იანვარი. ნიუ იორკი-სან ანტონიო 100:83.** 23 ქულა, 8 მოხსნა, 3 პასი.

**5 იანვარი. ნიუ იორკი-ორლანდო 114:106.** 40 ქულა, 6 მოხსნა, 6 პასი.

### ჰარდენის კვირა

**2 იანვარი. ჰიუსტონი-ნიუ ორლეანი 104:92.** 31 ქულა, 7 პასი.

**4 იანვარი. მილუოკი-ჰიუსტონი 101:115.** 29 ქულა, 7 პასი, 4 ჩაჭრა.

**5 იანვარი. კლივლენდი-ჰიუსტონი 104:112.** 29 ქულა, 7 ჩაჭრა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ბრუკ ლოპესი** („ბრუკლინი"), **ბენ გორდონი** („შარლოტი"), **დანილო გალინარი** („დენვერი"), **როი ჰიბერტი** („ინდიანა"), **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი"), **ჯეი არ სმიტი** („ნიუ იორკი"), **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა"), **ლამარკუს ოლდრიჯი** („პორტლენდი") და **დემარკუს კაზინსი** („საკრამენტო").

**აღმოსავლეთი**

| | ო | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. მაიამი* | 32 | 23 | 9 | 71.9 |
| 2. ნიუ იორკი* | 34 | 23 | 11 | 67.6 |
| 3. ატლანტა | 32 | 20 | 12 | 62.5 |
| 4. ჩიკაგო* | 32 | 19 | 13 | 59.4 |
| 5. ინდიანა | 34 | 20 | 14 | 58.8 |
| 6. ბრუკლინი | 34 | 19 | 15 | 55.9 |
| 7. მილუოკი | 32 | 16 | 16 | 50.0 |
| 8. ბოსტონი | 34 | 17 | 17 | 50.0 |
| 9. ფილადელფია | 35 | 15 | 20 | 42.9 |
| 10. დეტროიტი | 36 | 13 | 23 | 36.1 |
| 11. ტორონტო | 34 | 12 | 22 | 35.3 |
| 12. ორლანდო | 34 | 12 | 22 | 35.3 |
| 13. შარლოტი | 33 | 9 | 24 | 27.3 |
| 14. კლივლენდი | 36 | 8 | 28 | 22.2 |
| 15. ვაშინგტონი | 33 | 5 | 28 | 15.2 |

**დასავლეთი**

| | ო | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. კლიპერსი* | 35 | 27 | 8 | 77.1 |
| 2. ოკლაჰომა* | 34 | 26 | 8 | 76.5 |
| 3. სან ანტონიო* | 37 | 27 | 10 | 73.0 |
| 4. მემფისი | 32 | 22 | 10 | 68.8 |
| 5. გ. სტეიტი | 33 | 22 | 11 | 66.7 |
| 6. ჰიუსტონი | 34 | 20 | 14 | 58.8 |
| 10. პორტლენდი | 34 | 19 | 15 | 55.9 |
| 7. დენვერი | 36 | 20 | 16 | 55.6 |
| 9. იუტა | 36 | 18 | 18 | 50.0 |
| 8. მინესოტა | 30 | 15 | 15 | 50.0 |
| 11. ლეიკერსი | 33 | 15 | 18 | 45.5 |
| 12. დალასი | 35 | 13 | 22 | 37.1 |
| 14. საკრამენტო | 35 | 13 | 22 | 37.1 |
| 13. ფინიქსი | 35 | 12 | 23 | 34.3 |
| 15. ნიუ ორლეანი | 34 | 9 | 25 | 26.5 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**ქულა**

| | |
|---|---|
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 30.5 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 29.0 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 28.2 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 26.5 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 26.4 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 21.7 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 20.6 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 20.4 |
| სტივენ კარი (გ-სტ) | 20.1 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| ანდერსონ ვარეჟაო (კლი) | 14.4 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 12.4 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 12.4 |
| ომერ აშიკი (ჰიუ) | 11.4 |
| ჯეი ჯეი ჰიქსონი (პორ) | 11.0 |
| დევიდ ლი (გ-სტ) | 10.9 |
| ნიკოლა ვუჩევიჩი (ორლ) | 10.8 |
| ტაისონ ჩენდლერი (ნ-იორ) | 10.5 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 10.4 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 10.2 |

**პასი**

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 11.3 |
| კრის პოლი (კლიპ) | 9.3 |
| გრეივის ვასკესი (ნ-ორლ) | 9.1 |
| ჯრიუ ჰოლიდეი (ფილ) | 8.9 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.6 |
| დერონ უილიამსი (ბრუკ) | 7.8 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 7.7 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 7.2 |
| ჯამირ ნელსონი (ორლ) | 7.0 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 6.9 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (კლიპ) | 2.6 |
| მაიკ კონლი (მემ) | 2.4 |
| ბრენდონ ჯენინგსი (მილ) | 2.2 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 2.1 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 2.0 |
| ჯერემი ლინი (ჰიუ) | 1.9 |
| ტონი ალენი (მემ) | 1.8 |
| ჯეისონ კიდი (ნ-იორკ) | 1.8 |
| კემბა უოკერი (შარ) | 1.8 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| ლარი სანდერსი (მილ) | 3.1 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.9 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 2.7 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 2.6 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.6 |
| ბრუკ ლოპესი (ბრუკ) | 2.3 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.3 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 2.1 |
| ჯავალ მაკგი (დენ) | 2.0 |

# ირმებს მწვრთნელი მოუხსნეს

მორიგი გუნდი, რომელსაც მიმდინარე რეგულარულის მსვლელობისას მთავარი მწვრთნელის გათავისუფლებამ მოუწია - „მილუოკი ბაქსი" გახლავთ. კლუბის ხელმძღვანელობა მოელაპარაკა **სკოტ სკაილზს** კონტრაქტის გაწყვეტის თაობაზე, - იტყობინება ESPN.

ბოლო პერიოდში, „მილუოკის" სატურნირო მდგომარეობა გართულდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც გუნდმა ბოლო ოთხი შეხვედრა ზედიზედ წააგო. ამით „ირმებს" 32 მატჩის შემდეგ 16 მოგება და ამდენივე წაგება აქვთ.

სკაილზმა „მილუოკი" 2008 წელს ჩაიბარა. 48 წლის სპეციალისტის ხელმძღვანელობით გუნდმა 162 მატჩი მოიგო და 182-ჯერ დამარცხდა.

„მილუოკის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი იქნება **ჯიმ ბოილენი**.



სკოტ სკაილზი



კონფლიქტის დასაწყისი

# არშემდგარი ჩხუბი მედისონ სქვერ გარდენში

მოულოდნელი იყო „ბოსტონის" ნიუ იორკში გამარჯვება. საქმე ისაა, რომ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო არ თამაშობდა „სელტიქსის" ძირითადი პლეიმეიკერი **რაჟონ რონდო**, რითაც „ნიქსს" საქმე უნდა გაადვილებოდა, მაგრამ აღმოსავლეთის ერთ-ერთი ლიდერი დაალალატა **კარმელო ენტონიმ**, რომელმაც ძველებური ეგოისტური თამაშით გააფუჭა საქმე. ფორვარდმა 26-ჯერ ისროლა მეტოქის ფარის მიმართულებით და მხოლოდ ექვსი ბურთი ჩააგდო. ამასთან, მის ანგარიშზე მხოლოდ სამი მოხსნა მოდიოდა. არადა, ამ მატჩს კარმელო გასული კვირის საუკეთესო მოთამაშის რანგში შეხვდა.

მოკლედ, რონდოს არყოფნითა და ენტონის ცუდი თამაშით შეხვედრა თანაბარი გამოვიდა. საფინალო სირენამდე ექვსი წუთით ადრე, ანგარიში 86:86 იყო. მაგრამ ამის შემდეგ, „ნიუ იორკის" დაცვამ საშინლად ითამაშა და დარჩენილ დროში „ბოსტონმა" მხოლოდ სამი ბურთი ააცილა თამაშიდან, 16 ქულა ჩაუგდო მეტოქეს, რაც გამარჯვების გარანტია იყო.

■ ■ ■

„ნიუ იორკისა" და „ბოსტონის" შეხვედრა სკანდალით დასრულდა. გუნდების ლიდერებმა - ენტონიმ და კევინ გარნეტმა მატჩის დროს სიტყვიერად წაიკინკლავეს, რის გამოც, მსაჯებისგან ტექნიკური პერსონალურები მიიღეს. მატჩის დასრულების შემდეგ, ენტონიმ მოედანი სტუმრებისთვის განკუთვნილი გვირაბის გავლით დატოვა. „ნიქსის" ფორვარდი „სელტიქსის" გასახდელის კარს მიადგა და მეტოქე კალათბურთელების მიმართ მუქარის ფრაზებს ისროდა.

მოგვიანებით, ენტონი გარნეტს „ბოსტონის" ავტობუსთან დაელოდა და სერიოზული კონფლიქტის საფრთხეც არსებობდა, მაგრამ ამას წინ აღუდგნენ პოლიციელები და არენის თანამშრომლები. ასევე, გაშველებაში დიდი როლი ითამაშა „ნიუ იორკის" დამრიგებელმა **მაიკ ვუდსონმა**.

**ნიუ იორკი-ბოსტონი 96:102**

**21:22, 35:31, 16:23, 24:26**

**ნ-ი:** სმიტი (24), ენტონი (20), ჩენდლერი (13+17 მოხსნა), სტაუდმაიერი (13).

**ბ:** პირსი (23+6 პასი), გარნეტი (19+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), გრინი (16), ბრედლი (13), სალინჯერი (10).

# არ უჩხუბიათ

ამ დღეებში, ამერიკულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ფილადელფიასთან" მატჩში წაგების შემდეგ, ერთმანეთში ხელჩართული ჩხუბი გამართეს „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერებმა - **კობი ბრაიანტმა** და **დუაიტ ჰოვარდმა**.

იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს, კობიმ და დუაიტმა გადაიღეს ირონიული ფოტო, სადაც ისინი ერთმანეთს მუშტებს ულერებენ, ხოლო მათ შორის დგას „ლეიკერსის" დამრიგებელი **მაიკ დ'ენტონი**. ეს სურათი ორივე კალათბურთელის „ტვიტერზე" დაიდო.



ჩხუბის იმიტაცია

ამასობაში, „ლეიკერსს" სერიოზული პრობლემა შეექმნა. კალიფორნიული გუნდის ძირითადი წინა ხაზი - ცენტრები დუაიტ ჰოვარდი, **პაუ გასოლი** და **ჯორდან ჰილი** გუნდთან ერთად გასვლით ტურნეში არ გაემგზავრა.

ჰოვარდს მარჯვენა მხარი აქვს დაზიანებული, გასოლმა ტვინის შერყევა მიიღო მეტოქისგან იდაყვის ჩარტყმის შემდეგ, ჰილს კი მარჯვენა ბარძაყის ტრავმა აწუხებს.

ვარაუდობენ, რომ „ლეიკერსის" სასტარტო ხუთეულში ძირითადი ცენტრის ადგილს ახალბედა **რობერტ საკრე** ან **მეტა უორლდ პისი** დაიკავებს.

შეგახსენებთ, რომ ამ მომენტისთვის „ლეიკერსს" ზედიზედ სამი მატჩი აქვს წაგებული.

# ორი სენსაცია და კრიზისული დალასი

სენსაციური შედეგით დასრულდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მატჩი ნიუ ორლეანში. დასავლეთი კონფერენციის ბოლო გუნდმა - „ნიუ ორლეან ჰორნეტსმა" მოუგო მესამეადგილოსან „სან ანტონიოს".

„სპურსს" ბოლო რვა მატჩში შვიდი ჰქონდა მოგებული და ნიუ ორლეანში მის მარცხს ვერავინ წარმოიდგენდა. მაგრამ მასპინძლებმა სერიოზული განწყობა პირველი მეოთხედიდანვე გამოაჩინეს, როცა სტარტზე 10:2 გაქცევა მოაწყვეს. საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ აუთსაიდერს მთელი მატჩი ლიდერობა ხელიდან არ გაუშვია.

„ნიუ ორლეანმა" პირველი მეოთხედი ხუთი ქულით მოიგო, ტაიმი - 8 ქულით. თუმცა „სან ანტონიომ" მოახერხა მესამე მეოთხედის მოგება და ბოლო 12-წუთეულის წინ, ხუთი ქულით მოუახლოვდა მეტოქეს.

მეოთხე მეოთხედში გადამწყვეტი სიტყვა თქვა „ჰორნეტსის" შემტევმა მცველმა **ერიკ გორდონმა**. ის საფინალო სირენამდე შვიდი წუთით ადრე დაბრუნდა მოედანზე და ზედიზედ ექვსი ქულის აღებით, თავის გუნდს 11-ქულიანი უპირატესობა მოუტანა და მასპინძლებმა მოახერხეს მატჩის მოგება - 95:88.

■ ■ ■

დღის მეორე სენსაციის ავტორი გახდა „ვაშინგტონი". გუნდმა, რომელმაც აქამდე რეგულარულ ჩემპიონატში ოთხი შეხვედრა მოიგო, შარშანდელი ფინალური სერიის მონაწილე „ოკლაჰომა" დაამარცხა. საერთოდ, „უიზარდსი" უცნაური აუტსაიდერია - მას წელს შარშანდელი ფინალის მეორე მონაწილე და ჩემპიონი - „მაიამი ჰიტი" ჰყავს დამარცხებული.

საფინალო სირენამდე წუთ-ნახევრით ადრე, მასპინძლების უპირატესობა ხუთ ქულას შეადგენდა, მაგრამ **დურანტის** ფანტასტიკური სამქულიანის შემდეგ, „ოკლაჰომამ" ანგარიშის გათანაბრება შეძლო. სათამაშო რჩებოდა 40 წამი. მასპინძლების ბოლო შეტევა **პრაისის** არაზუსტი ტყორცნით დასრულდა, მაგრამ „ვაშინგტონმა" მეტოქის ფარზე მოხსნის მოგება შეძლო და თამაშის ბედის გადაწყვეტის შანსი დაიტოვა. დებიუტანტმა **ბრედლი ბილმა** კარგად „მოკლა" დრო, ორი მეურვე ცრუმოძრაობით ჩამოიცილა და 0.3 წამით ადრე ზუსტად ისროლა.

■ ■ ■

„დალასი" სერიოზულ კრიზისშია. გუნდმა ბოლო 14-დან 12 მატჩი წააგო და როგორც ამბობენ, **დირკ ნოვიცკიც** უკვე სავარაუდო ტრეიდზე ალაპარაკდა. „კოვბოებმა" მორიგი მარცხი „იუტასთან" მატჩში იწვნიეს, რაც არ ყოფილა გასაკვირი. „დალასმა" 14 გასვლით შეხვედრაში მხოლოდ ერთი მოიგო იმ დროს, როცა მეტოქემ მინიმუმ 100 ქულა დააგროვა. გამონაკლისი არც ამჯერად მოხდა. ახლა, „მავერიქსში" სერიოზულად განიხილავენ D-ლიგიდან მაიკლ ჯეიმსის დაბრუნებას. ამ პირობებში გუნდისთვის გამოცდილი მოთამაშეები მისწრება იქნება.

**ნიუ ორლეანი-სან ანტონიო 95:88**

**24:19, 25:22, 21:24, 25:23**

**ნ-ო:** გორდონი (24), დევისი (17+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ვასკესი (14+11 პასი), ანდერსონი (13+5 მოხსნა), ამინუ (4+10 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ს-ა:** ჯინობილი (21), პარკერი (16), დანკანი (13+8 მოხსნა), ლეონარდი (10).

**იუტა-დალასი 100:94**

**19:26, 34:27, 21:27, 26:14**

**ი:** ჰეივორდი (27), ჯეფერსონი (15+11 მოხსნა), მილსეპი (14+9 მოხსნა), ბერქსი (13), ფოიე (10).

**დ:** ნოვიცკი (20), კამანი (14+9 მოხსნა), მაიო (13), ბრენდი (11+9 მოხსნა), კოლისონი (11).

**ვაშინგტონი-ოკლაჰომა 101:99**

**30:20, 21:33, 25:20, 25:26**

**ვ:** ბილი (22), ვასკესი (22), სერაფინი (19), ოკაფორი (12+12 მოხსნა), ვესელი (10+7 მოხსნა).

**ო:** დურანტი (29+7 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), იბაკა (26+11 მოხსნა), უესტბრუკი (17+8 პასი+3 ჩაჭრა), სეფოლოშა (14), პერკინსი (0+11 მოხსნა).

**საკრამენტო-მემფისი 81:113**

**23:22, 22:29, 20:36, 16:26**

**ს:** სალმონსი (17), ტომპსონი (12), კაზინსი (10+8 მოხსნა), რობინსონი (8+12 მოხსნა).

**მ:** ელინგტონი (26), რენდოლფი (17+7 მოხსნა), კონლი (15+8 პასი), გასოლი (13), ალენი (10+3 ჩაჭრა), სპეიტსი (10).

**პორტლენდი-ორლანდო 125:119 (ო)**

**25:24, 23:33, 37:28, 23:23, 17:11**

**პ:** ოლდრიჯი (27+10 მოხსნა), მეტიუზი (24), ჰიქსონი (20+15 მოხსნა), ლილარდი (18+10 პასი), ბატუმი (16+10 პასი).

**ო:** რედიკი (29), აფლალო (24), ნელსონი (21+12 პასი), ვუჩევიჩი (17+13 მოხსნა), მაკრობერტსი (12+8 პასი).

**ჩიკაგო-კლივლენდი 118:92**

**22:30, 31:20, 35:22, 30:20**

**ჩ:** ბუზერი (24+11 მოხსნა), დენგი (19+7 პასი+4 ჩაჭრა), გიბსონი (18+7 მოხსნა), ბელინელი (15), რობინსონი (14+7 პასი), ნოა (11+11 მოხსნა+4 დაფარება).

**კ:** უეიტერსი (18), ირვინგი (15+6 პასი), მაილზი (15), ტომპსონი (14+8 მოხსნა).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● რაგბი



# ტერორისტები უფრო პატივში არიან

## უმადურობის მსხვერპლი შრეკი

ინგლისის ნაკრების სამხრეთაფრიკული წარმოშობის ყოფილი ფლანკერი **ენდრიუ ფური** დეპორტირებულია. მას შემდეგ, რაც 33 წლის მესამეხაზელმა (მას მეგობრები „შრეკს" ეძახიან) ტრავმა ვერ მოირჩინა, ინგლისურ „ლიდსთან" კონტრაქტის გახანგრძლივება ვერ შეძლო.

ფური, რომელმაც მხარი ინგლისის ნაკრებში თამაშისას დაიზიანა, საზღვრის დაცვის სააგენტოს გადაწყვეტილებამ გააოგნა. ნოემბრის ბოლოს ამ ორგანიზაციამ უცხოელი მოთამაშეების რევიზია ჩაატარა და აღმოაჩინა, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილ მესამეხაზელს, რომელმაც ეროვნულ გუნდში რვა კეპი მოიხვეჭა, კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება და, შესაბამისად, ვიზის გახანგრძლივების საფუძველი არ არსებობდა. ამიტომაც ფურის ქვეყნის ფარგლების დატოვება მოსთხოვეს.

„მათ მითხრეს, რომ ჩემს ვიზას ვადა გაუვიდა და რამდენიმე კვირაში გუდანაბადი უნდა ავიკრა. ძალიან გამიკვირდა ასეთი დამოკიდებულება. ინგლისის ნაკრების ღირსება რომ არ დამეცვა, პრობლემა არ იქნებოდა. არავითარ ჯილდოზე პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ის ხომ მაინც დავიმსახურე, რომ ბრიტანეთის მოქალაქეობა მიმეღო და შესაბამისი უფლებებით მესარგებლა.

გადასახადს ყოველთვის ვიხდიდი, ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც კანონმორჩილ მოქალაქეს შეეფერება, მაგრამ რა? აღმოჩნდა, რომ მათთვის ტერორისტების უფლებების დაცვა უფრო მნიშვნელოვანია.

ახლა სამშობლოში, სამხრეთ აფრიკაში დასაბრუნებლად ვემზადები. ჩვენი ნივთები უკვე მზად არის გასაგზავნად. ლიდსში პატარა მიწის ნაკვეთი მაქვს, ცოტას დავახანებ და მერე გავყიდი." - თქვა ენდრიუ ფურიმ.

აღსანიშნავია, რომ ენდრიუ თამაშთან ერთად მწვრთნელთა კურსებზე დადიოდა და ლიცენზიაც მიიღო. კარიერის დასრულების შემდეგ კი ბავშვთა რაგბიში მუშაობის დაწყებას აპირებდა. ფური ლიდსში მეუღლესთან და ინგლისში დაბადებულ ვაჟთან ერთად ცხოვრობდა.

მაშინ, როცა ფური ინგლისის დასატოვებლად ემზადება, მისი თავგადასავლით დიდი აჟიოტაჟია გამოწვეული. ინგლისურ მედიაში წამოიწყეს სოციალური კამპანია დევიზით - „შევინარჩუნოთ შრეკი". ცხადია, ამ ამბავს გულგრილი არც ინგლისის რაგბის კავშირი დაუტოვებია:

„ეს ყველაზე საშინელი სცენარია, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. გაუგონარი ამბავია, ასე მოექცე ადამიანს, რომელმაც სისხლი დაღვარა ეროვნული ნაკრების კვართით. მას დიდი წვლილი აქვს ინგლისური რაგბის განვითარების საქმეში. ამიტომ, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ შექმნილი მდგომარეობა გამოვასწოროთ და მსგავსი არასდროს განმეორდეს." - თქვა ინგლისის რაგბის კავშირის აღმასკომის თავმჯდომარე **დამიენ ჰოფლიმ**.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# სტოდარტი იძულებულია, წავიდეს

უელსის ნაკრებისა და „ჰლანეჰლის" ფულბეკმა **მორგან სტოდარტმა** სარაგბო კარიერა დაასრულა. შეგახსენებთ, რომ ის 2011 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების მსვლელობისას მძიმედ დაშავდა. სტოდარტმა ფეხი ორ ადგილას მოიტეხა და მოედანზე დაბრუნება თითქმის ერთწლიანი მკურნალობის შემდეგლა შეძლო.

უელსელმა ფულბეკმა თამაშის გაგრძელება შარშან ოქტომბერში სცადა, მაგრამ მწვავე ტკივილების გამო იძულებული გახდა დეტალური სამედიცინო გამოკვლევა გაევლო.

„ძალიან მწყდება გული, მაგრამ იძულებული ვარ, რაგბის თამაშს თავი დავანებო. მართალი გითხრათ, გამიმართლა, უელსის ნაკრებსა და „ჰლანეჰლიში" თამაშის პატივი რომ მხვდა წილად. ბევრი რამ არის ისეთი, რის დავიწყებასაც ვერ შევძლებ. განსაკუთრებული სითბოთი მინდა მოვიხსენიო ჩვენი ქომაგები, რომლებიც ერთგულად გვედგნენ გვერდში წლების განმავლობაში.

მომენატრება ჩემი მშობლიური კლუბი, მისი მხედრული სული, რომლის მეშვეობითაც არაერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა ჩემს სპორტულ ცხოვრებაში." - თქვა მორგან სტოდარტმა.

ცხადია, ნაკრების ფულბეკის რაგბიდან წასვლა უკომენტაროდ არ დაუტოვებია უელსის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებს. ისინი მართლაც საგონებელში არიან, რადგან სტოდარტი პირველი უელსელი არ არის, ვინც ბოლო ერთი წლის განმავლობაში რაგბიდან წასვლის თაობაზე განცხადება გააკეთა. ყოველივე ამის შედეგი, შარშან ნოემბრის ტესტებზე უსახური გამოსვლა იყო და, გამორიცხული არ არის, მომავალი ექვსი ერის გათამაშებაში, „წითელ ურჩხულებს" სერიოზული პრობლემები შეექმნათ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● ჩოგბურთი. რეიტინგები

# დიდი ცვლილებების მოლოდინში

გასულ კვირას ჩატარებული ტურნირების შემდეგ გამოქვეყნდა ქალთა და მამაკაცთა ახალი რეიტინგები. სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა, სამაგიეროდ, კლასიფიკაციამ, შესაძლოა, მნიშვნელოვნად იცვალოს სახე ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ, რომელიც მომავალ ორშაბათს აიღებს სტარტს.

როგორც WTA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე წერია, 31 წლის ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** კლასიფიკაციის პირველ ადგილზე დაბრუნების კარგი შანსი მიიღო. ამისთვის მას სჭირდება ავსტრალიის ღიას ფინალში გასვლა და ამ შემთხვევაში ის დამოკიდებული არ იქნება კონკურენტების - ბელარუსი **ვიქტორია აზარენკასა** და რუსი **მარია შარაპოვას** შედეგებზე. მათ ფინალში სერენას დამარცხებაც რომ შეძლონ, რეიტინგში პირველობა მაინც უმცროს უილიამსს დარჩება და ის გახდება ქალთა ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი პირველი ნომერი.

■ ■ ■

ასევე მომავლისკენ გავიხედოთ და ისიც აღვნიშნოთ, რომ უკვე ოფიციალურად ცნობილია, რომ **რაფაელ ნადალი** ვერ შეძლებს ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაშს, რის გამოც ის დაკარგავს შარშან ფინალში გასვლისთვის მიღებულ 1200 ქულას. შესაბამისად, რაფა ნებისმიერ შემთხვევაში დაუთმობს რეიტინგის მეოთხე საფეხურს ესპანელ **დავიდ ფერერს**. ეს უკანასკნელი, კარიერაში პირველად გახდება ესპანეთის ნომერ პირველი ჩოგბურთელი. რაც შეეხება ნადალს, ის 2005 წლის შემდეგ პირველად დატოვებს კლასიფიკაციის ტოპ-ოთხეულს. გარდა ამისა, ეს ყველაფერი გამოიწვევს „დიდი ოთხეულის" დაშლას. ეს კვარტეტი (**ჯოკოვიჩი, ფედერერი**, ნადალი, **მარეი**) 2011 წლის 4 აპრილს ჩამოყალიბდა, როცა მარეიმ მეოთხე ადგილი წაართვა **რობინ სიოდერლინგს**.

| ATP | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 12 920 |
| 2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 10 265 |
| 3(3). ენდი მიურეი (ბრიტ) | 8 000 |
| 4(4). რაფაელ ნადალი (ესპ) | 6 600 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 6 505 |
| 6(6). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 4 680 |
| 7(7). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 4 480 |
| 8(8). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 3 375 |
| 9(9). იანკო ტიფსარევიჩი (სერ) | 3 090 |
| 10(10). რიშარ გასკე (საფ) | 2 720 |
| 11(11). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 515 |
| 12(12). ხუან მონაკო (არგ) | 2 430 |
| 13(14). ჯონ ისნერი (აშშ) | 2 215 |
| 14(15). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 2 210 |
| 15(13). მილოშ რაონიჩი (კან) | 2 175 |
| 16(16). ჟილ სიმონი (საფ). | 2 145 |
| 17(17). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1 900 |
| 18(19). კეი ნიშიკორი (იაპ) | 1 870 |
| 19(20). ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 1 770 |
| 20(18). ა. დოლგოპოლოვი (უკრ) | 1 750 |

| WTA | |
|---|---|
| 1(1). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 10 595 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 10 045 |
| 3(3). სერენა უილიამსი (აშშ) | 9 750 |
| 4(4). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 7 505 |
| 5(5). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 5 550 |
| 6(7). ნა ლი (ჩინ) | 5 255 |
| 7(6). სარა ერანი (იტა) | 5 100 |
| 8(8). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 5 085 |
| 9(9). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 4 135 |
| 10(10). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 3 765 |
| 11(11). მარიონ ბარტოლი (საფ) | 3 740 |
| 12(12). ნადია პეტროვა (რუს) | 3 040 |
| 13(13). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 841 |
| 14(14). მარია კირილენკო (რუს) | 2 540 |
| 15(15). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 2 495 |
| 16(16). რობერტა ვინჩი (იტა) | 2 475 |
| 17(17). ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 2 125 |
| 18(18). იულია გორგესი (გერ) | 1 965 |
| 19(20). ეკატერინა მაკაროვა (რუს) | 1 841 |
| 20(23). იანინა ვიკმაიერი (ბელ) | 1 840 |

**გია თვალაბეიშვილი**



ნადალი და ფერერი ადგილებს გაცვლიან

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| მუნსტერი-მაინცი | 0:3 |
| რეკრეატივო-უნიონი | 1:1 |
| მუანგი-ეინდჰოვენი | 0:2 |
| ელაზიგი-შტ. კიკერსი | 0:1 |
| გენჩლერი-ჰერაკლესი | 2:2 |
| ქარაბუქი-ცვოლე | 1:2 |
| ქაისერი-ქასიმფაშა | 0:1 |
| ნიიმეგენი-ჰპც | 1:0 |
| ვესტერლო-დენ ბოში | 1:2 |
| ციურიხი-ვადუცი | 3:2 |
| სპარტა (რ)-ჰოფენჰაიმი | 0:1 |
| ალბასეტე-დორტმუნდი | 1:3 |
| შალკე-ბაიერნი | 0:5 |
| სტრიომსგოდსეტი-ლოზანა | 2:2 |
| ბუიუქსეჰირი-ვილემი | 3:1 |
| ერფურტი-ბრაუნშვაიგი | 2:3 |
| ფენერბაჰჩე-გენკი | 1:1 |
| სეტიფი-გენტი | გადაიდო |
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| მორეკამბი-დაგენჰემი | 2:1 |
| **კონფერენსი** | |
| ალფრეტონი-რექსჰემი | 1:2 |
| ბრენტრი-მაკლსფილდი | 0:3 |
| ჰერეფორდი-ტელფორდი | 1:1 |
| ლუტონი-ბაროუ | 6:1 |
| საუთპორტი-ლინკოლნი | 4:2 |
| **ინგლისის ლიგის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| ბრედფორდი-ასტონ ვილა | 3:1 |
| **ინგლისი** | |
| **League Trophy** | |
| ლეიტონი-იეოვილი | 1:0 |
| ოქსფორდი-საუთენდი | 3:3 პენ. 3:5 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| ლაციო-კატანია | 3:0 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩები** | |
| მალაგა-ეიბარი | 4:1 (1:1) |
| ვალენსია-ოსასუნა | 2:1 (2:0) |
| **საფრანგეთი** | |
| **ნასიონალი** | |
| შერბური-ბულონი | 0:3 |
| **აზია** | |
| **გულფის თასი** | |
| კატარი-ომანი | 2:1 |
| ბაჰრეინი-საემიროები | 1:2 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ს. იულიაევი-დინამო (მ) | 1:0 |
| ატლანტი-სევერსტალი | 0:3 |
| ლოკომოტივი-დინამო (მნ) | 4:1 |
| ტორპედო-ვიტიაზი | 1:3 |
| ცსკა-ავტომობილისტი | 4:3 (ბ) |
| აკ ბარსი-სკა | 3:1 |
| სპარტაკი-დონბასი | 3:1 |
| ლევ პოპრადი-მეტალურგი (მ) | 2:5 |
| სლოვანი-ტრაქტორი | 4:3 |
| **ავსტრია** | |
| ოლიმპია-კლაგენფიურტი | 2:4 |
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-აისბარენი | 6:4 |
| კიოლნი-მიუნხენი | 5:1 |
| **დანია** | |
| კოპენჰაგენი-ეხბიერგი | 2:3 (ბ) |
| ოდენსე-ჰერლევი | 5:4 (ო) |
| ფრედრიკშავნი-როდოვრე | 5:1 |
| ოლბორგი-ჰერნინგი | 1:3 |
| **ნორვეგია** | |
| ფრისკ ასკერი-ლილეჰამერი | 2:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-ტრენჩინი | 6:4 |
| ჟილინა-კოშიცე | 4:2 |
| მარტინი-პოპრადი | 0:6 |
| სკალიცა-ზვოლენი | 4:2 |
| ნიტრა-პიესტანი | 5:2 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-ბლუზი | 2:5 |
| კალპა-ლუკო | 2:3 |
| პელიკანსი-ჰიფკ | 2:3 |
| ტაპარა-საიპა | 3:0 |
| ტპს-ილვესი | 6:2 |
| ჰპკ-იუვიასკიულა | 4:2 |
| ესეტი-კერპეტი | 6:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-სლავია | 5:2 |
| ზლინი-პლზენი | 4:1 |
| კლადნო-ლიტვინოვი | 3:2 |
| ხომუტოვი-ვიტკოვიცე | 2:5 |
| ბუდეიოვიცე-კარლოვი ვარი | 3:5 |
| ლიბერეცი-ბრნო | 3:4 (ო) |
| **შვეიცარია** | |
| ლანგნაუ-ამბრი | 0:4 |
| **შვედეთი** | |
| ბრიუნესი-ჰვ71 | 2:6 |
| ლინჩოპინგი-შელეფტეო | 6:0 |
| ტიმრა-მოდო | 0:3 |
| ფერიესტადი-ვექსიო | 2:1 |
| ფრიოლუნდა-ლულეო | 1:3 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ოკლენდი** | |
| ლაჩკო-**ლორენცი** | 6:3, 6:3 |
| სოედა-**ხირალდო** | 1:6, 0:6 |
| ჰაასე-**სისლინგი** | 6:3, 3:6, 5:7 |
| **ჯონსი**-მელცერი | 7:6, 6:2 |
| **ფალა**-ჟემლია | 6:4, 3:1 უარი |
| **ლევინი**-კინგი | 6:2, 6:2 |
| ბეკერი-**მონფილსი** | 7:6, 3:6, 4:6 |
| **ლუ**-პერი | 6:3, 2:6, 6:2 |
| **ATP. სიდნეი** | |
| **ფ. ლოპესი**-შარდი | 6:7, 7:5, 6:3 |
| გარსია ლოპესი-**შტეპანეკი** | 2:6, 3:6 |
| რობრედო-**მილმანი** | 3:6, 4:6 |
| **ნიემინენი**-ფაუ | 6:0, 6:1 |
| ბედენე-**ანდერსონი** | 3:6, 6:3, 3:6 |
| დიმიტროვი-**ფონინი** | 3:6, 1:6 |
| **ჰარისონი**-ბაუტისტა | 2:1 უარი |
| **ტომიჩი**-მატოშევიჩი | 6:3, 6:4 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| **იოვანოვსკი**-ტორო ფლორი | 6:0, 7:6 |
| **ზაკოპალოვა**-ბაბოში | 6:4, 6:3 |
| **ვესნინა**-შვედოვა | 4:6, 6:2, 6:1 |
| **დევისი**-კირსტეა | 6:1, 6:3 |
| სხეპერსი-**ბარტელი** | 6:7, 5:7 |
| **სტივენსი**-ჰალეპი | 6:4, 6:0 |
| **WTA. სიდნეი** | |
| კირილენკო-**ერანი** | 1:6, 1:6 |
| **ა. რადვანსკა**-დატე | 6:4, 6:3 |
| **ნა ლი**-მორიტა | 6:1, 6:0 |
| **ციბულკოვა**-მაკაროვა | 7:6, 1:6, 7:6 |
| იანკოვიჩი-**ვინჩი** | 6:3, 4:6, 6:7 |
| ვოზნიაცკი-**კუზნეცოვა** | 6:7, 6:1, 2:6 |
| ვოსკობოევა-**კერბერი** | 2:6, 5:7 |
| **კისი**-ჟენგი | 6:0, 6:4 |

● TV პროგრამა

**9 იანვარი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ნიუკასლი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ვოლფსბურგი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ვიტესი.
**16:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მილანი-მალაგა.
**18:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ასტონ ვილა.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერი სიტი-მანჩესტერ იუნ.
**23:00** ინგლისის ლიგის თასი. კარდიფი-ლივერპული.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. შალკე-არსენალი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-მაიამი.
**15:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ფლუმინენსე.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. კასტრი-გლაზგო.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-მაიამი.
**22:30** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. მაიამი ჰიტი 2011-12 წელი.
**23:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჰიუსტონი-ლეიკერსი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ბრისბენი. ავსტრალია.
**13:30** სპორტ-NEWS.
**14:00** რაგბი. ტესტ-მატჩი. ინგლისი-ს. აფრიკა.
**16:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ჰიუსტონი.
**18:00** სპორტ-NEWS.
**18:30** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბრიუგე-ნიუკასლი.
**20:30** რაგბი. ტესტ-მატჩი. ინგლისი-ახალი ზელანდია.
**22:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ბრისბენი. ავსტრალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. დაკარი 2013



ნასერ ალ-ატიია

# ფავორიტები გალიდერდნენ

ავტომარათონ დაკარზე მესამე ეტაპი გაიმართა. რალი-რეიდის მონაწილეები კვლავაც პერუს ტერიტორიაზე არიან და მათ 243 კილომეტრის დაფარვამ მოუწიათ.

ეტაპის წინ ლიდერი იყო ლეგენდარული ესპანელი **კარლოს საინსი**. შეგახსენებთ, რომ მეორე ეტაპის შემდეგ, პირენეელი მე-11 ადგილამდე ჩამოქვეითდა, მაგრამ ორგანიზატორებმა ესპანელს 21 წუთი და 26 წამი დაუბრუნეს მომსახურე პერსონალის არაკორექტული მუშაობის გამო. შესაბამისად, საინსი გენერალური კლასიფიკაციის პირველ საფეხურზე დაბრუნდა.

თუმცა მესამე ეტაპზე კარლოსმა ტრასა არც ისე კარგად გაიარა და გამარჯვებულს მთელი ნახევარი საათით ჩამორჩა, რაც საერთო ჩათვლაში მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითებად დაუჯდა.

მესამე ეტაპი კი კატარელმა **ნასერ ალ-ატიიამ** მოიგო, რისი წყალობითაც მან საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მასზე წინ მხოლოდ ფრანგი **სტეფან პეტერანსელია**, რომელიც ეტაპზე მესამე მივიდა ფინიშთან. მეორე დრო ამერიკელ **რობი გორდონს** ეკუთვნოდა, თუმცა საერთო ჩათვლაში მისი ჩამორჩენა ძალიან დიდია.

არ გაუმართლა გენერალურ კლასიფიკაციაში სამეულის პრეტენდენტს, პოლონელ **კშიშტოფ ჰოლოვჩიკს**: ის სერიოზულ ავარიაში მოხვდა და ბრძოლა შეწყვიტა.

**საერთო ჩათვლა**

1. **სტეფან პეტერანსელი** (Mini) - 5:34.26; 2. **ნასელ ალ-ატიია** (Buggy) - +6.33; 3. **ლუსიო ესეკიელ ალვარესი** (Toyota) - +18.11; 4. **ლეონიდ ნოვიცკი** (Mini) - +21.10; 5. **კარლოს საინსი** (Buggy) - +21.16; 6. **ჟინიელ დე ვილიერსი** (Toyota) - +30.22...

■ ■ ■

მოტოციკლების კლასში პირველ ორ ეტაპზე არც ისე კარგად მიდიოდა ფავორიტი საჯინიბოს - KTM-ის საქმეები, რითაც მაშინვე ისარგებლეს კონკურენტებმა, თუმცა მესამე ეტაპის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და ახლა, გენერალურ კლასიფიკაციას ლოგიკური და პროგნოზირებული ლიდერი ჰყავს.

შესანიშნავი ტემპი განავითარა მოქმედმა ჩემპიონმა, ფრანგმა **სირილ დეპრემ**, რომელმაც არა მარტო გააბათილა რვაწუთიანი ჩამორჩენა, არამედ გენერალურ კლასიფიკაციას ჩაუდგა სათავეში და უახლოეს მდევარს - ასევე KTM-ის წევრს **ფრანსისკო ლოპესს** თითქმის სამ წუთს უგებს. არადა, საინტერესო ის არის, რომ დეპრემ ვერ შეძლო ეტაპის მოგება - ის მხოლოდ მესამე იყო ლოპესისა და **პაულო გონკალვეშის** შემდეგ.

რაც შეეხება გენერალური კლასიფიკაციის წინა ლიდერს, **ხოან ბარედა ბორტს**, მან ძალიან ბევრი წააგო და ტოპ-ოცეულის ბოლოში აღმოჩნდა.

**საერთო ჩათვლა**

1. **სირილ დეპრე** (KTM) - 6:15.03; 2. **ფრანსისკო ლოპესი** (KTM) - +2.51; 3. **პოლ ანდერს ულევალსეტერი** (KTM) - +4.59; 4. **ოლივიე პენი** (Yamaha) - +6:03; 5. **დავიდ კასტო** (Yamaha) - +6.08; 6. **ხერემიას ისრაელ ესკერე** (Honda) - +6.19...

ოლიმპიზმი

# სამი დარჩა

შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში გამოცხადდა ის სამი ქალაქი, რომელიც 2020 წლის ზაფხულის თამაშების მასპინძლობისთვის იბრძოლებს. ეს ქალაქებია: მადრიდი, სტამბოლი და ტოკიო.

-კენჭისყრა ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე 2013 წლის 7 სექტემბერს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგ სესიაზე გაიმართება.

ამ სამეულში ფავორიტად იაპონიის დედაქალაქი მიიჩნევა, ხოლო მის მთავარ კონკურენტად სტამბოლს ასახელებენ.

ზედიზედ მესამედ ცდილობს ოლიმპიადის მასპინძლობის მიღებას მადრიდი, მაგრამ ესპანეთში არსებული ეკონომიკური პრობლემების გათვალისწინებით, მადრიდელთა შანსებს ყველაზე პესიმისტურად აფასებენ. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, ბრძოლას გამოეთიშნენ აზერბაიჯანისა და კატარის დედაქალაქები - დოჰა და ბაქო.

2013 წლის მარტში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური კომისია სამივე ქალაქს ეწვევა, რის შემდეგაც, ივნისში გამოქვეყნდება სპეციალური ანგარიში კანდიდატების შესაძლებლობების შესახებ.

კრივი

# აპრილში დაბრუნება...

## ...და მეხუთე დუელი მარკესთან



მენი პაკიაო

რვაწონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ფილიპინელი **მენი პაკიაო** აპირებს სასამართლოში უჩივლოს ექიმ **რუსტიკო ხიმენესს**, რომელმაც განაცხადა, რომ 34 წლის მოკრივეს პარკინსონის დაავადების სიმპტომები აღენიშნება.

„როგორც შეიძლება ასეთი განცხადების გაკეთება, როცა მას პაციენტი არ გაუსინჯავს? ჩვენ სამოქალაქო სარჩელს ვამზადებთ დაუსაბუთებელი და უღირსი ბრალდების გამო", - განაცხადა პაკიაოს მრჩეველმა **მაიკლ კონცმა**.

ფილიპინელი ექიმის ვარაუდს თავად მენი პაკიაოც გამოეხმაურა: „სანერვიულო არაფერია. ასი პროცენტით ჯანმრთელი ვარ და ახლა, ოჯახთან ერთად მოგზაურობით სიამოვნებას ვიღებ. ფილიპინებზე 14 იანვარს დავბრუნდები. თებერვლის დასაწყისში ვაპირებ ვარჯიშების განახლებას, რადგან აპრილში მსურს რინგზე დაბრუნება, სექტემბერში კი მეხუთედ ვაპირებ ხუან მანუელ მარკესთან შეხვედრას. ამ ექიმის განცხადება - ეთიკის გაუგონარი უგულებელყოფაა. ეს უპასუხისმგებლო საქციელი იყო. ეს გახლდათ პირადი აზრი ყოველგვარი სამედიცინო შემოწმების გარეშე".

# პოლონური აღიარება

პოლონელმა სუპერმძიმეწონოსანმა **მარიუშ ვახმა** საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ მას დიდი ხანი აძლევდნენ დოპინგს, თუმცა არ იცის, მისი გარემოცვიდან კონკრეტულად ვინ იყო ამით დაკავებული.

ვახი აკრძალული პრეპარატის გამოყენებაში **ვლადიმერ კლიჩკოსთან** წაგებული ბრძოლის შემდეგ ამხილეს. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა მან ამის აღიარება.



მარიუშ ვახი

„დოპინგი დიდი ხანი ხვდებოდა ჩემს ორგანიზმში, - ამბობს პოლონელი. - სავარაუდოდ, ამის უკან მწვრთნელები იდგნენ, თუმცა კონკრეტულად არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან ბრძოლებისთვის ბევრი ადამიანი მამზადებდა. სანამ საკუთარ გამოძიებას არ ჩავატარებ, ვინმეს დადანაშაულება არ შეიძლება".

■ ■ ■

ამასობაში, სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ბრიტანელი **დევიდ ჰეი** დაჟინებით ამტკიცებს, რომ მისი ბრძოლა WBC-ის ჩემპიონთან, უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოსთან** აუცილებლად გაიმართება.

„შეთანხმება მიღწეულია, მხოლოდ ის დარჩა გასარკვევი, სად და როდის გაიმართება ბრძოლა. გერმანია? დიახ, მოხარული ვიქნები იქ ბრძოლის გამართვით. მაგრამ, თუ რაიმე მიზეზით ზაფხულის ბოლომდე ეს შეხვედრა არ შედგება, ის აღარასოდეს ჩატარდება", - ამბობს ჰეი.

შეგახსენებთ, რომ 41 წლის ვიტალი კლიჩკო, რომელიც შარშან უკრაინის პარლამენტის წევრი გახდა, უახლოეს პერიოდში გამოაცხადებს - აგრძელებს თუ არა სპორტულ კარიერას.

ჩოგბურთი

# სერენას ფიტნესი

მსოფლიოს მესამე ჩოგანმა **სერენა უილიამსმა** ავსტრალიის ქალაქ მელბურნში მონაწილეობა მიიღო „ნაიკის" აქციაში, რომელიც კომპანიის მიერ მომზადებული მობილურის დამატების - Nike Training Club-ის პრეზენტაციას მიეძღვნა.

აღნიშნული დამატება ფიტნესში დამოუკიდებელი ვარჯიშის საშუალებას იძლევა და მასში გაერთიანებულია სხვადასხვა სირთულის რამდენიმე სასწავლო კურსი. აგრეთვე ქალებისთვის საბაზო ვარჯიშები.

ჩოგბურთელმა ჟურნალისტებს მოუყვა Nike Training Club-ის შესაძლებლობებზე და თავადაც შეასრულა რამდენიმე ვარჯიში.

■ ■ ■

გუშინ, ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ სეზონში „დიდი სლემის" პირველი ტურნირის საერთო საპრიზო ფონდი 31 მილიონი ამერიკული დოლარი იქნება. შარშანდელთან შედარებით, თანხა ზუსტად 4 მილიონი დოლარით გაიზარდა.

უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ საორგანიზაციო კომიტეტი გაგებით მოეკიდა ჩოგბურთელთა მრავალრიცხოვან თხოვნას იმ მოთამაშეებისთვის საპრიზო თანხის გაზრდის შესახებ, რომლებიც ნაადრევ ეტაპზე გამოეთიშებიან ბრძოლას. რაც შეეხებათ ჩემპიონებს, მამაკაცთა და ქალთა ერთეულთა თანრიგში გამარჯვებულები ერთნაირ თანხას მიიღებენ - თითოეული დაახლოებით ორ-ნახევარ მილიონ დოლარს.

ამბები

**ჰოკეი**

### დეტროიტს ლეგენდა ტოვებს

„დეტროიტ რედ უინგზის" ფორვარდმა **ტომას ჰოლმსტრიომმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 39 წლის შვედი დიდი სპორტიდან წასვლის შესახებ ოფიციალურ განცხადებას ამ კვირის ბოლოს გააკეთებს.

გასულ სეზონში, ჰოლმსტრიომმა 24 ქულა (11+13) დააგროვა, სულ კი „რედ უინგზის" რიგებში 15 სეზონი ჩაატარა და 1026 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

**ველოსპორტი**

### კატიუშა ჯიროზე არ დაუშვეს

გუშინ, იტალიური ველომარათონის ჯირო დ'იტალიას ორგანიზატორებმა გამოაცხადეს იმ გუნდების სია, რომლებსაც 2013 წლის რბოლისთვის ე. წ. უაილდ-ქარდი მიანიჭეს.

ეს გუნდებია - Androni Giocattoli, Colombia, Bardiani Valvole – CSF Inox და Vini Fantini. ასე რომ, მსოფლიო ტურის ლიცენზიის გარეშე დარჩენილი რუსული საჯინიბო „კატიუშა" 2013 წლის „ჯიროზე" ვერ გამოვა. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდის ლიდერი, ესპანელი **ხოაკინ როდრიგესი** შარშანდელ ჯიროზე მეორე ადგილზე გავიდა.

ახლა, „კატიუშას" იტალიურ ველომარათონზე გამოსვლის ერთადერთი შანსი დარჩა - უნდა დაელოდოს სპორტული საარბიტრაჟო სასამართლოს დადებით განაჩენს.

**ჩოგბურთი**

### ჯუდიმ საუკეთესოები შეკრიბა

ფედერაციის თასზე ბრიტანეთის ნაკრების კაპიტანმა **ჯუდი მარეიმ** შემადგენლობა გამოაცხადა ევროპა/აფრიკის ზონის პირველი ჯგუფის მატჩებისთვის, რომელიც 6-9 თებერვალს ისრაელში გაიმართება.

ბრიტანელთა ღირსებას დაიცავენ **ჰიზერ უოტსონი, ლორა რობსონი, ენ კეოტავონგი** და **იოჰანა კონტი**.

ბრიტანეთის გარდა, ევროპა/აფრიკის ზონის პირველ ჯგუფში ითამაშებენ ავსტრიის, ბელარუსის, ბოსნიის, უნგრეთის, ხორვატიის, საქართველოს, ისრაელის, ლუქსემბურგის, ჰოლანდიის, პოლონეთის, პორტუგალიის, რუმინეთის, სლოვენიისა და თურქეთის ნაკრებები.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15

მისამართი: **იოსებიძის, 49**. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608